დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 1-7 აგვისტო

N32 1444

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



საქართველოს ბედი ჰქონია, რომ 2022 წლის 21 მარტს „ბიძია დეგნანს“ სალაპარაკოდ ბიძინა ივანიშვილი დაუხვდა და არა რომელიმე გვარნაქურდალი და ფარული მიგრანიანი ან კალანტაროვ-ლავროვი!

2

## ბიძინა და «ბიძია დეგნანი»

სოხუმი და საქართველოა! ცხინვალი

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით

## სიტყვა დროებითი

არასოდეს ყოფილა ისეთი დამაჯერებელი და რეალისტური, როგორიც დღეს არის!

3

ლევან მამალაძე:

## ლუსტრაციის კანონის მიღება აუცილებელია!

6



„გიორგი კობახიძე თავად გახლდათ ლუსტრაციის კანონის ინიციატორი და დღეს გაურკვეველი წარმომავლობის, რუსულ ენაზე მოლაპარაკე, უსამშობლო არახამია მას კაგებეშნიკს უწოდებს!“



## ჯახუტა-შვილის სინდრომი

4



ნაცბანდის ტელეკანალიზაციებთან საქმის დაჭერა და ნაც-კორესპონდენტებისათვის კომენტარის მიცემაც კი დაუშვებელია!

## აი, ეს არის ნამდვილი ქრისტიანული ამერიკა!

12



8

## გერონტოფილია, ანუ ოთხი ძაან ხერხეულიძე

## არია რაობა,



ანუ მსოფლიო ბანის სტატუსიდან პოლიტიკურ მაჭუტიზმამდე

9



მაყვალა ბერიანიძე:



26

ზურაბ ჟვანიას წინ დაუდეს დოკუმენტი, რომლითაც მისი, სააკაშვილისა და მთელი მათი გუნდის რუსეთის სპეც-სამსახურებთან კავშირი დასტურდებოდა!



## „ამერიკის სპეც-სამსახურები საქართველოში დავით არახამიასა და ნაცების მეშვეობით გადატრიალებას გეგმავენ!“

21

გოგი გიორგობიანი:



## ამაყი ვარ ჩემი ქართველობით და მრცხვენია იმ ქართველების, რომლებიც ამბობენ, რომ ქართველობის რცხვენიათ!

28

## არახამია? არა, ხამია!

19



# ბიძინა და «ბიძია დეგნანი»



## საქართველოს ბედი ჰქონია, რომ 2022 წლის 21 მარტს „ბიძია დეგნანს“ სალაპარაკოდ ბიძინა ივანიშვილი დაუხვდა და არა რომელიმე გვარნაქურდალი და ფარული მიგრანიანი ან კალანტაროვ-ლავროვი!

***1991 წელს ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში ცნობილმა ჟურნალისტმა ურმას ოტმა საქართველოს პირველ პრეზიდენტს ჰკითხა — თქვენ საკმაოდ ცივი დამოკიდებულება გაქვთ დასავლეთის ლიდერებთან და რით ახსნით ამას? ზვიად გამსახურდიამ ცენტრალური ტელევიზიის ჟურნალისტს დაუფარავად უპასუხა — „დიახ, ეს მათი ბრალია, ისინი არ არიან დაინტერესებული იმპერიის დაშლით. ეს ხომ ცნობილია. ჩემი სახით კი ისინი ხედავენ კაცს, რომელიც იმპერიის დეზინტეგრაციის მომხრეა!“***

პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში (უფროსი)** და ამერიკის მაშინდელი ადმინისტრაცია რომ საბჭოთა კავშირის დაშლას არ ემხრობოდნენ, ამას ადასტურებს გავლენიანი ევროპული გაზეთის **„ფიგაროს“** მაშინდელი შეფასებაც, როცა ბუშმა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას დაუჭირა მხარი. „ფიგარო“ მაშინ წერდა: **„ბუშმა აგრძნობინა თავის თანამოსაუბრე საბჭოთა მხარეს, რომ არ გაყიდის მას დამოუკიდებლობის მომხრე რესპუბლიკების გულისთვის. პირიქით, მან ამ უკანასკნელებს ურჩია: არ დაეხარჯათ ძალები კრემლთან ჭიდილით!“**

ვიცით რა ყოველივე ეს და იმის შესახებაც გვსმენია, თუ რატომ იყო **ნიკარაგუის დიქტატორი სომოსა** პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტისთვის **სასურველი „ძაღლიშვილი“,** თავს მოვალედ ვრაცხთ, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ იმ საშიში პოლიტიკის მასშტაბები და ორმაგი სტანდარტი, რომლითაც ამერიკული იმპერიალიზმი ყოველთვის გამოირჩეოდა.

გენიალურ **ჯორჯ გორდონ ბაირონს** მიაწერენ ასეთ გამოთქმას — **„დემოკრატია თავზეხელაღებულთა არისტოკრატიაა!“** ეს სიტყვები ზუსტად ასახავს იმ პოლიტიკის დედაარსს, რომელსაც **ამერიკის ელჩი საქართველოში, ქალბატონი კელი დეგნანი,** ანუ იგივე **„ბიძია დეგნანი“** აგერ უკვე მერამდენე წელია, თავის წინამორბედებთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში ჯარასავით ატრიალებს. **სწორედ თავზე ხელაღებული უნდა იყოს ადამიანი, ცნობილი კრიმინალი ჟორიკა რურუა მაღალი გამავლობის ამერიკული მანქანებით დაასაჩუქროს, ხოლო საქართველოში მეგობრად და პარტნიორად გაიხადოს** გიგა მაქარაშვილი, რომელსაც გორში ნეხვით სავსე ჭურჭელი თავზე ჩამოაცვეს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **„ბიძია დეგნანი“** ე.წ. სელფებს იღებს ვიღაც უფშვიტინე გურულ ქალთან, რომელსაც საქართველოს დანგრევა აქვს განზრახული, ხოლო ჩახუტებულია **წყეულ ლომჯარიასთან და ვანო მერაბიშვილის კაპიტან ექა ბიგაურთან!**

**თავზე ხელაღებული უნდა იყოს ელჩი,** დაიბაროს უცხო ქვეყნის მოსამართლე, რომელმაც გვარამია ციხეში მიაბრძანა და ამის გამო სანქციები დაუწესოს, რის გამოც მოსამართლე ამერიკაში დაგეგმილი ვიზიტით ველარ მიდის. უძველესი ცივილიზაციის ქვეყანას, სადაც ქრისტიანობა **ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათა მოციქულმა** იქადაგეს, თავზე ხელაღებული თუ გაუბედავს, გარყვნილ სოდომისტთა პარადების გამართვა აიძულოს!

**სწორედ თავზე ხელაღებული და უტიფარი უნდა იყოს სისტემა,** საქართველოს მეგობრობას ეფიცებოდეს და ამ დროს ქართველი ხალხის ზურგს უკან ქვეყნის ყველაზე უფრო გავლენიან მოქალაქეს, რომელსაც საკუთარი სამშობლოს წინაშე მართლაც დიდი დამსახურება აქვს, სამი საათის განმავლობაში აბასთუმანში ტვინს უბურღავდეს — **გინდა თუ არა, პოლიტიკაში დაბრუნდი და რუსეთს ეკვეთე, რათა კავკასიაშიც ავარდეს ომის ალიო!**

ბიძინა ივანიშვილის ადგილზე **შევარდნაძე-სააკაშვილის ძუკნა ბიზნესმენები — თემურ ჭყონია, კახა ოქრიაშვილი, მამუკა ხაზარაძე** და სხვები რომ ყოფილიყვნენ, ოღონდაც მათ ქონებას ჩიჩქიც არ მოკლებოდა და უყოყმანოდ დაღუპავდნენ ქვეყანას! **საბედნიეროდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში უბედურ საქართველოს და ქართველ ხალხს გაუმართლა, რადგან 2022 წლის 21 მარტს იმ ფარულ შეხვედრაზე, რომელსაც ამერიკის საელჩო საგულდაგულოდ მალავდა, „ბიძია დეგნანის“ წინაშე იდგა არა მუცელზე მხოხავი სააკაშვილი ან გეი-აქტივისტი დავით ბერძენიშვილი, არამედ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც იშვიათი ვაჟკაცობა გამოიჩინა** — სწორედ ისეთი, სულმნათი ვაჟა-ფშაველა რომ აღმერთებს და გვასწავლის — **„მით ვაქებ ვაჟკაცობასა, არ იყიდება ფულადა!“**

**ივანიშვილის ადგილზე შევარდნაძე რომ ყოფილიყო,** არათუ საქართველოს გაწირავდა საბედისწერო ომისთვის, არამედ **ტუალეტის მჯღაბნელ ზურაბ ქარუმიძის ძმაკაცს,** თავის ერთადერთ ვაჟიშვილ **პაატასაც** კი გაყიდდა ბანძელ ყასბებზე, ოღონდაც არაფერი დამუქრებოდა იმ მილიარდებს, რომელიც **ედუარდმა და გორბაჩოვმა** საბჭოთა კავშირის დანგრევის საფასურად ამერიკული „ცეერუსგან“ და გერმანელებისგან მიითვალეს!

**1966 წელს, როცა ვასილ მჟავანაძის მზრუნველი ხელით და სიყვარულით სავსე გულით გაბრწყინებული საქართველო კეთილ იმპერატორ ლეონიდ ბრეჟნევს მასპინძლობდა,** ვიეტნამში **„ბიძია დეგნანების“** მიერ გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ათასობით ადამიანი იღუპებოდა. ზუსტად ისე, როგორც ამ რამდენიმე თვის წინათ ავღანეთიდან „ჰქნეს პლეტი“, **1975 წელს ამერიკელებმა ვიეტნამელებიც მიატოვეს და გაიქცნენ...** საიგონის რეჟიმი დაემხო და ქვეყანაში საშინელი რეპრესიები დაიწყო. უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნენ ამერიკელების მოკავშირეები, განსაკუთრებით კი ერთი მცირერიცხოვანი ტომი, რომელიც სამხრეთ ვიეტნამისა და ლაოსის მთებში ცხოვრობდა და ომის დროს ამერიკელებს მეგზურობას უწევდა. **გამძვინვარებულმა ვიეტკონგელებმა ეს ტომი მთლიანად ამოჟლიტეს, ხოლო ვინც გადარჩა, ისინი ამერიკელებმა ავიაციის საშუალებით სამშობლოდან შორს, ათასეული კილომეტრის მოშორებით სკანდინავიაში გადაასახლეს და იქ მიუჩინეს სამუდამო ადგილსამყოფელი.** ტომის გადარჩენილმა წევრებმა, ფაქტობრივად, დაკარგეს იდენტობა და სკანდინავიის მოსახლეობაში გაითქვიფნენ...

### საინტერესოა, რა ბედს გაიზიარებდა უბედური ქართველობა იმ შემთხვევაში, თუ „ბიძია დეგნანები“ ბიძინა ივანიშვილს გატეხდნენ და საქართველოს ხელისუფლება წყეული დავით არახამიას, არესტოვიჩის, ტუტრუცანა ლომჯარიასა და წისქვილის ვირთხა სანაიას მონოდებებს აჰყვებოდა?

ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, თუ რა იქნებოდა ამ საშინელი საქმის ფინალი, მაგრამ, **ვიეტნამის ომისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ამერიკელებს სკანდინავიაში ჩვენი გადასახლება ნამდვილად არ მოუწევდათ, რადგან ნახევარი საქართველო ისედაც შვედეთსა და ნორვეგიას აფარებს თავს.**

როგორც საქვეყნოდ ცნობილია, 1991 წლის 21 აგვისტოს პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა (უფროსი)** ზვიად გამსახურდიას შესახებ უკუღმართი განცხადება გააკეთა, რომელიც მთელ მსოფლიოში გახმაურდა — **„მე მგონია, რომ ეს არის კაცი, რომელიც ცოტა არ იყოს, დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“** ეს განცხადება, როგორც ჩემი ძვირფასი მასწავლებელი, ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი **დიმიტრი შველიძე** წერს, ბუშმა გააკეთა იმ წერილის საპასუხოდ, რომელიც მას ვირჯინიის შტატის არლინგტონის სასწავლო და კულტურული გაცვლის ორგანიზაციის შეფმა, ვინმე **ჯენ სტრეიქერმა** გაუგზავნა. სტრეიქერი ბუშს არწმუნებდა — **საქართველო და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჭეშმარიტად**

## ვინ იყო ზვიად გამსახურდიას რიგითი ამერიკელი მომხრე ჯენ სტრეიქერი და რა წერილი მისწერა მან პრეზიდენტ ბუშს?

## კვირგვინოსნები

**ბიძინა ივანიშვილი**
*ბიზნესმენი, მეცენატი*



მინდა, ჩემი ღრმა პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოვხატო ქართველი საზოგადოების მიმართ, რომელმაც არაერთგზის დაამტკიცა, რომ ევროპული ფასეულობების ერთგულია. დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლისთავზე, **ქართველმა ხალხმა დღეს კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მისი უმთავრესი ღირებულებებია.** ამასთან, ქართველმა საზოგადოებამ ყველას დაუმტკიცა, რომ ხანმოკლე დემოკრატიული გამოცდილების მიუხედავად, აქვს სიბრძნე, რომელიც ურთულეს გამოწვევებთან ღირსეულად გამკლავების შესაძლებლობას აძლევს.

უკვე წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებას პოლიტიკიდან ჩემი გასვლის გადაწყვეტილების შესახებ ვაცნობე და მას შემდეგ ჩემივე გადაწყვეტილებას სრულად ვიცავდი და ვიცავ. **მთელი ამ პერიოდის მანძილზე ერთადერთი საჯარო განცხადება გამოვაქვეყნე და ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი სახელით სპეკულირების საშუალება არავისთვის მიმეცა.** არ მინდოდა, პოლიტიკურ პროცესებზე არათუ მე, თუნდაც, ჩემს ფაქტორს რაიმე გავლენა ჰქონოდა და საჯარო სივრციდან ჩემი სრული დისტანცირების მიზეზი სწორედ ეს იყო და არის.

ამავდროულად, **როგორც ამ ქვეყნის შვილი და მისი ერთ-ერთი გულშემატკივარი,** ბუნებრივია, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მთელი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს. რეგიონში არსებული ურთულესი პოლიტიკური ვითარების ფონზე, საქართველოს და მის მმართველ გუნდს გასული თვეების განმავლობაში ძალზე მტკივნეული პროცესების გავლა უწევდა და უწევს. საქართველოსთვის და მისი ხელისუფლებისთვის ვითარებას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, **რომ გარკვეული ძალები საქართველოს ომში ჩათრევას აქტიურად ცდილობდნენ და მათი ეს სურვილი და მიზანი, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია.**

უდიდესი სირთულეების მიუხედავად, **მმართველმა გუნდმა სწორად იმუშავა, სწორი და პრინციპული პოზიცია დაიკავა და მთავარი სირთულე, ომის საფრთხის პირველი ეტაპი უკვე გადალახა.** ამ ძალისხმევის წყალობით, საქართველოს ომში ჩათრევის უშუა-




## „ბიძია დეგნანის“ წინაშე იდგა არა მუცელზე მხოხავი სააკაშვილი ან გეი-აქტივისტი დავით ბერძენიშვილი, არამედ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც იშვიათი ვაჟკაცობა გამოიჩინა!

**დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიანო!** აი, რას სწერდა **ჯენ სტრეიქერი** ბუშს:

**„თქვენ ბრძანეთ, რომ პრეზიდენტმა გამსახურდიამ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა ხდება მსოფლიოში! ზვიად გამსახურდიამ ყველაფერი კარგად უწყის, ბატონო პრეზიდენტო, ხოლო თქვენ, თქვენმა ადმინისტრაციამ და სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა გაიგოთ, თუ რა მოხდა საქართველოში და მისცეთ ამ ხალხს თავისუფლება და დემოკრატია! დიახ, ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, თქვენ განზე გადექით!“**

როგორც ვხედავთ, რიგითმა ამერიკელმა **ჯენ სტრეიქერმა** საქართველო-ამერიკის ურთიერთობაში ჯერ კიდევ ოცდათერთმეტი წლის წინათ ნათლად დაინახა ის, რისი დანახვა არც ამერიკის პრეზიდენტებს, არც სენატორებს, არც კონგრესმენებს, არც სახელმწიფო დეპარტამენტს და არც ამერიკის ელჩებს სურთ. **წყალი სათავიდან იმღვრევა და პრობლემა ის არის, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა საქართველო-ამერიკის ურთიერთობის გარიჟრაჟზე დაუჯერა არა საქართველოს წამებული პრეზიდენტისა და რიგითი ამერიკელის — სტრეიქერის გულისთქმას, არამედ შევარდნაძისა და იმ პოლიტიკური მაფიის გეგმას, რომლებმაც საქართველოში სისხლიანი გადატრიალება მოაწყვეს.**

### უბედურება ის არის, რომ ეს სვლაგეზი საქართველო-ამერიკის ურთიერთობაში დღემდე ძველებურად გრძელდება და ამერიკელ ჩინოვნიკებს სჯერათ არა გულანთებული და ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ქართველების,

### არამედ მესაჯდომეების, ტვინმოღრეცილების, გიგაურების, ლომჯარიებისა და წყეულების!

ნევადაში, შავი კლდის უდაბნოში, ყოფილა მონუმენტი, რომელიც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ინდიელების მიერ დახოცილი ამერიკელი ჯარისკაცების პატივსაცემად აღუმართავთ. **ერთ-ერთ ქართველს, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს ამერიკაში უმოგზაურია, შავი კლდის უდაბნოში იმ მონუმენტთან დიდხანს უსმენია გიდისთვის, რომელიც ამერიკელი ჯარისკაცების სიმამაცეს აქებდა და ბოლოს უკითხავს — იმ ინდიელების ძეგლი თუ არსებობს ამერიკაში, რომლებიც თქვენ, ამერიკელებმა, დახოცეთ და დღეს ინდიელიების მიწაზე ცხოვრობთო?!** უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ გიდს სასწრაფოდ შეუწყვეტია თხრობა და იქაურობას გასცლია...

ქართველებო, არ დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის უფლებებზე გველაპარაკებიან **„ბიძია დეგნანები“**, რომლებმაც, სხვადასხვა გათვლებით, დაახლოებით, **30 მილიონი ინდიელი გაჟუჟეს და მათ ძვლებზე ზემძლავრი თერმობირთვული იმპერია შექმნეს!**

არც ის დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსთან **რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის კუთვნილების საკითხს „გვასწავლის“ პუტინი, რომელსაც საქართველოს ისტორიაში საქართველოს დაუძინებელი მტრები — ანდრანიკ მიგრანიანი და მისი თანაკურსელი, თბილისელი სომეხი სერგეი კალანტაროვ-ლავროვი „ამეცადინებენ“!**

**საქართველოს ბედი ჰქონია, რომ 2022 წლის 21 მარტს „ბიძია დეგნანს“ სალაპარაკოდ ბიძინა ივანიშვილი დაუხვდა და არა რომელიმე გვარნაქურდალი და ფარული მიგრანიანი ან კალანტაროვ-ლავროვი!**

***დიტო ჩუბინიძე***



# დროებითი!

*— არამხოლოდ ბიჭვინთა, არამედ მთელი აფხაზეთი და სამაჩაბლო არის დროებით ოკუპირებული რუსეთის მიერ, მაგრამ ჩვენ ჩვენი გონივრული პოლიტიკით საქართველოს გავაერთიანებთ!* ***— ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გასულ კვირას მესტიაში, სვანეთობის სახალხო დღესასწაულზე ყოფნისას გააკეთა.***

მოგეხსენებათ, ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში მღელვარებასა და პროტესტს იწვევს ის ფაქტი, რომ **სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. პარლამენტი ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკისა და მის გარშემო არსებული 186 ჰექტარი მიწის რუსეთისათვის გადაცემას აპირებს.** აფხაზეთის მკვიდრნი კრემლის მიერ ბიჭვინთის ანექსიას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან და **ბჟანიას დე ფაქტო მთავრობას** დემონსტრაციებს უწყობენ. **ამა წლის 25 ივლისს აფხაზურმა საინფორმაციო საშუალებებმა სოციოლოგიური გამოკითხვაც ჩაატარეს, რომლის შედეგმაც აჩვენა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ბიჭვინთის სანაპირო მიწების რუსეთისათვის გადაცემას დაუშვებლად მიიჩნევს.**

ამ ყველაფრის ფონზე, ნაციონალური მოძრაობა და მასთან დაკავშირებული ოპოზიციური პარტიები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებას უკიჟინებენ — **რუსეთის მიერ ბიჭვინთის ანექსიას გულხელდაკრეფილი ნუ შესცქერით, ხმაური ატეხეთ და საერთაშორისო თანამეგობრობა ცერზე დააყენეთო!**

**ვითომ** ნაციონალურმა მოძრაობამ ხმაურის ატეხითა და დასავლელ პარტნიორებთან ჩივილით შეძლო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციის შეჩერება!

**ვითომ** სააკაშვილის ხელისუფლებამ ანტირუსული რიტორიკისა და ისტერიის ფონზე არ ჩააბარა რუსეთს ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა!

**ვითომ** ახლა ევრო-ამერიკელი პოლიტიკოსების შეშფოთება დააოკებს კრემლის მადას!

**ვითომ** საერთაშორისო თანამეგობრობამ რუსული არმადის მიერ უკრაინის მიწასთან გასწორების აღკვეთა შეძლო და ახლა იგივე წარმატებით მოახერხებს, რუსეთს პირიდან გამოსტაცოს ბიჭვინთის აგარაკი და 186 ჰექტარი მიწა!

**სინამდვილეში, პოლიტიკურმა სპეკულანტებმა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას ამუნათებენ — რუსეთის მიერ ბიჭვინთის ანექსიის გამო შარვლიდან რატომ არ ხტები და თმებს ღერა-ღერა რატომ არ იგლეჯო, თავადაც მშვენივრად იციან, რომ ეს საქმეს ვერ უშველის, უბრალოდ, ნაცები და მათთან გათანაბრებული სუბიექტები ბიჭვინთის საკითხსაც თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებენ და სურთ, საქართველოს მოსახლეობა დააჯერონ, თითქოს „ივანიშვილის პრორუსული რეჟიმი“ არაფერს აკეთებს რუსეთის მიერ ბიჭვინთის მიერთების შესაჩერებლად.**

სწორედ ასეთების გასაგონად თქვა პრემიერმა ღარიბაშვილმა — **ზედმეტ აჟიოტაჟს ნუ ტეხთ, მარტო ბიჭვინთა კი არა, მთელი აფხაზეთია ოკუპირებული, მაგრამ ეს დროებითიაო!**

**დროებითი!** — აი, სწორედ ეს არის **საკვანძო სიტყვა ღარიბაშვილის განცხადებაში.**

დიახ, აფხაზეთი და სამაჩაბლო ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მაგრამ ოკუპირებულია **მხოლოდ დროებით,** რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო თავის ძირძველ ტერიტორიებსაც და თავის ღვიძლ შვილებსაც — აფხაზებსა და ოსებს აუცილებლად დაიბრუნებს, ოღონდ არა — თოფითა და ტანკით, არა — ყვირილითა და ისტერიკით, არა — შარვლის ჩახდით ე.წ. სასაზღვრო ზოლთან, არამედ პრაგმატული მოთმინებითა და გონივრული პოლიტიკით!

**გონივრული პოლიტიკა, რასაც რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ქართული ხელისუფლება ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით ატარებს, საქართველოში არამხოლოდ სადღეისო მშვიდობას, არამედ მშვიდობიანი გზით ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივასაც განაპირობებს!**

**უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არცერთ პატრიოტ ქართველს არცერთი დღე არ უცხოვრია იმ რწმენისა და იმედის გარეშე, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია მხოლოდ დროებითია, მაგრამ დღეს, მსოფლიოში რადიკალურად შეცვლილი გეოპოლიტიკური ვითარებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული პრაგმატული პოლიტიკის გამო, ეს რწმენა და იმედი კიდევ უფრო მტკიცე ხდება.**

## საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით სიტყვა „დროებითი“ არასოდეს ყოფილა ისეთი დამაჯერებელი და რეალისტური, როგორიც დღეს არის!

დიახ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით სიტყვა **„დროებითი“** არასოდეს ყოფილა ისეთი დამაჯერებელი და რეალისტური, როგორიც დღეს არის!

ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებისათვის ხილულ გარემოებათა გარდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს კიდევ სხვა საფუძვლებიც აქვს ოპტიმიზმისათვის და იმის ხმამაღლა სათქმელად, რომ **აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია მხოლოდ დროებითია!**




გვინდა და შეგვიძლია, **ირაკლი ღარიბაშვილის** ამ დიდ ოპტიმიზმს „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან შევეხმიანოთ ასევე დიდი ოპტიმიზმით, რომელიც ჩვენი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, **პოეტმა ლაშა ნადარეიშვილმა** თავის ლექსში ჯერ კიდევ როდის ჩააწნა:

**მტერს ჩვენი სისხლი ველარ მოუნდეს,**
**საქართველოსთვის ღმერთმა ილოცა...**
**ჩვენ უსათუოდ გავალთ ფსოუმდე,**
**ჩვენი იქნება საინგილოცა!**

### მზე მაღლა იქნება და ეს ასე იქნება!

***ჯაბა ხუბუა***





**ბიძინა ივანიშვილი**
*ბიზნესმენი, მეცენატი*

ლო საფრთხე დღეს მაქსიმალურად არის განეიტრალებული. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ **უკრაინაში ომის დასრულებამდე, გარკვეული რისკები ჯერ კიდევ რჩება და როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას მაქსიმალური სიფრთხილე მართებს, რათა საქართველომ საბედისწერო ომი საბოლოოდ აიცილოს თავიდან.**

ამასთან, დღეს, როდესაც ომის უშუალო საფრთხე უკვე მაქსიმალურად არის განეიტრალებული, მიმაჩნია, რომ **მმართველ გუნდს აქვს შესაძლებლობა, თავისი ყურადღება მეტწილად კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტზე გადაიტანოს და იზრუნოს, რომ საქართველოს ურთიერთობები სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან არ დაზიანდეს.**

რაც შეეხება ჩემს პირად პრობლემას, რომელიც შვეიცარიულ ბანკთან ურთიერთობაში წარმოიშვა და დღესაც აქტუალურია, მიმაჩნია, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან მას პირდაპირი კავშირი აქვს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველომ რთულ სიტუაციას, პრაქტიკულად, თავი უკვე გაართვა და ომის უშუალო საფრთხემ გადაიარა, **მირჩევნია, ჩემი და შვეიცარიული ბანკის ურთიერთობა ჩემ პირად პრობლემად დავტოვო და ეს პრობლემა საზოგადოებას ზედმეტად თავს არ მოვახვიო.** აქ იმასაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ რაზე ვგეგმავდი შვეიცარიული ბანკის მიერ გაჩერებული თანხების დახარჯვას — კერძო მიზნებისთვის თუ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. მირჩევნია, ბანკის მიერ შექმნილი პრობლემა საზოგადოებამ ყველა შემთხვევაში ჩემ პირად პრობლემად განიხილოს. ჩემთვის მთავარია, **საქართველომ შეძლოს ურთულესი ვითარებიდან საბოლოოდ სათანადოდ გამოსვლა და მშვიდობის შენარჩუნება,** ჩემ პირად საკითხზე კი მე თავად ვიზრუნებ და ამ პრობლემით საზოგადოების ზედმეტად დატვირთვას არ შევეცდები.

დასასრულ, რადგან საჯაროდ დაისვა შეკითხვა **უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩემსა და ამერიკის ელჩს შორის შეხვედრის გამართვის შესახებ,** საზოგადოებას მინდა, განვუმარტო, რომ **ამგვარი შეხვედრა ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა** და ის დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა.

# ჯახუტაშვილის

***არსებობს სტენდალის სინდრომი, ვან გოგის სინდრომი, ნაპოლეონის სინდრომი, მიუნჰაუზენის სინდრომი, დორიან გრეის სინდრომი და მრავალთა სხვათა სინდრომი, ჩვენ კი წინამდებარე წერილში ჯახუტაშვილის სინდრომზე უნდა ვისაუბროთ.***

საქმე ის არის, რომ გასულ კვირას მთელმა საქართველომ გაიცნო ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიის — **„მთავარი არხის" ახალგაზრდა კორესპონდენტი ნატალი ჯახუტაშვილი.**

რა გააკეთა ისეთი **კორესპონდენტმა ჯახუტაშვილმა,** რომ იგი მთელმა საქართველომ გაიცნო?

ჟურნალისტური ოსტატობითა და პროფესიონალური ტელერეპორტაჟით გამოიჩინა თავი?

**არა!**

სენსაციური ჟურნალისტური გამოძიება შესთავაზა მაყურებელს და ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსანი მძიმე დანაშაულში ამხილა?

**არა!**

აბა, თამარ მეფის საფლავს მიაკვლია და საქართველოს ისტორიის 8-საუკუნოვან საიდუმლოს ახადა ფარდა?

**არა!**

მაშ, რით მიიქცია ახალგაზრდა გოგონამ საზოგადოების ყურადღება?

მხოლოდ ჩვეულებრივი, სტანდარტული, ნაცტელექანალიზაციების მიერ კარგად აპრობირებული პროვოკაციით — **პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენა „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს,** რომელსაც ჰკითხა — **„კაგებეს" აგენტის შვილი არ ხართ, ბატონო ირაკლი?"**

**კობახიძემ,** რომელიც **კორესპონდენტ ჯახუტაშვილის** ამ უტაქტო, უზრდელურმა, შეურაცხმყოფელმა და პროვოკაციულმა კითხვამ წყობილებიდან გამოიყვანა, სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიის წარმომადგენელს ასეთი პასუხი გასცა: **„სახე დაკარგე, ქალის სახე დაკარგე! პირი მოიწმინდე, სააკაშვილივით გაქვს პირი მართლა, დაემსგავსე ყველაფრით შენს ბელადს! პირი მოიწმინდე, სააკაშვილს გავხარ პირითაც, შენს ბელადს დაემსგავსე ყველაფრით, სახე დაკარგე ნაცმოძრაობის გულისთვის! სამარცხვინო! შენ ხარ არახამია! როგორც ის არ არის კაცი, ისევე შენ არ ხარ ქალი, ნაცმოძრაობის გულისთვის დაკარგე სახე".**

ამის შემდეგ ატყდა დიდი ამბავი — **კობახიძე ჟურნალისტს თავს დაესხაო, ქალს შეურაცხყოფა მიაყენაო, საჯარო მოხელის თმენის ვალდებულება დაივიწყაო და სხვა ამისთანანი!**

თმენის ვალდებულება საჯარო მოხელეს, მითუმეტეს, პოლიტიკოსსა და ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენელს, მართლაც გააჩნია, მაგრამ **თმენის ვალდებულებასაც გააჩნია ზღვარი და ჩარჩო.** კობახიძემ თავიდან მართლაც შეძლო, თმენის ვალდებულების ზღვარი და ჩარჩო არ დაერღვია. კერძოდ, **კორესპონდენტ ჯახუტაშვილის** კითხვას — **„რა პასუხს გასცემთ დავით არახამიას, რომელმაც განაცხადა, რომ მამათქვენი „კაგებეს" აგენტია?"** — მმართველი პარტიის თავმჯდომარემ მშვიდად უპასუხა — **„არახამია არაკაცია და მის განცხადებაზე კომენტარს არ გავაკეთებ!"**

წესითა და რიგით, ყველაფერი აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ **სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიის კორესპონდენტ ჯახუტაშვილს** ხელმძღვანელობისაგან სულ სხვა დავალება ჰქონდა — **მარტო კითხვის დასმას არ უნდა დასჯერებულიყო, კობახიძე პროვოკაციაზე უნდა წამოეგო და ისეთი რამ დაეტყუებინა, რაც მერე ნაცპროპაგანდას საშუალებას მისცემდა, „ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტების შევიწროებისა და თავისუფალ მედიაზე თავდასხმის" შესახებ აყვირებულიყო.**

**კორესპონდენტი ჯახუტაშვილი** ახალგაზრდა გოგონა კი არის, მაგრამ, როგორც ჩანს, მსგავს რამეებში საკმაოდ დახელოვნებული გახლავთ და დავალებაც პირნათლად შეასრულა: რესპონდენტის პროვოკაციაზე წამოგება ყველაზე მარტივი და ყველაზე უღირსი ფორმით — მის ოჯახზე, კონკრეტულად, მშობელზე, უფრო კონკრეტულად კი, მამაზე შეხებით შეძლო!

ნახეთ, როგორ ვირეშმაკურად და გველაძუურად დაუსვა კითხვა **კორესპონდენტმა ჯახუტაშვილმა** კობახიძეს — **„კაგებეს" აგენტის შვილი არ ხართ?"**

**ე.ი. დამტკიცებული და ბეჭედდასმულია, რომ მამათქვენი „კაგებეს" აგენტი იყო და თქვენ მისი შვილი არ ხართო?**

კიდევ ერთხელ შეხედეთ: **კორესპონდენტმა ჯახუტაშვილმა** კობახიძეს ის კი არ ჰკითხა — მამათქვენი „კაგებეს" აგენტი იყო თუ არაო, არამედ — **მამათქვენი „კაგებეს" აგენტი იყო და თქვენ ხომ მისი შვილი ხართო?**



## კორესპონდენტი ჯახუტაშვილი, რომელსაც ირაკლი კობახიძემ პირის მოწმენდისაკენ მოუწოდა, პირს კი მოიწმენდს, მაგრამ როგორ მოიწმენდს სამარცხვინო ლაქას, რომელიც მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების პროპაგანდისტულ ორგანოში საქმიანობით თავადვე მიიცხო?









## ნატალი ჯახუტაშვილისა და ყველა მისნაირი ახალგაზრდა კორესპონდენტის ცოდვა კოლექტიური ნოდარმელაძის, კოლექტიური ეკაკვესიტაძისა და კოლექტიური ვახოსანაიას კისერზეა, რომლებმაც ისინი პროვოკატორ მედიაზონდერებად აქციეს და კარიერის დასაწყისშივე ლაფში ამოსვარეს!

### კვირგვინოსნები

**პაატა ნაცვლიშვილი**
*ჟურნალისტი*



**ისე ვაჟნად ჩადიოდა მეტროპოლიტენში, თითქოს შიო ბრძანდებოდა, მიტროპოლიტი შიო.**

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



**არახამიას** სანქციას გამოუტანს უკრაინელი ხალხი იმ ყველაფრის გამო, რაც მოუტანა უკრაინას — **არახამია არის არაკაცი!**

ნაცმოძრაობის აქტივისტობა უპირობოდ **პავლიკამოროზოვობას** ნიშნავს. **დეპოლარიზაცია** ბოლშევიკებთან და **პავლიკა მოროზოვებთან** მორიგებით ვერ მიიღწევა. ეს გაკვეთილი საქართველომ ჯერ კიდევ 100 წლის წინ მიიღო. **დეპოლარიზაცია მხოლოდ დეპავლიკიზაციით არის შესაძლებელი,** რასაც 2024 წლამდე მთელ ჩვენს ყურადღებას დავუთმობთ.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



პრეზიდენტიც კი გააგიჟეს, **კობახიძემ ზურაბიშვილს „პავლიკ მოროზოვი"** უწოდა — დახვრიტეს საწყალი პავლიკა.

„რეზონანსი"

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**არათუ ბიჭვინთა, არამედ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ცხინვალის რეგიონი არის დროებით ოკუპირებული რუსეთის მხრიდან.** ჩვენ ჩვენი **გონივრული პოლიტიკით** ვაკეთებთ იმას, რომ ქვეყანაში შენარჩუნებულია სიმშვიდე და სტაბილურობა, ჩვენ ასეთივე **გონივრული პოლიტიკით** ჩვენს ქვეყანას გავაერთიანებთ.

„ინტერპრესნიუსი"

# სინდრომი



## ხედავთ, პროვოკაციულ დახვეწილობას? ხედავთ, რა დონეზე ფლობენ ადამიანის შეურაცხყოფისა და წყობილებიდან გამოყვანის ტექნიკას ნაცტელე-კანალიზაციების სულ ახალგაზრდა ჩიტკორებიც კი?

სწორედ ამას ვუწოდებთ **ჯახუტაშვილის სინდრომს!**

რა თქმა უნდა, ეს სინდრომი ქართულ ნაცმედიაში დიდი ხანია, არსებობს, მაგრამ კონკრეტული სახელი აქამდე არ ერქვა, **კორესპონდენტ ჯახუტაშვილის** მიერ ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაციის შემდეგ კი ხამს, **ჯახუტაშვილის სინდრომი** ეწოდოს და ამ სახელწოდებით დამკვიდრდეს!

**კორესპონდენტმა ჯახუტაშვილმა,** რომელიც ასაკით პატარაა, ხოლო ცოდნითა და განათლებით — კიდევ უფრო პატარა, ცხადია, არაფერი იცის იმის შესახებ, რომ **ირაკლი კობახიძის მამა, საქართველოს მე-3 და მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი** გია **კობახიძე,** ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საკანონმდებლო ორგანოში **ლუსტრაციის კანონის** მიღების ინიციატივა დააყენა და აქტიურად ითხოვდა საბჭოთა უშიშროების აგენტთა ვინაობის გამომზეურებას, რათა მათ დამოუკიდებელ საქართველოში სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლება აღარ ჰქონოდათ!

დიახ, **კორესპონდენტ ჯახუტაშვილს** მისმა დამგეშავებმა ამის შესახებ არაფერი უთხრეს, თუმცა, რომ ეთქვათ, იგი მაინც იმავეს იზამდა, რაც ქნა, რადგან **კორესპონდენტ ჯახუტაშვილისათვის,** როგორც ნამდვილი ნაცჟურნალისტისათვის, მთავარია არა ფაქტები, არამედ აღქმები და მნიშვნელოვანია არა საქართველოს უახლესი ისტორია, არამედ ის, თუ რას ამბობს რუსულად მოლაპარაკე ქართული წარმოშობის უკრაინელი პოლიტიკოსი **დავით არახამია,** რომელიც საქართველოს ღია და გამოკვეთილი მტერია.

აკი, **კორესპონდენტმა ჯახუტაშვილმა** თავად განაცხადა — **ირაკლი კობახიძის მამას „კაგებეს“ აგენტობაში ვი**ღაც რიგითი პოლიტიკოსი კი არა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი დავით არახამია ადანაშაულებსო!**

გამოგიტყდებით, რომ **კორესპონდენტი ჯახუტაშვილი** სრულებითაც არ შეგვცოდებია მაშინ, როცა **ირაკლი კობახიძე** მას სახედაკარგულს ეძახდა და პირის მოწმენდისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ **კორესპონდენტი ჯახუტაშვილი** ძალიან შეგვეცოდა მაშინ, როცა **არახამიას** მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი უწოდა!

აბა, როგორ შეიძლება, გული არ დაგეწვას ახალგაზრდა ქართველი ქალის გამო, რომელსაც ნაცპროპაგანდამ ტვინი ისე გამოურეცხა, რომ სრულიად გაურკვეველი წარმომავლობის პოლიტიკოსი და სრულიად გარკვეული წარმომავლობის **შარლატანი არახამია** მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი ჰგონია?

**ეჰ, კორესპონდენტო ჯახუტაშვილო, სანამ მაგ ნაცტელეკანალიზაციის მიკროფონს ხელში ჯალათი უბირიას ყავარჯენივით დაგაჭერინებდნენ და საზონდეროდ გაგიშვებდნენ, რა კარგი იქნებოდა, ერთი-ორი წიგნი მაინც წაგეკითხა, გონება გაგევარჯიშებინა და ცოტაოდენი ინტელექტუალური უნარები გამოგემუშავებინა?** მაშინ ასე იოლად ხომ ვერ გამოგირეცხავდნენ ტვინს და ბინძური პროპაგანდის იარაღად ვერ გაქცევდნენ!

**ახალგაზრდა კორესპონდენტი ჯახუტაშვილი,** რომელსაც **ირაკლი კობახიძემ** პირის მოწმენდისაკენ მოუწოდა, პირს კი მოიწმენდს, მაგრამ **როგორ მოიწმენდს სამარცხვინო ლაქას, რომელიც მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების პროპაგანდისტულ ორგანოში საქმიანობით თავადვე მიიცხო?**



საერთოდ, **ნატალი ჯახუტაშვილისა** და ყველა მისნაირი ახალგაზრდა კორესპონდენტის ცოდვა **კოლექტიური ნოდარმელაძის, კოლექტიური ეკაკვესიტაძისა და კოლექტიური ვახოსანაიას** კისერზეა, რომლებმაც ისინი პროვოკატორ მედიაზონდერებად აქციეს და კარიერის დასაწყისშივე ლაფში ამოსვარეს!

## ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნონ:

### ნაცბანდის ტელეკანალიზაციებთან საქმის დაჭერა და ნაცკორესპონდენტებისათვის კომენტარის მიცემაც კი დაუშვებელია!

**რაც შეეხება ირაკლი კობახიძესა და საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, მათ, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ ნაცბანდის ტელეკანალიზაციებთან საქმის დაჭერა და ნაცკორესპონდენტებისათვის კომენტარის მიცემაც კი უკვე არამხოლოდ პოლიტიკურად, არამედ მორალურადაც დაუშვებელია!**

როცა დაკავებულ ეჭვმიტანილს თავის უფლებებს აცნობენ, იქვე განუმარტავენ, რომ ყველაფერი, რასაც იტყვის, შესაძლოა, სასამართლოზე მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს კი მუდამ უნდა ახსოვდეთ:

## ყველაფერი, რასაც ნაცტელე-კანალიზაციების კორესპონდე-ნტებთან იტყვიან, გამოყენებული იქნება არამხოლოდ მათ, არამედ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ!

სანამ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ჭკუას არ ისწავლიან, **უტვინო კორესპონდენტ ჯახუტაშვილისნაირთა მედიაზონდერობას** გასავალი ყოველთვის ექნება!




## ჯახუტაშვილის სინდრომი, რომელიც მთელ ქვეყანას შხამავს და წამლავს, მხოლოდ მისი სრული იგნორირებითა და გარიყვით დამარცხდება!

*ჯაბა ხუბუა*

*თემის გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



თუ ფიქრობთ იმას, რომ **მედიამ შეურაცხყოფა გვაყენოს და ჩვენ თავდახრილები ვიდგეთ,** ეს არასწორია — **ოჯახის შეურაცხყოფა კატეგორიულად მიუღებელია!**

„აიპრესი“

**ნანა დევდარიანი**
*„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი*



ნაცმოძრაობა **თავის დროზე რომ გაგვეშვა პოლიტიკიდან,** დღეს ქვეყანაში ასეთი საგანგაშო სიტუაცია არ იქნებოდა.

„საერთო გაზეთი“

**თეა წულუკიანი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



მამის გამო შვილისთვის პასუხის მოთხოვნა **დიდი ქაჯობა, უკულტურობა და უზარმაზარი მანკიერებაა** ჩვენი საზოგადოების.

„რეზონანსი“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**კობახიძის მამა,** შვილთან შედარებით, **უმანკო კრავივით** გამოიყურება.

„რეზონანსი“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



**გია კობახიძის** ხელში ავტომატი არ გვინახავს — **ავტომატიან პუტჩისტებს თქვენს რიგებში მიხედეთ ნაცპუტჩისტებო!**

„ტვიტერი“

**ეკა ბესელია**
*„სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



**კობახიძე,** როგორც პოლიტიკოსი, აღარ უნდა განვიხილოთ!

„ახალი თაობა“



თემის დასაწყისი მე-4 გვერდზე

**„ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ, ᲣᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐ ᲛᲐᲡ ᲙᲐᲒᲔᲑᲔᲨᲜᲘᲙᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ!“**





**„1993 წელს, როდესაც ედპ ლუსტრაციის კანონის მიღების ინიციატივით გამოვიდა, გიორგი კობახიძე ამ პროცესის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო!“**

*ლევან მამალაძე:*

# ᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

***რისთვის ვისჯებით დღეს?! — ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ შეკითხვას სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე პასუხობს და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ამ სიტუაციიდან ერთადერთი გონივრული გამოსავალი ლუსტრაციის კანონის მიღებაა:***

— დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მოყოლებული სახელმწიფოებრიობისთვის ვიბრძვით. ამ ურთულეს პროცესში ჩვენი მეზობლებისა თუ წამყვანი ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის მხრიდან ბევრ წინააღმდეგობას წავაწყდით. როგორც კი რუსეთის ან დასავლეთის მისამართით რაიმე დაუბალანსებელი ნაბიჯი გადაიდგმებოდა, მაშინვე ვისჯებოდით, 1991-2003 წლების სახელმწიფო გადატრიალებაც ამის შედეგი იყო. სიტუაცია დღესაც პიკზეა მისული, თუმცა, ამჯერად აღარ გამოუვიდათ. **ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲧᲝ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲔᲓᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ,** რასაც სიბინძურის უზარმაზარი ტალღა მოჰყვა — ევროპარლამენტარების გამოსვლა და საქართველოს მიმართ აბსურდული ბრალდებების წაყენება, ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების მოთხოვნა, პირდაპირი მუქარები **ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ-ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐᲡ** და მასთან დაკავშირებული პირების მხრიდან, მეხუთე კოლონის გააქტიურება და ა.შ.

**— დღეს რისთვის ვისჯებით?**

— სახელმწიფო ინტერესების დაცვისთვის, იმისთვის, რომ საქართველომ თავისი სუვერენული ფუნქცია გამოავლინა, არ გახსნა რუსეთთან მეორე ფრონტი.

მეხუთე კოლონის და მათი მედიასაშუალებების გააქტიურებას ერთადერთი მიზანი აქვს — საქართველოს ხელისუფლების შესუსტება და სოციალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანა, რათა საშემოდგომოდ ახალი საპროტესტო ტალღა ააგორონ. დიდი თანხებია გამოყოფილი იმისათვის, რომ საქართველოში არეულობა გამოიწვიონ და სისტემა ჩამოშალონ. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აგორებული კამპანიაც, მეხუთე კოლონისა და ელჩების გააქტიურებაც.

**— მიუხედავად იმისა, რომ კელი დეგნანი ყველაფერს უარყოფს?**

— კითხვა ასე უნდა დავსვათ — **ᲠᲐᲢᲝᲛ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲡ ᲐᲜ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ? ᲠᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ?** ფაქტი არის ერთი: ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ბიძინა ივანიშვილისა და კელი დეგნანის შეხვედრის შემდეგ საქართველოს საწინააღმდეგო პროცესები გააქტიურდა — ევროპარლამენტარები პირდაპირ დაუპირისპირდნენ საქართველოს ხელისუფლებას, მოხდა ევროკავშირის კანდიდატობის წევრის სტატუსის შეჩერება. 12-პუნქტიანი რეკომენდაციის გამოგზავნა, Credit Suisse-ის ივანიშვილის წინააღმდეგ გამოსვლა, ზელენსკი-არახამიას ჯგუფის მუქარები უკრაინიდან და ა.შ.

**ᲠᲝᲒᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲐᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ?** შედეგიდან გამომდინარე თუ ვივარაუდებთ, **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐᲖᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲛᲨᲘ ᲩᲐᲗᲠᲔᲕᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ,** რასაც ყველა ეს დაპირისპირება მოჰყვა. აი, ამაზე უნდა დაფიქრდეს საზოგადოება!

**— საუბრის განმავლობაში ბევრჯერ ახსენეთ მეხუთე კოლონა... მაინც, რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ ე.წ. მეხუთე კოლონის შესახებ?**

— მეხუთე კოლონა არის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები, რომლებიც საზღვარგარეთის სხვადასხვა წყაროებიდან და დონორებისგან ფინანსდებიან ამა თუ იმ პროექტებისა და დავალებე-




**„ᲗᲣ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲒᲕᲘᲨᲚᲘᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ, ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ!“**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲜᲘᲜᲝ ᲯᲦᲐᲠᲙᲐᲕᲐ**
*ჟურნალისტი*



მე, **ჟურნალისტი და საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსის“ რედაქტორი ᲜᲘᲜᲝ ᲯᲦᲐᲠᲙᲐᲕᲐ,** კონსტიტუციით მონიჭებული უფლებით, **საქართველოს პრეზიდენტს ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ ვთხოვ,** დიდ ერისკაცს, ქველმოქმედს და ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილს **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ მიანიჭოს ღირსების ორდენი!** ვისაც სურვილი აქვს, შემომიერთდეს და მივმართოთ პრეზიდენტს ხელმოწერებით.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ის, რასაც **ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐᲨᲘ** ვხედავთ, **რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსიის** ფორმაა.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ**
*კულტურის მინისტრი*



რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე მნიშვნელოვან, აგვისტოს ომის საქმეში **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ** ხელის შეშლის მეტი არაფერი მახსენდება, **ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ,** მიპასუხეთ, **სად იყავით ამ ბრძოლაში?!**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲚᲔᲚᲐ ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ**
*ანალიტიკოსი*



ისე ნუ იზიამს მისი გარემოცვა, **ᲠᲝᲛ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** სპეცოპერაციით დააკავონ. მერე ვნახავთ, ვინ ამოიღებს ხმას მის დასაცავად. სანამ დროა, **შეეშვას მისი გარემოცვა ამ უაზრო განცხადებებსა და ეპისტოლეების წერას.** წამმზომი ჩართულია და ყოველი წუთი ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობს.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲡᲐᲓᲦᲔᲚᲐᲫᲔ**
*აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ასოციაციის „არიერგარდის“ გამგეობის თავმჯდომარე*



**ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ხალხთანაა, ᲮᲐᲚᲮᲘ — ივანიშვილთან!**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

ბის შესასრულებლად. როცა გამოდიან ევროპარლამენტარები და ამბობენ, მედიაზე ზეწოლაა და ადამიანების უფლებები ირღვევაო, ეს სწორედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური ჯგუფების დასკვნები გახლავთ, რომლებსაც თვითონ აფინანსებენ.

**ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი სისუსტე ის არის, რომ პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგს მეხუთე კოლონა უკვეთს.**

ხელისუფლებას დრო არ რჩება, მოვლენათა ფორმირება თვითონ მოახდინოს. ახლახან „ოცნების" ერთ-ერთ ლიდერს **ირაკლი კობახიძეს** ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა — **კაგებეშნიკის შვილი ხართო?!** დააკვირდით კითხვის დასმის კონსტრუქციას. შეიძლება, თავად ჟურნალისტი ვერ აცნობიერებს, მაგრამ, ვინც კითხვის ასეთი ფორმულირებით დასმა მოსთხოვა, კარგად იცის, როგორ შექმნას საზოგადოებრივი აზრი და ახალი დღის წესრიგი!

**— რადგანაც ეს კითხვა უკვე დაისვა, მოდით, ვუპასუხოთ — ვინ არის ირაკლი კობახიძის მამა, რომელსაც კაგებეშნიკობას აბრალებენ?**

— გიორგი კობახიძე თავად გახლდათ ლუსტრაციის კანონის ინიციატორი და დღეს გაურკვეველი წარმომავლობის, რუსულ ენაზე მოლაპარაკე, უსამშობლო არახამია მას კაგებეშნიკს უწოდებს. ეს ხომ სრული აბსურდია?! რაიმე ფაქტი რომ ჰქონოდათ, როგორ ფიქრობთ, აქამდე არ ააფრიალებდნენ?!

**გიორგი კობახიძეს** დიდი ხანია, ვიცნობ. 1992 წლიდან ერთად ვიყავით საქართველოს პარლამენტში, მე — მწვანეთა პარტიიდან, ის — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. **1993 წელს, როდესაც ეგა ლუსტრაციის კანონის მიღების ინიციატივით გამოვიდა, გიორგი კობახიძე ამ პროცესის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.** კარგად მახსოვს, როგორც კი დღის წესრიგში დადგა კომისიის შექმნის საკითხი ლუსტრაციის კანონის მოსამზადებლად, რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან დიდი ბრძოლა გაიმართა და დავერბოვკებულებმა აფხაზეთის საკითხის ჩანაცვლებით დაბლოკეს! **კანონს დაქვემდებარებული პირებიც ისხდნენ მაშინ პარლამენტში და წამოხტნენ — რა დროს ეს არის, აფხაზეთის თემაზე ვისაუბროთო. თუ მაშინ ლუსტრაციის კანონის მიღებაში რუსეთი გვიშლიდა ხელს, დღეს ამას კოლექტიური დასავლეთი ეწინააღმდეგება!**

არადა, **ლუსტრაციის კანონის** მიღება აუცილებელია. ყველა დაინახავს — ვინ არის კაგებეშნიკი და ვინ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურზე მუშაობს! გამოჩნდება, რომ ჩვენი საზოგადოება ასეთი პირებით გადატენილია. **ლუსტრაციის კანონის პარალელურად მისაღებია კანონი ცილისწამებისა და უცხოელი აგენტის შესახებ** — იმის ანალოგი, რაც ამერიკაშია. კარგად უნდა გაიშიფროს, რას ნიშნავს **სახელმწიფოს ღალატი.** კოდექსში ბოლომდე არ არის განმარტებული ეს ტერმინი. უამრავი თემატიკაა, რომელიც მეხუთე კოლონას აიძულებს, ჩარჩოში მოექცეს, საიდანაც სახელმწიფოს ვეღარ ავნებს. ამგვარი კანონები არაერთ წამყვან ქვეყანაში მოქმედებს, უბრალოდ, ჩვენ პარტნიორი ქვეყნები არ გვაძლევენ მისი მიღების საშუალებას, რადგან, როგორც კი ის ამოქმედდება, სახელმწიფოზე მათი ზეგავლენის ბერკეტები შესუსტდება.

ვცადოთ, ჩავატაროთ ექსპერიმენტი — ჩემ მიერ ჩამოთვლილი კანონებიდან ხელისუფლებამ რომელიმე შეიტანოს პარლამენტში განსახილველად და ნახავთ, რა ამბავი ატყდება, როგორი ზეწოლის ქვეშ მოექცევა სახელმწიფო ევროკავშირის დეპუტატებისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლების მხრიდან... თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ეს პროცესი გასავლელია. **როგორც კი ამ კანონებს მივიღებთ, ნაკლები საფრთხის წინაშე დავდგებით და დასავლეთს ჩვენი მეტი პატივისცემა ექნება.**

**— როგორ გამოიყურება ქვეყნის პირველი პირი — ირაკლი ღარიბაშვილი ამ ბრძოლაში?**

— **ირაკლი ღარიბაშვილმა** შეძლო, საქართველოსთვის ომი აერიდებინა. ის, რომ დღეს ქალაქები დაბომბილი არ არის, მისი და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა! მიუხედავად არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციისა, მთავრობას აქვს ბალანსი, სახელმწიფო იღებს შემოსავალს, გაზრდილია თვითბრუნვა, გადატვირთულია სატრანზიტო გზები და ა.შ. ამის მიღწევა ამ ვითარებაში ძალიან კარგი შედეგია. **დასაფასებელია ის ნაბიჯები, რასაც ირაკლი ღარიბაშვილი დგამს, ვგულისხმობ მის ვიზიტებს შუა აზიაში, უზბეკეთში, ყაზახეთსა და თურქმენეთში.** ამ დერეფნის მაქსიმალური ამოქმედება უზარმაზარ საშუალებას მისცემს ქვეყანას განვითარებისთვის.

**— პატიმარ სააკაშვილზე რას იტყვით, რომელიც ამჟამად მკურნალობის კურსს საავადმყოფოში გადის და, როგორც ადვოკატი ხაჭაპურიძე ამბობს, სამი დღის მკვდრის ფერი ადევს?**

**– სააკაშვილს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და ჯერჯერობით არ უგია პასუხი იმაზე, რაც 2008 წელს მოხდა – რატომ გადასცა რუსეთს უბრძოლველად ახალგორის რაიონი, კოდორი და ხელუხლებელი შეიარაღება?!**

ისეთი პირობები, როგორიც დღეს მას აქვს, არცერთ პატიმარს არასდროს ჰქონია საქართველოში, მსოფლიოშიც კი ვერ იპოვით მსგავს ფაქტს. **არ მესმის, რით დაიმსახურა ასეთი დამოკიდებულება უმძიმესი დანაშაულების ჩამდენმა ადამიანმა?!**

ამ ეტაპზე ერთ რამეს ვხედავ — პოლიტიკურ ვაჭრობას, რომ როგორმე სააკაშვილი ციხიდან დაიხსნან. მოტივირებული ევროპარლამენტარები და მოსყიდული პირები იმას კი არ ამბობენ, საქართველომ საერთაშორისო სამართლის ესა და ეს პუნქტი დაარღვიაო, არამედ, პირდაპირ აცხადებენ — ამ პირის მიმართ კანონმდებლობა არ აამოქმედოთ, გათელეთ თქვენი კონსტიტუციაო!

არ მინდა, სუბიექტური ვიყო, თუმცა, ამის საფუძველი ნამდვილად მაქვს — **სწორედ სააკაშვილის პირადი დავალებით ვიმყოფებოდი 19 წელიწადი პოლიტიკურ დევნაში, რამაც ჩემი ოჯახის წევრების — მამაჩემის, ბიძაჩემის, სიძის სიცოცხლე შეიწირა.** სხვათაშორის, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ვცადე მასთან შეხვედრა. რა თქმა უნდა, პასუხი ვერ მივიღე. კომუნიკაცია მქონდა პენიტენციურ სისტემასთანაც, მაგრამ, როგორც მაცნობეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავენ მასთან ჩემი შეხვედრის საკითხს, თუ ადამიანის უფლებათა დამცველად დავრეგისტრირდები, ანუ სააკაშვილის დამცველი უნდა გავხდე...

**— მაინც რა გინდათ, ჰკითხოთ?**

**— რატომ ჩაიდინე ასეთი ბოროტება და არაადამიანობა? რატომ მომიკალი ამდენი ადამიანი, იმისთვის, რომ შენი კონკურენტი ვიყავი?!**

**— აპატიეთ სააკაშვილს?**

— მასთან შეხვედრა იმიტომ მინდოდა, რომ გამეგო, რატომ გამიკეთა ეს ყველაფერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელი. როცა განთავისუფლდება, იმედია, ვნახავ და თქვენს შეკითხვას შემდეგ ვუპასუხებ.

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**„დასაფასებელია ის ნაბიჯები, რასაც ირაკლი ღარიბაშვილი დგამს, ვგულისხმობ მის ვიზიტებს შუა აზიაში, უზბეკეთში, ყაზახეთსა და თურქმენეთში. ამ დერეფნის მაქსიმალური ამოქმედება უზარმაზარ საშუალებას მისცემს ქვეყანას განვითარებისთვის!"**

**„ღარიბაშვილმა შეძლო, საქართველოსთვის ომი აერიდებინა. ის, რომ დღეს ქალაქები დაბომბილი არ არის, მისი და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა!"**

**„ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი სისუსტე ის არის, რომ პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგს მეხუთე კოლონა უკვეთს!"**

## კვირგვინოსნები

**მაია ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



როდესაც **ღარიბაშვილმა** და ჩვენმა ხელისუფლებამ ომში ჩართვაზე უარი განაცხადეს, გასაგები იყო, რომ მუშაობა დაიწყებოდა აქ ხელისუფლების ცვლილებაზე. **დღეს ევროპა ღირებულებებისგან დაცლილია, არაფერი გააჩნიათ ლგბტ პროპაგანდის მეტი.**

„FOR.GE"

**დავით არახამია**
*უკრაინის რადაში პარტია „ხალხის მსახურის" ფრაქციის ლიდერი*



**ბიძინა ივანიშვილი** კეთილად თუ არ წავა, აივსება მოთმინების ფიალა, **ხალხი მას მაინც გააგდებს,** ეს უკვე შეიძლება, მოხდეს **რევოლუციით, ძალადობრივი გზით.**

„მთავარი არხი"

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



**დავით არახამია** გამოირჩევა უბინძურესი მესიჯბოქსით, **უკრაინაში ომია და მას სცალია ყოველ მეორე დღეს საქართველოსთვის**, იმის მცდელობისთვის, რომ საქართველოც იმავე მდგომარეობაში ჩადგეს.

„პირველი არხი"

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის" წევრი, პარლამენტარი*



**არახამიას** თავი **ჩე გევარა** თუ ჰგონია და შეუძლია, ქვეყანაში ჩამოვიდეს, რაღაც რევოლუცია მოაწყოს, **რევოლუციები ასე არ ტარდება!**

„პირველი არხი"

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც იგრძნობა და აშკარად შეიმჩნევა გარკვეული პოლიტიკური ძალების არსებობა, რომელთაც **საქართველოში ომის გაჩაღება სურთ.**

„რეზონანსი"

# გერონტოფილია, ანუ ოთხი ძაან ხერხეულიძე

***ნაცსექტის ოთხი დეპუტატი — ეკა ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური, გიორგი პატარაია და „სიდედროვიჩად“ წოდებული აკაკი მინაშვილი გერონტოფილიით, ანუ ავადსახსენებელი კუდ-ის მაღალჩინოსნისა და ინტერპოლის მიერ ძებნილი გერონტი ალანიას სიყვარულით იტანჯებიან!***



ძებნილი გერონტი ალანია









ეკა ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური, აკაკი მინაშვილი, გიორგი პატარაია

## ზვიად გამსახურდიას შემდეგ ქალი თუ კაცი სააკაშვილს რომ გაიხდი ბელადად და მოძღვრად, ნამდვილად სადომაზოხისტი უნდა იყო!

**გერონტი ალანია,** რომელიც გირგვლიანის საქმის გამო დაიჭირეს და სააკაშვილმა შეიწყალა, სისხლის სამართლის კიდევ ორ საქმეშია გამტყუნებული. კერძოდ, 2005 წელს ერთ-ერთ რესტორანში ისევ და ისევ ვანო მერაბიშვილის მეუღლესთან უსიამოვნო საუბრის გამო, **გერონტი ალანია** დათა ახალაიასთან და კუდ-ის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად სასტიკად გაუსწორდა მოქმედ პოლიციელებს — **მალხაზ აზარაშვილსა და ზაზა მესხს.** ასევე **გერონტი ალანიამ** და კუდ-ის სხვა მაღალჩინოსნებმა **დათა ახალაიას** ბრძანებით ტაბიძის ქუჩიდან ოქროყანის ტყეში გაიტაცეს მოქალაქეები — **ვამეხ აბულაშვილი** და **კახაბერ დაბრუნდაშვილი,** რომლებიც დააჩოქეს, წიხლებით სცემეს, მათ შორის, სახეში და იარაღის მუქარით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ. ამის შემდეგ მძიმედ ნაცემი ორივე პირი ოქროყანის ტყეში დატოვეს.

ყველა ამ სიბინძურისა და სიბილწის ჩამდენი **გერონტი ალანია** ახლა გერმანიაში წინასაექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფება და იმ დღეს ელის, საქართველოში როდის ჩამოათრევენ, ხოლო **გერონტი ალანიაზე** გულშევარდნილი ნაცსექტანტები, ანუ **გერონტო**ფილები — **ეკა ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური, გიორგი პატარაია და აკაკი მინაშვილი** მიუნხენის სასამართლოს საიდუმლო წერილს წერილზე უგზავნიან და იქაურ მოსამართლეებს ამუნათებენ — აქაოდა, **გერონტი ალანია** „პოლიტიკურად დევნილია“, რომელსაც საქართველოში საშინელი ტანჯვა ელოდება და ამიტომაც ქართულ მართლმსაჯულებას არ გადმოსცეთო!

რას იზამს გერმანული სასამართლო, არ ვიცით, თუმცა, რას იზამენ ნაცები, ვიცით...

კლასიკური განმარტებით, **გერონტო**ფილია მოხუცისადმი სექსუალურ ლტოლვას ნიშნავს! საგანგებო ცნობარში გარკვევით წერია, რომ ქალებში **გერონტოფილია** შესაძლოა, გამოწვეული იყოს სადომაზოხისტური მიდრეკილებით. კაცმა რომ თქვას, სიმპტომატიკა ზუსტად არის აღწერილი, რადგან **ზვიად გამსახურდიას შემდეგ, ქალი თუ კაცი სააკაშვილს რომ გაიხდი ბელადად და მოძღვრად,** ნამდვილად სადომაზოხისტი უნდა იყო!



„ოცნების“ ოპონენტი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა 2012 წლის ოქტომბერში, ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილების შემდეგ. მომდევნო წლების განმავლობაში, ალანიამ თავშესაფარი იპოვა საქართველოს ფარგლებს გარეთ. უკრაინაში ომის დაწყებიდან ალანია იყო ჩართული უკრაინისთვის მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ მისიაში კრიტიკულ პერიოდში და ეხმარებოდა უკრაინელი ომის ლტოლვილებს. ასევე ალანიამ მოიპოვა სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდების მხარდაჭერა უკრაინისთვის.

ჩვენ ვიცით, რომ საპატიო სასამართლო განიხილავს საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ და გთხოვთ, გაითვალისწინოთ ამ საქმის პოლიტიკური ხასიათი. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, უნგრეთი, ავსტრია, ფინეთი, იტალია, ბულგარეთი და საბერძნეთი, უარი თქვეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების საქართველოში ექსტრადირებაზე. ამ სახელმწიფოებიდან ბევრმა მიიღო თავშესაფარი პოლიტიკური დევნის საფრთხის გამო.

თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი უმაღლესი პატივისცემა და ულრმესი მადლობა.

ეკატერინე ხერხეულიძე
საქართველოს პარლამენტის
პოლიტსაბჭოს წევრი

**ამ წერილით დასტურდება, რომ ეს აღვირახსნილი გერონტოფილები, რომლებიც გირგვლიანის ერთ-ერთ მკვლელსა და მწამებელს „პოლიტიკურ დევნილად“ აცხადებენ, თავიდან ბოლომდე საქმის კურსში იყვნენ იმ ცოცხებისა და პრეზერვატივიანი ხელკეტების შესახებ, რომლითაც წყეული სააკაშვილის თემურ უბირიები და კოხტა კოდუები ადამიანებს აუბედურებდნენ!**

აი, მაგალითად, სრულიად ახალგაზრდა და ცქნაფა **ეკა ხერხეულიძეს გერონტო**ფილია ჯერ კიდევ მაშინ შეეყარა, როცა თბილისის გაგანია ომის დროს უზენაესი საბჭოს სასადილოში, რომელიც ხუნტის დამქაშებმა „ბუნკერად“ მონათლეს, ხან წვერებიან **ნემო ბურჭულაძეს** ეჯდა კალთაში და ხანაც — რომელიღაც მღვდელს... **ეკა** მაშინ იმ ავადსახსენებელ „ბუნკერში“ ყირაზე გადადიოდა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ **ეკა ხერხეულიძე** ხუნტის ქორ-მაძებრებთან დაპირისპირებაში იშვიათ გამბედაობასა და ამტანობას ამჟღავნებდა, მაგრამ ეს ყველაფერი ბოლოს იმით დასრულდა, რომ **არტოშანი აღიარა და სააკაშვილს ჩაუშაქრდა,** რომელიც საქართველოს პირველ პრეზიდენტს **„კავკასიის სადამ ჰუსეინს“** უწოდებდა.

რაც შეეხება **ნუგზარ წიკლაურს,** ნუგზარიც გაქანებული **გერონტო**ფილია. ერთხელ, როცა სადარბაზოსთან „გაჩოთქეს“, ქალაქში ხმა დაირხა — ეს გათახსირებული წიკლაური მართლაცდა აყროლებული **გერონტო**ფილი ყოფილა, ვიღაც ბებიამისის ტოლა ქალთან დაეთრეოდა და იმ ქალის შვილიშვილებმა თუ შვილთაშვილებმა სცემესო!

**გიორგი პატარაიას** შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ **აკაკი მინაშვილის** სიდედრი, ქალბატონი **ლიანა** ნამდვილად **გერონტო**ფილია — ისე უყვარს **გერონტი ალანიაც,** სიძეც და თან ისეთი სადომაზოხისტია, 2009 წელს თავისუფლების მოედანზე გაშლილი კარვები სულ ერთიანად დაბღღვნა!

მოკლედ, ვითარება უმძიმესია, რასაც ამ მართლაცდა **„ოთხი ძაან ხერხეულიძის“** მიერ გერმანიაში გაგზავნილი წერილიც ადასტურებს! სხვათაშორის, როგორც წერენ, ნაცმოძრაობაში ამ წერილის არსებობის შესახებ უმრავლესობამ ყურმოკვრითაც კი არაფერი იცოდა და თავიდან ეს ყველაფერი ჟურნალისტების ხუმრობა ეგონათ...

ამ წერილით დასტურდება, რომ ეს აღვირახსნილი **გერონტოფილები,** რომლებიც გირგვლიანის ერთ-ერთ მკვლელსა და მწამებელს „პოლიტიკურ დევნილად“ აცხადებენ, თავიდან ბოლომდე საქმის კურსში იყვნენ იმ ცოცხებისა და პრეზერვატივიანი ხელკეტების შესახებ, რომლითაც წყეული **სააკაშვილის თემურ უბირიები და კოხტა კოდუები** ადამიანებს აუბედურებდნენ.

გერმანიაში გაგზავნილი წერილი იმასაც ადასტურებს, რომ ეს **„ოთხი ძაან ხერხეულიძე“ — ეკა, ნუგზარაი, აკაკი** და **გიორგი გერონტი ალანიასთან,** ოლეგ მელნიკოვთან და კიდევ სხვა წყეულებთან ერთად შესაძლოა, პირადადაც კი მონაწილეობდნენ პატიმრების გაუპატიურებასა და წამებაში, თორემ ამ უბედურებისა და სიბილწის შესახებ რომ დაზუსტებით იცოდნენ, ამას წყალი არ გაუვა!

**ცხრა ძმა ხერხეულიძე** 1625 წლის 1 ივლისს მარაბდის ბრძოლაში საქართველოს დროშის დაცვას შეეწირა. **გადმოცემის თანახმად, ბრძოლის ველზე იყო მათი ერთადერთი და და როცა ისიც დაეცა, დედამ აღმართა დიდგორისა და ბასიანში გამოვლილი დროშა გორგასლიან-დავითიან-თამარიანი...**

**ცხრა ძმა ხერხეულიძისგან** განსხვავებით, **„ოთხმა ძაან ხერხეულიძემ“** საქართველოში სიბილწის, გარყვნილების, კაცების გაუპატიურების, დაჩოქების, გორის ტრასაზე სააკაშვილის წაკუზვის, ბათუმის აკვატორიაში წყალქვეშა სასაფლაოს გახსნის, ქონების წართმევის, ბიზნესების „ახევის“, ეკლესიების ნგრევის, ლესბოსელთა და მამათმავალთა აღზევებისა და ქართული განათლების მოსპობის დროშა აღმართა.

## ცხრა ძმა ხერხეულიძე საქართველოს სიყვარულში ჩაიხოცა, ხოლო „ოთხ ძაან ხერხეულიძეს“ გერონტოფილიით ძვრება სული და იმ დღეს ელის, როცა გერონტი ალანიაც, სააკაშვილიც, ახალაიებიც, კოდუებიც და მთელი მათი სამგლეთი ქვეყანას კიდევ ერთ საბედისწერო ომში ჩაითრევენ.

**ეკა კვესიტაძე,** რომელსაც ცხონებულმა თამაზ წივწივაძემ ურჩია — **ეკა, ჩამოდი სააკაშვილის მუხლებიდანო!** — სააკაშვილის მუხლებს დააკვდა და ისევ იქ დარჩა...

ხოლო **ეკა ხერხეულიძე ნემო ბურჭულაძის მუხლებიდან ჩამოვიდა, მაგრამ სააკაშვილის მუხლებზე აცოცდა,** სადაც მას **კვესიტაძემ, ბოკუჩავამ, სამადაშვილმა, მამულაშვილმა, მაია ორჯონიკიძემ და მეგი გოცირიძემ ანტრესოლი დაუთმეს!!!**

***დიტო ჩუბინიძე***

# არიარაობა,
## ანუ მსოფლიო ბანის სტატუსიდან პოლიტიკურ მაჭუტიზმამდე



***მოგახსენებთ პაატა ბურჭულაძეზე, რომელიც ერთ დროს საოპერო სცენაზე იდგა და არიებს მღეროდა, მერე კი პოლიტიკურ არიარაობად იქცა!***

**არიარაობა** ჩვენ მიერ შემოტანილი ახალი ტერმინია, რაც **არიების** მომღერალ **არარაობას** ნიშნავს, თუმცა, საავტორო უფლებაზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ და ნებას ვრთავთ ნებისმიერ მსურველს, ერთ დროს **არიების** მომღერალი და მერე პოლიტიკურ **არარაობად** გადაქცეული ბურჭულაძე **არიარაობად** მოიხსენიოს.

მაინც რამ გაგვახსენა ეს **არიარაობა,** რომელიც 2016 წელს ქართულ პოლიტიკაში ცხვირის შემოყოფიდან სულ რამდენიმე თვეში ისე გამარგინალდა და დეგრადირდა, რომ მის მიერ დიდი ამბით შექმნილი პარტიის თავმჯდომარედ ბოლოს, არც მეტი, არც ნაკლები, **ეგზოტიკური ნიკა მაჭუტაძე** მოგვევლინა?

საქმე ის არის, რომ პოლიტიკურმა **არიარაობა** ბურჭულაძემ, რომლისგანაც მაჭუტაძეღა არის დარჩენილი, ღია წერილით მიმართა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს **კელი დეგნანს.**

**მსოფლიო ბანის სტატუსიდან პოლიტიკურ მაჭუტიზმამდე დეგრადირებული ბურჭულაძის** წერილის პათოსი იმდენად მონური და პირმოთნეულია, რომ, თუ ავტორის ვინაობა წინასწარ არ იცი, იფიქრებ — ნამდვილი **არარაობის** დაწერილიაო, ხოლო, როცა ნახავ, რომ წერილის ავტორი ბურჭულაძეა, დაასკვნი — ნამდვილ **არიარაობას** დაუწერიაო!

**არიარაობის** ღია წერილი ამერიკის ელჩისადმი ეხება „ქართული ოცნებიდან" გასული სამი დეპუტატის — **სოზარ სუბარის, მიხეილ ყაველაშვილისა და დიმიტრი ხუნდაძის** ასევე ღია წერილს ასევე ამერიკის ელჩისადმი. ბურჭულაძის წერილი ასე იწყება *(ავტორისეული სტილი და პუნქტუაცია აქ და სხვაგანაც სრულად არის დაცული. რედ):* **„თქვენო აღმატებულებავ, დღეს წავიკითხე სამი აღშფოთებული „პატრიოტი" დეპუტატის თქვენდამი გზავნილი ღია წერილი. ჯერ მინდოდა მათთვის მიმეწერა იმ არარაობაზე და მავნებლობაზე, რაც იმ წერილშია მოყვანილი, მაგრამ მერე გადავიფიქრე, რადგან მივხვდი, რომ ამას აზრი არ ექნებოდა".**

რაოდენ სამწუხაროა, რომ კაცს, რომელიც ერთ დროს მსოფლიოში ქართული კულტურის სახეს წარმოადგენდა, თურმე, ქართული ენა არ სცოდნია და ორთოგრაფია-პუნქტუაციაში მესამე კლასის მოწაფის დონემდეც კი ვერ მიუღწევია, მაგრამ ეს იქით იყოს! **არიარაობა** ბურჭულაძის წერილში ყველაზე მთავარი აი, ეს პათოსია: **„თქვენო აღმატებულებავ, მაპატიეთ, რომ მოგმართავთ ამ თხოვნით: თქვენ დიდი ქვეყნის ძლიერი დიპლომატი ბრძანდებით. უკეთ იცით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ჩემი, როგორც საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქის თხოვნა იქნება, რომ არ აყვეთ მათ პოლემიკაში. ქართველებს გვაქვს ანდაზა: ძაღლი იყეფებს, იყეფებს და გაჩერდება. მათი წერილი აღიქვით, როგორც ბიძინა ივანიშვილის მცდელობა ჩაგითრიოთ პროვოკაციაში".**

გესმით, ხომ? **არიარაობა** წერს ამერიკის ელჩს — **თქვენო აღმატებულებავ, მომიტევეთ, რომ თხოვნას გიბედავთო! მაპატიეთ, რომ თუნდაც რჩევა შემოგკადრეთ ასეთი დიდი ქვეყნის ასეთ ძლიერ დიპლომატსო!**

დღეს, 21-ე საუკუნეში, დემოკრატიის პირობებში, ბურჭულაძეს ასეთი დამოკიდებულება რომ აქვს დემოკრატიული ქვეყნის ელჩისადმი, **ადვილი წარმოსადგენია, როგორ ეგებოდა იგი ფეხქვეშ საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენლებს, როგორ ძვრებოდა ნემსის ყუნწში ცეკას მდივნებისა და სხვა პარტიული ამხანაგების წინაშე, თვინიერი ფინიასავით როგორ ელაქუცებოდა მათ!** ღმერთო, რა სირცხვილია, რომ ასეთი ქვემძრომული მენტალიტეტის კაცი, ასეთი მონური ფსიქოლოგიის **არიარაობა** ერთ დროს მსოფლიოში ქართული კულტურის სახე იყო!

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **არიარაობა** ბურჭულაძე, იმის გამო, რომ „დიდი სახელმწიფოს ძლიერ დიპლომატს" ასიამოვნოს, საკუთარ თანამემამულეებს, ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეულ პარლამენტის წევრებს ძაღლებს ადარებს — **იყეფებენ, იყეფებენ და გაჩერდებიანო!**

სხვათაშორის, ბურჭულაძე მარტო ქართული ენის ორთოგრაფია-პუნქტუაციაში კი არა, ქართულ ანდაზებსა და ხატოვან სიტყვა-თქმებშიც უვიცი ყოფილა! დიახ, ქართული ანდაზა — **ძაღლი იყეფებს, იყეფებს და გაჩერდება** — ბუნებაში არ არსებობს! ზოგადად, ქართულ ენასა და ზეპირსიტყვიერებაში არაერთი ანდაზა გვხვდება, რომელშიც ძაღლი ფიგურირებს — **ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდა; ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის; ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევს; ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს; ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირე** და ასე შემდეგ, მაგრამ ანდაზა — **ძაღლი იყეფებს, იყეფებს და გაჩერდება** — აქამდე არავის გაუგია.

კიდევ ერთი ანდაზა, რომელშიც **ძაღლი** ფიგურირებს და რომელიც **პოლიტიკურ არიარაობად ქცეულ ბურჭულაძეზე** გახლავთ ზედგამოჭრილი, ასეთია — **მშიერი ძაღლი პატრონს უკბენსო!**

**არიარაობა** ბურჭულაძე საკუთარი პატრონის, ანუ საკუთარი სამშობლოს — საქართველოს კბენით ჯერ კიდევ მანამდე იყო დაკავებული, სანამ პოლიტიკაში შემოვიდოდა და მოკლე ხანში გამაჭუტაძდებოდა!

დიახ, **არიარაობა** ბურჭულაძე, ვითარცა მშიერი ძაღლი, საკუთარ პატრონს — საქართველოს ჯერ კიდევ მაშინ კბენდა, როცა სააკაშვილის მკვლელ, მწამებელ და გამაუპატიურებელ რეჟიმს უჭერდა მხარს; როცა საკუთარი დუმილით უკრავდა კვერს სანდროს, ბუტას, ზურა ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, როინ შავაძისა და სხვა უდანაშაულო ბიჭების ქუჩაში დახვრეტას, სერგო თეთრაძისა და სულხან მოლაშვილის წამებას, 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციების სისხლში ჩახშობას, მშვიდობიანი დემონსტრანტების — ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის ცემით მოკვლასა და მათი ცხედრების ჯიხურის სახურავზე შელაგებას, დათო ცინდელიანისა და პაატა ქარდავას შუა ზღვაში დახვრეტას და მათი გვამების წყალში ჩაძირვას... **კი, ამ ყველაფრის მხარდამჭერი იყო არიარაობა ბურჭულაძე, როცა ნაცრეჟიმის მხარეს იდგა და მახათას მთაზე ტაძრის საძირკვლის ჩასაყრელად მისულ ალკოჰოლით გატრეტილ თუ ნარკოტიკით გატიალებულ სააკაშვილს ლამის ილლიაში თავის შეყოფამდე ეხუტებოდა!**

**არიარაობად** ქცეული **ბურჭულაძე** განსაკუთრებით მას შემდეგ დაიმშა და საკუთარი პატრონის დამკბენელი ძაღლის როლში ბოლომდე მას მერე შეიჭრა, რაც ხანმოკლე პოლიტიკური კარიერა სამარცხვინოდ დაასრულა და ქართველი ამომრჩევლისაგან წითელი ბარათის მიღების მიზეზს საკუთარ თავში კი არ დაუწყო ძებნა, არამედ ბიძინა ივანიშვილზე დაიბოღმა!

ღმერთმანი,

**ძალიან სამწუხაროა და ერთობ მძიმე საყურებელია ასეთი პოლიტიკური და მორალური დაცემა კაცისა, რომელიც ერთ დროს საქართველოს მართლაც ეამაყებოდა და ქართულ კულტურას მსოფლიოს უდიდეს საოპერო სცენებზე წარადგენდა!**

როგორც ჩანს, **პაატა ბურჭულაძეს** გარემოცვაში ჭკვიანი კეთილმოსურნეც აღარ შერჩა, რომელიც ურჩევდა, გაჩუმებულიყო და საკუთარი თავის დასამარება შეეწყვიტა!

როგორც ჩანს, **არიარაობას** მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, სააკაშვილსა და ნაცბანდას პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეს, ჩვენ კი არც უფლება გვაქვს და აღარც სურვილი, მას ამაში ხელი შევუშალოთ!

***ჯაბა ხუბუა***



**პაატა ბურჭულაძისა და მიხეილ სააკაშვილის ჩახუტება მახათას მთაზე. 2012 წელი**

**არიარაობა ბურჭულაძე, ვითარცა მშიერი ძაღლი, საკუთარ პატრონს – საქართველოს ჯერ კიდევ მაშინ კბენდა, როცა სააკაშვილის მკვლელ, მწამებელ და გამაუპატიურებელ რეჟიმს უჭერდა მხარს!**

## კვირგვინოსნები

**ფარნაოზ ჭკადუა**
*„თავისუფალი ზონის" წევრი*



რვა წლის წინათ, 2014 წელს, **ფიზიკური კონფლიქტი მომივიდა ქუჩაში ჟურნალისტ და ყოფილ პოლიტპატიმარ ზაზა დავითაიასთან,** განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო. ჩვენ განსხვავებული პოზიციები გვაქვს, მაგრამ მჯერა, რომ **ზაზა დავითაია არის პატიოსანი კაცი და პატიოსნად დგას იმ პოზიციაზე, რაზეც იდგა. არც მოღალატე არ არის, როგორც მაშინ ჩვენ დავარქვით, არც ფულს არ იღებს და დარწმუნებული ვარ, არც აუღია საქართველოსთვის საწინააღმდეგო საქმისთვის.** ამ გადმოსახედიდან მივხვდი, რომ ჩემი მხრიდან იყო გადამეტება და ამის გამო **ბოდიშს ვუხდი პირადად მას და ისიც, ალბათ, ხვდება, რომ მე საქართველოსთვის ცუდი არ მინდა...**

რა თქმა უნდა, ჩვენ დღემდე ვრჩებით მდინარის სხვადასხვა ნაპირას განსხვავებული პოზიციური შეხედულებების გამო.

**ვითხოვ საჯაროდ მიტევებას ზაზა დავითაიასგან.**

„ფეისბუქი"

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



ნამდვილად იგეგმებოდა საქართველოში **მეორე ფრონტის გახსნა** და უკრაინისთვის ტრაგიკული ხვედრის ჩვენი ქვეყნის ხარჯზე შემსუბუქება, რის გამოც **არნახული ზეწოლა მიმდინარეობდა საქართველოს ხელისუფლებაზე. ზეწოლა მიმდინარეობდა** პირადად **ბიძინა ივანიშვილზე,** რომელსაც აშანტაჟებდნენ შვეიცარიული ბანკის მეშვეობით, საკუთარ აქტივებზე წვდომის ხელოვნური ბარიერების შექმნით, ევროპარლამენტის რეზოლუციაში ოლიგარქად მოხსენიებით, სანქციების მუქარით.

„პირველი არხი"

**დემურ გიორხელიძე**
*ანალიტიკოსი*



მანახეთ, წინა ხელისუფლებიდან **თუნდაც ერთი დასავლური ორიენტაციის კაცი,** რომელიც იმას აკეთებს, რამაც დასავლურ სახელმწიფოებს წარმატება მოუტანა. **სააკაშვილი ან მისი გარემოცვა იყო დასავლური ორიენტაციის?! ისინი ორიენტირებულნი იყვნენ ფულზე** და დღესაც ეს 12-პუნქტიანი გეგმა სწორედ ფულისთვის სჭირდებათ.

„საერთო გაზეთი"

*ორი მკვლელისა და ტერორისტის — სააკაშვილისა და ბარამიძის მიერ 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში საკუთარ სახლში გამომწვარი ევგენი აფრასიძის ვაჟი და დახვრეტილი ომეხ აფრასიძის ძმა გოჩა აფრასიძე „ასავალ-დასავალით“ უკანასკნელ განცხადებას ავრცელებს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს საგანგებოდ მიმართავს. აფრასიძეების დიდი და ძლიერი ოჯახის წარმომადგენელი, რომელმაც სააკაშვილის ჯოჯოხეთი გამოიარა და სამართალი ვერც დღევანდელი ხელისუფლების პირობებში იპოვა, გვარწმუნებს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს:*



გოჩა აფრასიძე:

# „რა გზასაც გინდა, დაავადგე, ციხეში ცოცხალი არ შევალ!“



„ღარიბაშვილს, როგორც ტრადიციებზე აღზრდილ ქართველ ვაჟკაცს, პატივს ვცემ!“

# ვიდრე თავზე ხელს ავიღებდე, მაინც მინდა, შევხვდე ირაკლი ღარიბაშვილს!

— შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ **ვლადიმერ მურავიოვი,** რომელიც წლების განმავლობაში ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა და გვეხმარებოდა, 9-წლიანი უსამართლო პატიმრობის შემდეგ ისევ დაგვიბრუნდა და დღეს წალკაში ჩვენს ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ჩვენ თუ მწამებლები და მოძალადეები ვიყავით, თუ ამ კაცს შეურაცხყოფას ვაყენებდით და აბუჩად ვიგდებდით, ცხრა წლის შემდეგ ციხიდან გათავისუფლებული კაცი ისევ დაბრუნდა და ჩვენს ჭერქვეშ დაიდო ბინა? სხვათაშორის, მურავიოვს მეშვიდე საპყრობილეში რომ აწამებდნენ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველ შენობაში მეექვსე თუ მეშვიდე სართულზე დენი შეუერთეს, ამ ყველაფერს **ზურაბ ადეიშვილი** ხელმძღვანელობდა. ეს ვლადიმერ მურავიოვმა ბევრჯერ თქვა, მაგრამ კაციშვილი ყურადღებას არ აქცევს!

**— ბატონო გოჩა, რა მოხდა სინამდვილეში, სააკაშვილმა თქვენი ოჯახი მიზანში რატომ ამოიღო?**

— ალბათ, მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სააკაშვილს, რომელიც „ქათამია“ და მთელი მაგის ბანდაც „ქათმებით“ არის სავსე, ჩვენისთანა ქართველების, დაუმორჩილებელი და გაუტეხელი ხალხის არსებობა ნერვებს უშლიდა! აი, ეგ იყო მთავარი მიზეზი, თორემ თუ ომეხის დაჭერა უნდოდათ, მაგას სპეცოპერაცია და იმდენი უბედურება რაში სჭირდებოდა?! **მამაჩემს ჭირივით სძულდა შევარდნაძე, მაგრამ შევარდნაძეც კი მოერიდა უაზრო სისხლისღვრას და 2002 წელს შემოგვირიგა.** გენერალი **ელგუჯა ჯამბურია** იყო ამოსული — თიკა ჯამბურიას მამა, როცა ჩვენ ჩავაბარეთ იარაღები და ხელისუფლებას შევურიგდით... სამაგიეროდ, შევარდნაძემ დატოვა ახალგაზრდა სატანა, რომელმაც დააქცია არა მარტო ჩვენო ოჯახი, არამედ მთელი საქართველო!

**— შევარდნაძის დროს რა იყო თქვენი განდგომის მიზეზი, კანონთან წინააღმდეგობაში რის გამო მოხვედით?**

— არ მინდა ამ თემაზე პრესის ფურცლებზე ლაპარაკი, მაგრამ მოხდა ერთი შემთხვევა, რაშიც მთელი სვანეთი დამემოწმება, რომ ჩვენი ოჯახი ცამდე მართალი იყო. დიახ, ჩვენ ვიყავით მართლები და დავიცავით კაცური ღირსება. აი, ამის გამო იყო, რომ ხელისუფლებასთან კონფლიქტი მოგვივიდა, თუმცა, მაშინ ეს ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა...

**— ახლა რა ხდება თქვენს საქმეში, არის რამე სიახლე?**

— არაფერი, ჩემო ძმაო, არაფერი! გვატყუებენ ყოველდღე... **პროკურატურამ, როგორც იქნა, დაზარალებულად გვცნო, მაგრამ სასამართლო, სადაც უკვე ერთ წელზე მეტია საქმე გადაგზავნილი, მიზანმიმართულად არ იმართება და „გვაბოლებენ“ – რიგში ხართ, უნდა მოიცადოთო!**

**— თუ დაზარალებულად გცნეს, მესტიაში, სოფელ ეცერში იმოდენა სახლ-კარი რომ გადაგიბუგეს და დაგინგრიეს, კომპენსაციას არ გაძლევენ?**

— როგორც ვიცი, ექსპერტიზამ ზარალი შეაფასა, მაგრამ არავინ არაფერს გვაძლევს! სახელმწიფოს არც არაფერს ვთხოვ, მაგრამ **ვითხოვ და მოვითხოვ, რომ მესტიის რაიონის სოფელ ეცერში მამაჩემის — ევგენი აფრასიძის სახლი პირვანდელი სახით აღდგეს იმ ფულით, რომელიც ორმა ტერორისტმა და „ქათამმა“ — სააკაშვილმა და ბარამიძემ ქართველი ხალხისგან მიიტაცეს!**

ტერორისტებს ჩვენ გვეძახდნენ და მაგათზე მეტი ტერორისტი ვინ არის, როცა ავიაციის საშუალებით დაბომბეს სახლი, სადაც მაშინ ჩემს მცირეწლოვან ძმისშვილებს, ოთხ ბავშვს ეძინა? წამიკითხავს და გამიგია, რომ ასეთ დროს, ბინ ლადენიც რომ ყოფილიყო იმ სახლში, არავითარ შემთხვევაში თავდასხმა არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ „ქათმებს“ — სააკაშვილსა და ბარამიძეს ბავშვების სიცოცხლე უღირთ რამედ თუ დიდების? მე სვანი კაცი ვარ, ქართველი კაცი ვარ და ჩემი თავის შეურაცხყოფად მიმაჩნია, ამ ნაძირალებზე პრესის საშუალებით რომ ვლაპარაკობ. აწი მაგათ ისე დაველაპარაკები, როგორც საჭიროდ ჩავთვლი! ეს გამოსვლა ბოლოა... **აწი სალაპარაკო არავისთან არაფერი მაქვს და გადაწყვეტილებაც მიღებული მაქვს, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო!**

**— რას აპირებ?**

— არ ვიცი, ტყეში გავიჭრები, იარაღს ავიღებ, თუ რას ვიზამ, რათა ჩემი ოჯახის გამანადგურებლებს — **სააკაშვილსა და ბარამიძეს** პასუხი ვაგებინო, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი — აწი ციხეში ჩემი ფეხით შემსვლელი არ ვარ! **კიდევ ერთხელ ვაცხადებ: ძალიან კარგად ვიცი, რომ ვაჟკაცი კაცი, რომელსაც სააკაშვილმა და ბარამიძემ მამა ცეცხლში გამოუბუგეს, ხოლო ძმა ეზოში დაუხვრიტეს, ამ „ქათმებს“ გაზეთით არ უნდა ელაპარაკებოდეს!** დიახ, ეს ვიცი და არავისგან მესწავლება... მაგრამ, ვიდრე თავზე ხელს ავიღებდე, მაინც მინდა, შევხვდე **ირაკლი ღარიბაშვილს,** რომელსაც პატივს ვცემ,



## „მურავიოვს მეშვიდე საპყრობილეში რომ აწამებდნენ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველ შენობაში მეექვსე თუ მეშვიდე სართულზე დენი შეუერთეს, ამ ყველაფერს ზურაბ ადეიშვილი ხელმძღვანელობდა!“

## კვირგვინოსნები

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



გოგაშვილის **ყველა მასალა უკანონოა და სასამართლოში არ გამოდგება,** მაგრამ დასავლეთისა და ქართველი ამომრჩევლისთვის, შეიძლება, მტკიცებულებაა.

„ახალი თაობა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**საქართველოში ჩამოსული ყველა რუსი,** მათ შორის, პუტინის პოლიტიკის მოწინააღმდეგეც, **რუსეთზე მუშაობს ან პოტენციურად იმუშავებს** ნებსით თუ იძულებით, **ანუ გადმოსხმულია ათეულათასიანი დესანტი, რომელიც შიგნიდან ხრავს ქართულ სახელმწიფოებრიობას.**

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



ხელისუფლებას ეშინია, რომ **რუსეთმა შეიძლება დაიწყოს საომარი მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგაც.** ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ ცდილობენ ე.წ. ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას.

„კვირის პალიტრა“

**ხათია დეკანოიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**დავით არახამიას** სრულად ვეთანხმები. **დიახ, იანუკოვიჩები** მიდიან და, თუ მშვიდობიანი გადაბარებით არ მიდიან, მას **ხალხი რევოლუციის გზით აგდებს!**

„ახალი თაობა“

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*



ოპოზიციის გეგმებში არ შედის ევროინტეგრაცია, ქვეყნის განვითარება და წინსვლა. მათ ერთადერთი დღის წესრიგი აქვთ — **რევოლუცია, რევოლუციური გზით მათი ბელადების ციხიდან დახსნა და ხელისუფლებაში დაბრუნება!**

„ახალი თაობა“

როგორც ტრადიციებზე აღზრდილ ქართველ ვაჟკაცს! ბატონ ირაკლისთან სათქმელი მაქვს...

**— რა უნდა უთხრა, გოჩა?**

— **პირისპირ უნდა ვუთხრა ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს იმ ადამიანის გვარი და სახელი, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, მაღალი თანამდებობა აქვს და სააკაშვილი და ბარამიძე ჩემზე ნაკლებად არ ეზიზღება, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, სწორედ მისი „დამსახურებით“ ხდება, რომ არც სასამართლო პროცესი იმართება, კომპენსაციის საკითხიც გაყინეს და კაციშვილი ძაღლად არ გვაგდებს!**

**— ვინ არის ეს პიროვნება?**

— არ მინდა გაზეთით დასახელება, ირაკლი ღარიბაშვილს უნდა ვუთხრა და მიზეზიც უნდა დავუსახელო, რის გამოც ჩვენზე გადამტერებულია. იმდენად ახრჩობს ჩვენი ოჯახის ბოღმა, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ბატონი **ჯემალ გუნდიაშვილის** ორგანიზაციის ხელშეწყობით რაღაც კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა — ფერმა უნდა გაგვეკეთებინა, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებდა, ყველანაირი კრიტერიუმი დავაკმაყოფილეთ, მაგრამ იმ ადამიანის უწყებიდან, რომელიც ჩემს ოჯახზე გადაკიდებულია, უარი მივიღეთ. უარი შემდეგნაირად იყო „ახსნილი“ — **აფრასიძეები ამ ყველაფრის გასაკეთებლად ფსიქოლოგიურად მზად არ იყვნენო!** მოკლედ, მასხრად აგვიგდეს და დაგვცინეს.

## სააკაშვილსა და ბარამიძეს მხოლოდ ჩვენი საქმე ეყოფათ, რომ ციხეში ამოლპნენ, მაგრამ ვინ არის პატრონი?!

სხვათაშორის, ეჭვი არ მეპარება და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საქმის ბოლომდე მიყვანა არ სურთ ამერიკელებსა და წამყვანი ევროპული ქვეყნების დიპლომატიურ მისიებს, რადგან **„აფრასიძეების საქმე“ ის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, სადაც პირდაპირ იკვეთება სააკაშვილის, როგორც ტერორისტის, დანაშაული.** დიახ, პირდაპირი მტკიცებულება და ვიდეოაღიარება არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ მძინარე ბავშვებით სავსე ოჯახის დაბომბვის განკარგულება გასცა ერთმა „ქათამმა“ — სააკაშვილმა, რომელიც ქართველებმა „პრეზიდენტად“ და „მთავარსარდლად“ დავისვით, ხოლო მეორე „ქათამმა“ — ბარამიძემ შეასრულა ეს ბინძური ბრძანება!

**— სახალხოდ რატომ ერიდებით იმ ადამიანის მხილებას, რომელიც ხელისუფლებაშია და თქვენს ოჯახს მტრობს?**

— ამას არ ვაკეთებ მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის გამო



# „შევარდნაძემ დატოვა ახალგაზრდა სატანა, რომელმაც დააქცია არა მარტო ჩვენი ოჯახი, არამედ მთელი საქართველო!“



— **არ მინდა ამ „ქათმების“ — ნაცების წისქვილზე დავასხა წყალი და ჩემდა უნებურად „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოვჩნდე,** რომელიც ახლა, ამ სიტუაციაში, ქვეყანას ასე თუ ისე მაინც სწორად მართავს. მართალია, ჩვენ ფეხებზე გვიკიდებენ და სასამართლო არ გვაღირსეს, მაგრამ ნაცები ღმერთმა ნუ მოაბრუნოს ხელისუფლებაში! სააკაშვილი რასაც დაგვემუქრა, ის აგვისრულა — მზის სინათლეს არ გაღირსებთო! სამი წელიწადი სასამართლოები გვქონდა, ხოლო დანარჩენი ექვსი წელი მეექვსე დაწესებულებაში ვისხედით და დღის სინათლე მართლაც არ გვღირსებია. ზონაზე ცოცხალი თავით არ გადაგვიყვანეს... „ქართული ოცნება“ რომ მოვიდა, მაშინ ვიხილეთ დღის სინათლე და ამას ამ ხელისუფლებას ვუმადლი. ამიტომ ნაცების წისქვილზე წყალს არ დავასხამ...

## „ძალიან კარგად ვიცი, რომ ვაჟკაცი კაცი, რომელსაც სააკაშვილმა და ბარამიძემ მამა ცეცხლში გამოუზუგეს, ხოლო ძმა ეზოში დაუხვრიტეს, ამ „ქათმებს“ გაზეთით არ უნდა ელაპარაკებოდეს!“

სასჯელაღსრულების მეექვსე დაწესებულება ერთ-ერთი უმკაცრესი იყო. მიუხედავად ამისა, ბადრაგები, ახალგაზრდა ბიჭები, მოდიოდნენ და ჩუმად გვეუბნებოდნენ — **რა უნდათ თქვენთან?! ინსტრუქცია გვაქვს, რომ არ გაგახაროთ და ფრთხილად იყავითო!**

**— იცით, რა მაინტერესებს? ან ამერიკის ელჩი, ან სახალხო დამცველი, ან ნინო ლომჯარია და ან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი — ქართველი თუ უცხოელი ციხეში ყოფნის დროს თუ შემოსულა თქვენთან და თქვენი ამბავი უკითხავს?**

— ასეთი რამ არ მომხდარა, კაციშვილს ჩვენთვის არ მოუკითხავს და არც სიტყვა დაუსველებია. 45 წლის კაცს ციხეში ტუბერკულოზი დამმართეს და სანამ არ დავეცი, მანამდე კაციშვილმა ჩემი ამბავი არ იკითხა! ხომ გეუბნებით, ქუთაისში ოპერაციისას ნარკოზი არ გამიკეთეს და მაწამეს... სხეულში დრენაჟები უნარკოზოდ ჩამიყენეს, თან ხელები შეკრული მქონდა... მერე სპეცრაზმელებს ექიმებმა სთხოვეს — ოპერაციას ასეთ მდგომარეობაში ვერ გავაკეთებთ, ხელი გვეშლებაო! — და ბორკილები მომხსნეს... მე ვიცი, სააკაშვილსა და ბარამიძეს რისი იმედიც აქვთ... მაგათ ჰგონიათ, რომ ეს საქმე ხანდაზმული გახდება და იოლად გამოძვრებიან! ჯერ ერთი, სააკაშვილმა და ბარამიძემ ჩვენ გვაწამეს და წამებაზე, როგორც ვიცი, ხანდაზმულობა არ ვრცელდება! მეორე და ყველაზე მთავარი — **„ქათმებო“, თქვენ გგონიათ, რომ მე სასამართლოს იმედი მაქვს? ამათ თქვენი გასამართლება რომ სდომოდათ, აქამდე გაგასამართლებდნენ.** კიდევ ერთხელ მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილს — ბატონო ირაკლი, გთხოვთ, მიმიღოთ და მომისმინოთ! რაც შეეხება ჩემს გეგმებს, უკვე მერამდენედ ვაცხადებ: რა გზასაც გინდა, დავადგე, ციხეში ცოცხალი არ შევალ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

### „მესტიის რაიონის სოფელ ეცერში მამაჩემის — ევგენი აფრასიძის სახლი პირვანდელი სახით აღდგეს იმ ფულით, რომელიც ორმა ტერორისტმა და „ქათამმა“ — სააკაშვილმა და ბარამიძემ ქართველი ხალხისგან მიიტაცეს!“



აფრასიძეების განადგურებული კარ-მიდამო სპეცოპერაციის შემდეგ

## კვირგვინოსნები

**ედუარდ სააკაშვილი**

*მიხეილ სააკაშვილის შვილი*



როცა შევდივარ მამაჩემთან, **ის მხოლოდ უყურებს უკრაინულ ტელევიზიებს, მგონი, თვითონაც ხვდება, რომ შეიძლება, იქით უფრო ჰქონდეს მომავალი, ვიდრე აქ.** როგორც ვუყურებ, **მისი როლი ქართულ პოლიტიკაში გაუგებარია მომავლისთვის,** არ ვიცი, კიდევ რა უნდა მოხდეს, რომ ის ან მთავრობაში დაბრუნდეს ან ასე შემდეგ. ეს ცოტა რთული წარმოსადგენია ჩემთვის და, მგონი, თვითონაც ხვდება ამას.

„TV პირველი“

**თაკო ჩარკვიანი**

*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მე **ძალიან შემრცხვება, როგორც ერთ მოქალაქეს, რომ კიდევ ერთი პრეზიდენტი მოკვდეს.** შეიძლება, ვიღაცას არ მოსწონდეს ეს კაცი, მაგრამ არ დაინახო **მიხეილ სააკაშვილის** სახელმწიფოებრივი აზროვნება დასავლეთის კუთხით, ან ბეცი უნდა იყო, ან რუსეთზე მომუშავე!

„ახალი თაობა“

**ნიკოლოზ სამხარაძე**

*საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



**არახამიას** მანამდე არაფერი ეტკინოს, ვიდრე ჩვენ სანქციები შეგვეხება. ვიდრე ხელისუფლებაში „ქართული ოცნებაა“, **საქართველოს არ გადაუხვევია და არც გადაუხვევს ევროპული ინტეგრაციის გზიდან,** რადგან ეს არის კონსტიტუციური ამოცანა, რომელიც ჩვენს თავს დავუსახეთ საზოგადოებასთან ერთად.

„რეზონანსი“

**ნიკოლოზ ვაშაკიძე**

*„ევროპული დემოკრატების“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე*



საზღვარზე **რუსეთიდან მომავალი ადამიანების გაუთავებელი რიგები დგას,** რამდენად სწორია ამ პირობებში უვიზო რეჟიმის შენარჩუნება?! დემოგრაფიული სურათის მკვეთრი ცვლილება საფრთხეს უქმნის ნებისმიერ სახელმწიფოს.

„ინტერპრესნიუსი“

# აი, ეს არის ნამდვილი ქრისტიანული ამერიკა!


დონალდ ტრამპი მეუღლესთან – მელანია ტრამპთან ერთად

## დონალდ ტრამპი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას აპირებს!

X სქესს!

**ტრამპმა,** რომელსაც 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში 80 მილიონზე მეტმა ამერიკელმა მისცა ხმა და რომელიც 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება, ასევე აღნიშნა, რომ **რესპუბლიკელები მალე დაიბრუნებენ ქვეყანას!**

რაც შეეხება ტრამპის გადაწყვეტილებას, მიიღოს მონაწილეობა 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მან ამის შესახებ უკვე ხმამაღლა განაცხადა:

***„ჩემს თავში უკვე მივიღე ეს გადაწყვეტილება. ასე რომ, მასზე ამიერიდან გავლენას ვერაფერი მოახდენს.“***

მისივე განცხადებით, ის დარწმუნებულია, რომ არჩევნებში გაიმარჯვებს! მითუმეტეს, რომ ტრამპის შანსებს ერთი-ორად ისიც ზრდის, რომ **ჯო ბაიდენიც** აპირებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას! არადა, **ამერიკელთა უმრავლესობა, თუნდაც, ბაიდენის ასაკიდან და მისი აშკარად სუსტი ჯანმრთელობის გამო, ამის წინააღმდეგია!**

აშშ-ში ჩატარებული ბოლო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, **ამერიკელების 63 პროცენტს არ სურს, რომ ჯო ბაიდენმა კენჭი პრეზიდენტად განმეორებით იყაროს!** ხვალ რომ დემოკრატების საპრეზიდენტო პრაიმერი ტარდებოდეს, 79 წლის ბაიდენს მხარს რესპონდენტების მხოლოდ 37 პროცენტი დაუჭერდა! სამაგიეროდ, ანალოგიური მაჩვენებელი 75 წლის ტრამპისთვის 58 პროცენტს შეადგენს!

და კიდევ ერთი დეტალი: **რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერების 77 პროცენტი ტრამპის მეორევადით კენჭისყრას მხარს უჭერს, წინააღმდეგი კი მხოლოდ 23 პროცენტია!**

მოკლედ, **ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ დონალდ ტრამპი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ფავორიტია და, ღმერთმა ქნას, მართლაც დაასრულოს ეს ლგბტ კლინტონიზმ-ბაიდენიზმი!**

ამას ნორმალური ადამიანები არამხოლოდ ამერიკაში, არამედ საქართველოშიც სულმოუთქმელად ელიან!

**გიორგი გიგაური**

## დონალდ ტრამპი:

# არსებობს მხოლოდ ორი სქესი!

***მაშინ, როდესაც ბაიდენის ამერიკაში სრული ლგბტ სიგიჟეები ხდება და ქვეყანა გაგანია ლიბერასტული ტერორის ქვეშ გმინავს, ამერიკელები იმედის თვალით შეჰყურებენ ქრისტიანული კონსერვატიზმის მედგარ მიმდევარს დონალდ ტრამპს, რომელმაც 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება უკვე მიიღო და იმასაც აცხადებს — ამერიკაში ბაიდენიზმი უნდა დავასრულოთ!***

გასულ კვირას **დონალდ ტრამპმა** ფლორიდაში სტუდენტურ კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ მას, ისევე როგორც ყველა რესპუბლიკელს, სჯერა, რომ არსებობს მხოლოდ ორი სქესი: **მდედრობითი და მამრობითი:**

***„თქვენ არ ასწავლით ბავშვებს ბიბლიას, სამაგიეროდ, ასწავლით ბავშვებს, რომ ამერიკა ბოროტია და რომ მამაკაცებს შეუძლიათ დაორსულდნენ! ჩვენ გვჯერა, რომ არსებობს მხოლოდ ორი სქესი: კაცებისა და ქალების!“***

ანუ ტრამპმა, უბრალოდ, წინასაარჩევნო განცხადება კი არ გააკეთა კონსერვატორული ამერიკის გულის მოსაგებად, არამედ ღიად დაუპირისპირდა **ლგბტ ლიბერასტულ მაფიას,** რომელიც დღეს მთელ ამერიკას თავზე აზის!

ტრამპმა ფლორიდაში გამოსვლისას კიდევ ერთხელ ახსენა ღმერთიც:

***„დიახ, ჩვენ გვჯერა ორი სქესის: არსებობენ ქალები და მამაკაცები! ჩვენ გვჯერა, რომ ნებისმიერი წარმოშობის ყველა ამერიკელი არის შექმნილი თავისუფალი და თანასწორი, ყოვლისშემძლე ღმერთის ხელით!“***

რატომ გაამახვილა ტრამპმა ყურადღება **ორ სქესზე?!** შეგახსენებთ, ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ყველა მოქალაქეს მიმდინარე წლის 11 აპრილიდან პასპორტზე განაცხადის შეტანისას შეუძლია, აირჩიოს სამი სქესიდან ერთ-ერთი: **ანუ ამერიკელები ირჩევენ, ქალთა სქესისანი არიან, კაცები თუ მესამე სქესს წარმოადგენენ — ეგრეთ წოდებულ —**


ჯო ბაიდენმა ორი მამაკაცი დააქორწინა

## კვირგვინოსნები

**ტარიელ ხარხელაური**
*პოეტი*



არ მინდა, ჩემი ხალხი ვიღაცის — პოლიტიკოსების ან რომელიმე ქვეყნის გამოსაყენებელ იარაღად იქცეს. **როგორ შეიძლება მე ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში ვინმე მასწავლიდეს და ვინმე მირჩევდეს, როგორ ვემსახურო ან ხალხს, ან ქვეყანას?!** მე ხომ სხვანაირად ვფიქრობ, სხვანაირი ტრადიციების ქვეყანა ვარ, სხვანაირი სიყვარული შემიძლია... **გადმოვიღოთ ევროპიდან, რაც უკეთესია, მაგრამ არა ის, რაც ჩვენთვის მიუღებელია.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*ანალიტიკოსი*



დღეს ძალიან აქტიური მუშაობაა დაწყებული **ერთ-ერთ ქართულ ეთნოჯგუფში სეპარატიზმის გასაღვივებლად,** მაგრამ პასუხის გამცემი კაციშვილი არ არის. **საქართველო ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დგას.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა ხაზარაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერი*



ნაცმოძრაობამ დიდი ფული იშოვა ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ამის კლასიკური, ნათელი მაგალითია **კეზერაშვილი,** რომელიც ხელისუფლებაში მართლა კალოშებით მივიდა, როდესაც **სააკაშვილის** თანაშემწედ დაიწყო მუშაობა და რამდენიმე წელიწადში მილიარდებით წავიდა ხელისუფლებიდან, **კეზერაშვილის** მილიარდების უკან დგას **სააკაშვილი.**

„ახალი თაობა“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



**მესამე გზა** არ არსებობს — **ან დასავლეთი, ან რუსეთი!**

„ახალი თაობა“

**№13-14 (137-138) ★ 2022 წლის 1 აგვისტო ★ გამოდის 2003 წლიდან**

# არცერთი ნაბიჯი უკან!

ПРИКАЗ

НАРОДНОГО КОМИССАРА ОБОРОНЫ СОЮЗА ССР

№ 227

28 июля 1942 г.

г. МОСКВА

Без публикации. 122

Враг бросает на фронт все новые силы и, не считаясь с большими для него потерями, лезет вперед, рвется в глубь Советского Союза, захватывает новые районы, опустошает и разоряет наши города и села, насилует, грабит и убивает советское население. Бои идут в районе Воронежа, на Дону, на Юге у ворот Северного Кавказа. Немецкие оккупанты рвутся к Сталинграду, к Волге и хотят любой ценой захватить Кубань, Северный Кавказ с их нефтяными и хлебными богатствами. Враг уже захватил Ворошиловград, Старобельск, Россошь, Купянск, Валуйки, Новочеркасск, Ростов на Дону, половину Воронежа. Часть войск Южного фронта, идя за паникерами, оставила Ростов и Новочеркасск без серьезного сопротивления и без приказа Москвы, покрыв свои знамена позором.

Население нашей страны, с любовью и уважением относящееся к Красной армии, начинает разочаровываться в ней, теряет веру в Красную армию, а многие из них проклинают Красную армию за то, что она отдает наш народ под ярмо немецких угнетателей, а сама утекает на восток.

Некоторые неумные люди на фронте утешают себя разговорами о том, что мы можем и дальше отступать на восток, так как у нас много территории, много земли, много населения и что хлеба у нас всегда будет в избытке. Этим они хотят оправдать свое




**ПРИКАЗ 227 НИ ШАГУ НАЗАД**

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის **იოსებ სტალინის 227-ე ბრძანება,** რომელიც **ზუსტად 80 წლის წინათ, 1942 წლის 28 ივლისს,** გამოიცა, საჯაროდ წაუკითხეს წითელი არმიის მთელ პირად შემადგენლობას. ხაზს ვუსვამთ — **წაუკითხეს! რადგან პრესაში ეს დოკუმენტი არ მოხვედრილა** და მხოლოდ სამამულო ომის დამთავრებიდან 13 წლის შემდეგ, 1958 წელს, გამოქვეყნდა *„სამხედრო ხელოვნების ისტორიის ლექციათა კურსის“* მე-5 ტომში *(გვ. 780-783)*. ბრძანება ამ გამოცემაში უკვე კონკრეტული სახელწოდებით დაიბეჭდა: **приказ наркома обороны СССР №227 „о мерах по укреплению дисциплины и порядка в Красной Армии и запрещении самовольного отхода с боевых позиций“ („Ни шагу назад!“).**

**227-ე ბრძანების დედანი წარმოადგენს მანქანაზე ნაბეჭდ შვიდგვერდიან რუსულენოვან ტექსტს, ოღონდ აღნიშნული სათაურის გარეშე და დაცულია რუსეთის სახელმწიფო სამხედრო არქივში.** ცნობისათვის: ბრძანებას ფართოდ მიმოიხილავდნენ მისი გამოქვეყნებიდან 20 წლის შემდეგაც, კერძოდ, გორბაჩოვისეული საჯაროობისა და გარდაქმნების ავადსახსენებელ ხანაში, როდესაც მისი ხელახალი ტირაჟირება მოხდა *(„სამხედრო-ისტორიული ჟურნალი“, 1988 წლის №8. გვ. 73-75)*.

**და მაინც, რა ეწერა ისეთი აღნიშნულ ბრძანებაში, რომ მას ამდენი წლის მანძილზე საგანგებოდ მალავდნენ და ჭორებისა თუ სიცრუის საბურველში ხვევდნენ? იქნებ ჯობს, ერთხელ საკუთარი თვალით წაიკითხო თავის დროზე დასაბეჭდად არგამიზნული ტექსტი, ვიდრე ათასჯერ მოისმინო დამსახურებული თუ დაუმსახურებელი კრიტიკა სტალინგრადის ბრძოლის წინა პერიოდზე, როდესაც თავად საბჭოთა კავშირის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა?**

ბრძანება გამოიცა 1942 წელს ხარკოვის ოპერაციის ჩავარდნისა და ვორონეჟის, დონისა თუ დონბასის წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ, როდესაც წითელმა არმიამ დიდი დანაკარგებით დაიხია ვოლგისა და ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით. გერმანელმა ფაშისტებმა ხელში ჩაიგდეს საბჭოეთის მჭიდროდ დასახლებული რაიონები და, როგორც ბრძანებაშია დოკუმენტირებული, 70 მილიონი საბჭოთა მოქალაქე და კოლოსალური სტრატეგიული რესურსი ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმოჩნდა.

№227 ბრძანების ტექსტი **გენერალური შტაბის უფროსმა,** შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალმა (1943 წ.) **ალექსანდრე ვასილევსკიმ** შეადგინა, მაგრამ, მისივე სიტყვებით, თავდაპირველი ვარიანტი ძირფესვიანად შეცვალა **პირადად სტალინმა,** შეიძლება ითქვას, რადიკალურად გადააკეთა და განგაშის ზარები დაარისხა, რომ ქვეყანა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა. **„არცერთი ნაბიჯი უკან!“** — გაიჟღერა სტალინის ფოლადისებრმა მოწოდებამ და ელვის სისწრაფით მოედო საბჭოეთს. **უკან დახევისათვის უმაღლესი სასჯელი დაწესდა და ეს არც იყო გასაკვირი** — აკი, გერმანელებთან მსგავსი ქმედებისათვის დახვრეტა რახანია, ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. **საჯარიმო ბატალიონების** რაოდენობამ 1943 წლისათვის საბჭოთა არმიაში უკვე თითქმის მთელი კონტინგენტის 3 პროცენტი შეადგინა.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ ბრძანებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა ვერ შეძლო, ბოლომდე შეეჩერებინა საბჭოთა ჯარების უკან დახევა, მაგრამ **დაძლეულ იქნა პანიკური შიში და არმიის დემორალიზება.** ამასთან, თითქმის მილიონს მიაღწია პირადი შემადგენლობის მიმართ გამოტანილმა სასამართლო განაჩენთა რაოდენობამ.

თავდაცვის სახალხო კომისრის 227-ე ბრძანებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და გარკვეული იმედგაცრუება მისი გამოცემისთანავე გამოიკვეთა. **„ნკვდ“-ის საიდუმლო ანგარიშების მიხედვით, მავანი მას უკიდურესად მკაცრ და არასაჭირო დოკუმენტად თვლიდა, რადგან გერმანიის აშკარა სამხედრო უპირატესობის ფონზე საბჭოთა არმიელები ან მასობრივად ჩაბარდებოდნენ ტყვედ ან ასევე მასობრივად იქნებოდნენ განადგურებულნი.**

და მაინც, **227-ე ბრძანება** იქცა გარდამტეხ ღონისძიებად დეზერტირობის აღკვეთისა და საბრძოლო განწყობის ამაღლების გზაზე. სტალინს მიაჩნდა, რომ **დახვრეტისა და საჯარიმო ბატალიონებში მოხვედრის შიში** აიძულებდა წითელი არმიის მეომრებს, გაავთრებით შერკინებოდნენ მტერს — **აკი, დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმაც ჩახერგა უკან დასახევი გზები, რათა „ქრისტეს მეომართ“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უპრეცედენტო თავდადება გამოეჩინათ!**

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

\- 2 -

позорное поведение на фронтах. Но такие разговоры являются насквозь фальшивыми и лживыми, выгодными лишь нашим врагам.

Каждый командир, красноармеец и политработник должны понять, что наши средства не безграничны. Территория Советского государства - это не пустыня, а люди - рабочие, крестьяне, интеллигенция, наши отцы, матери, жены, братья, дети. Территория СССР, которую захватил и стремится захватить враг - это хлеб и другие продукты для армии и тыла, металл и топливо для промышленности, фабрики, заводы, снабжающие армию вооружением и боеприпасами, железные дороги. После потери Украины, Белоруссии, Прибалтики, Донбасса и других областей у нас стало намного меньше территории, стало быть стало намного меньше людей, хлеба, металла, заводов, фабрик. Мы потеряли более 70 миллионов населения, более 800 миллионов пудов хлеба в год и более 10 миллионов тонн металла в год. У нас нет уже теперь преобладания над немцами ни в людских резервах, ни в запасах хлеба. Отступать дальше - значит загубить себя и загубить вместе с тем нашу Родину. Каждый новый клочок оставленной нами территории будет всемерно усиливать врага и всемерно ослаблять нашу оборону, нашу Родину.

Поэтому надо в корне пресекать разговоры о том, что мы имеем возможность без конца отступать, что у нас много территории, страна наша велика и богата, населения много, хлеба всегда будет в избытке. Такие разговоры являются лживыми и вредными, они ослабляют нас и усиливают врага, ибо если не прекратим отступления, останемся без хлеба, без топлива, без металла, без сырья, без фабрик и заводов, без железных дорог.




## ბრძანების გაცოცხლება ★

დასაწყისი პირველ გვერდზე

**მტერი ფრონტზე ახალ-ახალი ძალების გადასროლას ახდენს და მიუხედავად მძიმე დანაკარგისა, მიძვრება წინ, ღრმად იჭრება საბჭოთა კავშირში, იპყრობს ახალ რაიონებს, აცარიელებს და აღარიბებს ჩვენს ქალაქებსა თუ სოფლებს, აუპატიურებს, ძარცვავს და კლავს საბჭოთა მოსახლეობას.** ბრძოლები წარმოებს ვორონეჟის რაიონში, დონზე, სამხრეთით — ჩრდილოეთ კავკასიის კარიბჭესთან. გერმანელი დამპყრობლები მიიწევენ სტალინგრადისა და ვოლგისაკენ, სურთ, ნებისმიერ ფასად აიღონ ყუბანი და ჩრდილოეთ კავკასია ნავთობისა და პურეულის მდიდარი მარაგით. მტერმა უკვე დაიპყრო ვოროშილოვგრადი, სტაროზელსკი, როსოში, კუპიანსკი, ვალუიკი, ნოვოჩერკასკი, დონის როსტოვი, ვორონეჟის ნახევარი. **სამხრეთ ფრონტის ჯარების ნაწილმა, აჰყვა რა პანიკიორებს, სერიოზული წინააღმდეგობისა და მოსკოვიდან მიღებული ბრძანების გარეშე მიატოვა როსტოვი და ნოვოჩერკასკი, სირცხვილში ამოგანგლა თავისი დროშები.**

წითელი არმიისადმი სიყვარულითა და პატივისცემით გაჟღენთილი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა იმედგაცრუებული კარგავს მისდამი ნდობას, ბევრი კი წყევლითაც მოიხსენიებს წითელ არმიას იმის გამო, რომ ხალხისათვის გერმანელ მჩაგვრელთა უღელს ადგმევინებს, თავად კი აღმოსავლეთისკენ მიძვრება.

ფრონტზე მყოფი ცალკეული უჭკუო ადამიანები თავს იმით იმშვიდებენ, რომ ჩვენ შემდგომშიც შეგვეძლება დავიხიოთ აღმოსავლეთით, რაკიღა გვაქვს დიდი ტერიტორია, მიწა, გვყავს ურიცხვი მოსახლეობა და პურიც ყოველთვის უხვად გვექნება. ამით მათ სურთ, გაამართლონ თავიანთი სამარცხვინო საქციელი ამა თუ იმ ფრონტზე, **მაგრამ ასეთი საუბრები სრულიად ყალბია და მხოლოდ ჩვენი მტრებისათვის სასარგებლო სიცრუეს წარმოადგენს.**

ყველა მეთაურმა, წითელარმიელმა და პოლიტმუშაკმა უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენი შესაძლებლობები შეუზღუდავი არ არის. საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორია უდაბნო კი არა, ხალხია — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ჩვენი მამები, დედები, ცოლები, ძმები, შვილები... სსრკ-ის ტერიტორია, რომელიც დაიპყრო და კვლავაც ცდილობს, დაიპყროს მტერმა, ესაა პური და სხვა პროდუქტები არმიისა და ზურგის მცხოვრებთათვის, ლითონი და საწვავი — მრეწველობისათვის, ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც ამარაგებენ არმიას შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებით, რკინიგზის ქსელი... **უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, დონბასისა და სხვა რეგიონების დაკარგვის შემდეგ** ჩვენ გაცილებით ნაკლებ ტერიტორიას ვფლობთ, იკლო ხალხის რაოდენობამაც, პურმა, ლითონმა, ქარხნებმა, ფაბრიკებმა. **ჩვენ დავკარგეთ 70 მილიონი მოსახლე, წელიწადში 800 მილიონ ფუთზე მეტი მარცვლეული და 10 მილიონ ტონაზე მეტი ლითონი.** ჩვენ აღარა გვაქვს უპირატესობა გერმანელებზე არც ადამიანური რეზერვებით და არც პურეულის მარაგით. **შემდგომი უკან დახევა ნიშნავს, დაიღუპო თავი და იმავდროულად დაღუპო სამშობლო.** ჩვენ მიერ დატოვებული მიწის ყოველი გოჯი ყოველმხრივ გააძლიერებს მტერს და ასევე ყოველმხრივ შეასუსტებს ჩვენს თავდაცვას, ჩვენს სამშობლოს.

**ამიტომაც ძირეულად უნდა აღვკვეთოთ საუბრები იმის შესახებ, რომ გვაქვს უკან დახევის უსასრულო შესაძლებლობები, უამრავი ტერიტორია, დიდი, მდიდარი და ჭარბმოსახლეობიანი ქვეყანა, სადაც პურის მარაგიც ამოუწურავი იქნება.** ასეთი საუბრები ყალბია და მავნებლური, ისინი გვასუსტებენ ჩვენ და აძლიერებენ მტერს, რადგან, თუ უკან დახევას არ შევწყვეტთ, დავრჩებით პურის, საწვავის, ლითონის, ნედლეულის, ფაბრიკების, ქარხნებისა და რკინიგზის გარეშე.

აქედან გამომდინარე, დროა, დასრულდეს უკან დახევა.

**არცერთი ნაბიჯი უკან! — ასეთი უნდა იყოს ახლა ჩვენი მთავარი მოწოდება.**

ჩვენ ბოლომდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დავიცვათ საბჭოთა ტერიტორიის თითოეული პოზიცია და თითოეული მეტრი, ჩავებღაუჭოთ საბჭოთა მიწის თითოეულ მტკაველს და შევინარჩუნოთ უკანასკნელი შესაძლებლობების ფასად.

ჩვენს სამშობლოს მძიმე დღეები უდგას. ჩვენ უნდა შევაჩეროთ, შემდეგ კი, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უკუვაგდოთ და გავაცამტვეროთ მტერი. **გერმანელები არც ისე ძლიერები არიან, როგორც ეს პანიკიორებს ეჩვენებათ. ისინი უკანასკნელ ძალებს იკრებენ.**

ახლა, რამდენიმე თვის მანძილზე მათი დარტყმების გაძლება ნიშნავს იმას, რომ გავიმარჯვებთ გამარჯვება!

შეგვიძლია კი გავუძლოთ შემოტევებს და დასავლეთით გადავრეკოთ მტერი? დიახ, შევძლებთ, რადგან ქვეყნის ზურგში არსებული ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები შესანიშნავად მუშაობენ და ჩვენი ფრონტიც სულ უფრო და უფრო მეტ თვითმფრინავს, ტანკს, არტილერიასა და ნაღმტყორცნს ღებულობს.

**მაშ, რა გვაკლია?**

**გვაკლია წესრიგი და დისციპლინა ასეულებში, ბატალიონებში, პოლკებში, დივიზიებსა და სატანკო ნაწილებში, ავიაესკადრილიებში.** ეს გახლავთ ამჟამად ჩვენი მთავარი ნაკლი. **ჩვენ უნდა დავამყაროთ ჯარში უმკაცრესი წესრიგი და რკინისებური დისციპლინა, თუ გვინდა, რომ გამოვასწოროთ მდგომარეობა და შევინარჩუნოთ ჩვენი სამშობლო.**

**ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲣᲗᲛᲘᲜᲝᲗ** იმ მეთაურებს, კომისრებსა და პოლიტმუშაკებს, რომელთა ნაწილები და ქვედანაყოფები თვითნებურად ტოვებენ საბრძოლო პოზიციებს. **ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲗᲛᲘᲜᲝᲗ,** როცა მეთაურები, კომისრები და პოლიტმუშაკები დასაშვებს ხდიან, რომ რამდენიმე **პანიკიორმა** განსაზღვროს მდგომარეობა ბრძოლის ველზე, უკან დაახევინოს სხვა მებრძოლებს და გაუხსნას ფრონტის ხაზი მტერს.

### ᲞᲐᲜᲘᲙᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲓᲐᲚᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲜᲔᲜ!

ამიერიდან ყველა მეთაურის, წითელარმიელისა და პოლიტმუშაკის რკინისებრ კანონად უნდა იქცეს მოთხოვნა — **არცერთი ნაბიჯი უკან უმაღლესი სარდლობის ბრძანების გარეშე.**

ასეულების, ბატალიონების, პოლკის, დივიზიის მეთაურები, კომისრები და პოლიტმუშაკები, რომლებიც ზემდგომი ბრძანების გარეშე ტოვებენ საბრძოლო პოზიციებს, **სამშობლოს მოღალატეები** არიან. ასეთ მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს კი უნდა მოექცე, როგორც **სამშობლოს მოღალატეებს!**

**ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ!**

შეასრულო ეს მოწოდება, ნიშნავს, დაიცვა შენი მიწა, იხსნა სამშობლო, გაანადგურო და გაიმარჯვო საძულველ მტერზე.

ზამთრის პერიოდში, წითელი არმიის ძალისხმევით, გერმანიის არმიის უკან დახევისას, როდესაც მათთან დისციპლინა შეირყა, გერმანელებმა დისციპლინის აღსადგენად მიიღეს მკაცრი ზომები, რამაც არცთუ

# სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანება №227

## მოსკოვი. 1942 წლის 28 ივლისი

## (გამოქვეყნების გარეშე)




- 3 -

Из этого следует, что пора кончить отступление.

Ни шагу назад! Таким теперь должен быть наш главный призыв.

Надо упорно, до последней капли крови защищать каждую позицию, каждый метр советской территории, цепляться за каждый клочок советской земли и отстаивать его до последней возможности.

Наша Родина переживает тяжелые дни. Мы должны остановить, а затем отбросить и разгромить врага, чего бы это нам ни стоило. Немцы не так сильны, как это кажется паникерам. Они напрягают последние силы. Выдержать их удар сейчас, в ближайшие несколько месяцев - это значит обеспечить за нами победу.

Можем ли выдержать удар, а потом и отбросить врага на запад? Да, можем, ибо наши фабрики и заводы в тылу работают теперь прекрасно, и наш фронт получает все больше и больше самолетов, танков, артиллерии, минометов.

Чего же у нас не хватает?

Не хватает порядка и дисциплины в ротах, батальонах, полках, дивизиях, в танковых частях, в авиаэскадрильях. В этом теперь наш главный недостаток. Мы должны установить в нашей армии строжайший порядок и железную дисциплину, если мы хотим спасти положение и отстоять нашу Родину.

Нельзя терпеть дальше командиров, комиссаров, политработников, части и соединения которых самовольно оставляют боевые позиции. Нельзя терпеть дальше, когда командиры, комиссары, политработники допускают, чтобы несколько паникеров определяли положение на поле боя, чтобы они увлекали в отступление других бойцов и открывали фронт врагу.

125

- 4 -

Паникеры и трусы должны истребляться на месте.

Отныне железным законом дисциплины для каждого командира, красноармейца, политработника должно являться требование - ни шагу назад без приказа высшего командования.

Командиры роты, батальона, полка, дивизии, соответствующие комиссары и политработники, отступающие с боевой позиции без приказа свыше, являются предателями Родины. С такими командирами и политработниками и поступать надо как с предателями Родины.

Таков призыв нашей Родины.

Выполнить этот призыв - значит отстоять нашу землю, спасти Родину, истребить и победить ненавистного врага.

После своего зимнего отступления под напором Красной армии, когда в немецких войсках расшаталась дисциплина, немцы для восстановления дисциплины приняли некоторые суровые меры, приведшие к неплохим результатам. Они сформировали более 100 штрафных рот из бойцов, провинившихся в нарушении дисциплины по трусости или неустойчивости, поставили их на опасные участки фронта и приказали им искупить кровью свои грехи. Они сформировали, далее, около десятка штрафных батальонов из командиров, провинившихся в нарушении дисциплины по трусости или неустойчивости, лишили их орденов, поставили их на еще более опасные участки фронта и приказали им искупить кровью свои грехи. Они сформировали, наконец, специальные отряды заграждения, поставили их позади неустойчивых дивизий и велели им расстреливать на месте паникеров в случае попытки самовольного оставления позиций и в случае попытки сдаться в плен. Как известно, эти

126

- 5 -

меры возымели свое действие, и теперь немецкие войска дерутся лучше, чем они дрались зимой. И вот получается, что немецкие войска имеют хорошую дисциплину, хотя у них нет возвышенной цели защиты своей родины, а есть лишь одна грабительская цель - покорить чужую страну, а наши войска, имеющие возвышенную цель защиты своей поруганной родины, не имеют такой дисциплины и терпят ввиду этого поражение.

Не следует ли нам поучиться в этом деле у наших врагов, как учились в прошлом наши предки у врагов и одерживали потом над ними победу?

Я думаю, что следует.

Верховное Главнокомандование Красной Армии приказывает:

1. Военным советам фронтов и прежде всего командующим фронтов:

а) Безусловно ликвидировать отступательные настроения в войсках и железной рукой пресекать пропаганду о том, что мы можем и должны якобы отступать и дальше на восток, что от такого отступления не будет якобы вреда;

б) Безусловно снимать с поста и направлять в Ставку для привлечения военному суду командующих армиями, допустивших самовольный отход войск с занимаемых позиций, без приказа командования фронта;

в) Сформировать в пределах фронта от одного до трех (смотря по обстановке) штрафных батальона (по 800 человек), куда направлять средних и старших командиров и соответствующих политработников всех родов войск, провинившихся в нарушении дисциплины по трусости или неустойчивости, и поставить их на более трудные участки фронта, чтобы дать им возможность иску-

ცუდი შედეგი მოიტანა. მათ დააკომპლექტეს 100 **საჯარიმო ასეული** დისციპლინის დარღვევაში, სიმხდალესა და მერყეობაში შემჩნეული მეომრებისაგან, გაამწესეს ფრონტის ყველაზე საშიშ უბნებზე და უბრძანეს, **სისხლით გამოესყიდათ საკუთარი ცოდვები.** შემდგომ მათ შექმნეს დაახლოებით ათი საჯარიმო ბატალიონი იმ მეთაურებისაგან, რომლებმაც **სიმხდალისა თუ მერყეობის გამო** დაარღვიეს დისციპლინა, ჩამოართვეს მათ ორდენები, გაგზავნეს ფრონტის გაცილებით საშიშ უბნებზე და უბრძანეს **ცოდვების სისხლით გამოსყიდვა.** საბოლოოდ მათ შექმნეს სპეციალური **საბარიერო რაზმები,** განათავსეს მერყევი დივიზიების ზურგში და უბრძანეს, ადგილზე დაეხვრიტათ **პანიკიორები** პოზიციის თვითნებური დატოვების ან ტყვედ ჩავარდნის მცდელობისას. როგორც ცნობილია, ამ ზომებმა სათანადო შედეგი გამოიღო და ახლა გერმანული არმია უკეთ იბრძვის, ვიდრე ზამთარში. ასე რომ, გამოდის, გერმანიის ჯარში მაღალი დისციპლინაა, თუმცა, მათ არ გააჩნიათ სამშობლოს დაცვის ამაღლებული მიზანი, რადგან მხოლოდ მძარცველური ჟინი ამოძრავებთ — დაიპყრონ უცხო ქვეყანა. სამაგიეროდ, ჩვენი ჯარები გამსჭვალულნი არიან დიადი მიზნით — დაიცვან შებღალული სამშობლო, თუმცაღა, არ არიან მათსავით დისციპლინირებული და ამის გამო მარცხდებიან.

განა არ უნდა ვისწავლოთ ამ კუთხით ჩვენი მტრებისაგან, როგორც უწინ ჩვენი წინაპრები მომხდურებისაგან სწავლობდნენ და შემდეგ მათზე იმარჯვებდნენ?

მე ვფიქრობ, რომ უნდა ვისწავლოთ.




## წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა ბრძანებს:

**1. ფრონტების სამხედრო საბჭოებს და, უპირველესად, ფრონტების მეთაურებს:**

ა) **უპირობოდ იქნეს ლიკვიდირებული** უკან დახევის განწყობა ჯარში და **რკინის ხელით აღმოიფხვრას** პროპაგანდა — თითქოს ჩვენ შეგვიძლია და უნდა დავიხიოთ აღმოსავლეთით და ასეთი უკან დახევა ზიანს არ მოიტანს;

ბ) **უპირობოდ გათავისუფლდნენ თანამდებობიდან და გაიგზავნონ შტაბში პასუხისგებაში მისაცემად** არმიის მეთაურები, რომლებმაც ფრონტის სარდლობის ბრძანების გარეშე დაუშვეს ჯარების თვითნებური გადაადგილება დაკავებული პოზიციებიდან;

ვ) **ფრონტის საზღვრებში ჩამოყალიბდეს ერთიდან სამამდე** (სიტუაციიდან გამომდინარე) **საჯარიმო ბატალიონი** (800-800 კაცით), სადაც გამწესდებიან საშუალო და უფროსი რანგის მეთაურები და პოლიტმუშაკები ყველა ტიპის არმიიდან, რომლებიც დამნაშავენი არიან დისციპლინის დარღვევაში **შიშის ან არამდგრადობის ნიადაგზე** და შემდეგ გაიგზავნონ გაცილებით მძიმე საბრძოლო პოზიციებზე, რათა მიეცეთ შესაძლებლობა, **სისხლით გამოისყიდონ** თავიანთი დანაშაული სამშობლოს წინაშე.

**2. ჯარის სამხედრო საბჭოებს და, უპირველესად, არმიის მეთაურებს:**

ა) **უპირობოდ გათავისუფლდნენ თანამდებობიდან** კორპუსებისა და დივიზიების მეთაურები და კომისრები, რომლებმაც არმიის მეთაურთა ბრძანების გარეშე დაუშვეს ჯარების უნებართვო გაყვანა დაკავებული პოზიციებიდან და გაგზავნილ იქნენ ფრონტის სამხედრო საბჭოში **სამხედრო სასამართლოში** წარსადგენად;

ბ) **არმიის ფარგლებში ფორმირებულ იქნეს 3-5 კარგად შეიარაღებული გადამღობი რაზმი** (თითოეული 200 კაცის შემადგენლობით), **განთავსდეს ისინი უშუალოდ მერყევი დივიზიების ზურგში და დაევალოთ, პანიკისა თუ მათი უწესრიგო უკან დახევის შემთხვევაში ადგილზე დახვრიტონ პანიკიორები და მხდალნი** და ამით დაეხმარონ პატიოსან მებრძოლებს, მოიხადონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე;

ვ) **არმიის ფარგლებში ჩამოყალიბდეს სამიდან ათამდე** (ვითარებიდან გამომდინარე) **საჯარიმო ქვედანაყოფი** (თითოეული 150-დან 200 კაცამდე), სადაც გაიგზავნებიან რიგითი მებრძოლები და უმცროსი რანგის მეთაურები, რომლებიც დამნაშავენი არიან დისციპლინის დარღვევაში **სიმხდალის ან არამდგრადობის** გამო და გამწესდნენ ფრონტის ცხელ ხაზზე, რათა **სისხლით გამოისყიდონ** თავიანთი დანაშაული სამშობლოს წინაშე.

**3. კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებსა და კომისრებს:**

ა) **უპირობოდ გათავისუფლდნენ თანამდებობიდან** პოლკებისა და ბატალიონების მეთაურები და კომისრები, რომლებმაც კორპუსის ან დივიზიის მეთაურის ბრძანების გარეშე დაუშვეს სამხედრო ნაწილების თვითნებური უკან დახევა, ჩამოერთვათ მათ ორდენები და მედლები და გაიგზავნონ ფრონტის სამხედრო საბჭოებში **სამხედრო სასამართლოს** წინაშე წარსადგომად;

ბ) გაეწიოთ ყოველგვარი დახმარება და თანადგომა **არმიის გადამღობ რაზმებს** სამხედრო ნაწილებში წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად.

**ბრძანება წაკითხულ იქნეს ყველა ასეულში, ესკადრონში, ბატარეაში, ესკადრილიაში, ჯგუფებში, შტაბებში.**

127

\- 6 -

пить кровью свои преступления против Родины.

2. Военным советам армий и прежде всего командующим армиями:

а) Безусловно снимать с постов командиров и комиссаров корпусов и дивизий, допустивших самовольный отход войск с занимаемых позиций без приказа командования армии, и направлять их в военный совет фронта для предания военному суду;

б) Сформировать в пределах армии 3-5 хорошо вооруженных заградительных отряда (до 200 человек в каждом), поставить их в непосредственном тылу неустойчивых дивизий и обязать их в случае паники и беспорядочного отхода частей дивизии расстреливать на месте паникеров и трусов и тем помочь честным бойцам дивизий выполнить свой долг перед Родиной;

в) Сформировать в пределах армии от пяти до десяти (смотря по обстановке) штрафных рот (от 150 до 200 человек в каждой), куда направлять рядовых бойцов и младших командиров, провинившихся в нарушении дисциплины по трусости или неустойчивости, и поставить их на трудные участки армии, чтобы дать им возможность искупить кровью свои преступления перед Родиной.

3. Командирам и комиссарам корпусов и дивизий:

а) Безусловно снимать с постов командиров и комиссаров полков и батальонов, допустивших самовольный отход частей без приказа командира корпуса или дивизии, отбирать у них ордена и медали и направлять их в военные советы фронта для предания военному суду;

128.

\- 7 -

б) Оказывать всяческую помощь и поддержку заградительным отрядам армии в деле укрепления порядка и дисциплины в частях.

Приказ прочесть во всех ротах, эскадронах, батареях, эскадрильях, командах, штабах.

НАРОДНЫЙ КОМИССАР ОБОРОНЫ И. Сталин.

*თავდაცვის სახალხო კომისარი*

*ი. სტალინი*

И. Сталин.



# სტალინგრადის (დღევანდელი ვოლგოგრადის) ქუჩებში გამოჩნდა პლაკატები იოსებ სტალინის ლეგენდარული ბრძანების გამოსახულებით „არცერთი ნაბიჯი უკან!“

## ინფორმაცია განსჯისათვის ★

***ხელისუფლებამ 1942-ის 28 ივლისიდან 80 წლის შემდეგ აღნიშნული ნაბიჯით არცთუ ირიბად შეახსენა საზოგადოებას უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების მნიშვნელობა. აკი, სწორედ სტალინის 227-ე ბრძანების მიღების პერიოდში გერმანელები უკვე ვოლგას მოადგნენ და ლამის სამამულო ომში გამარჯვებასაც გამოჰკრეს ხელი. თუ არა სტალინგრადის ომში ძლევამოსილი გამარჯვება,*** *რომელიც ერთგვარი გაგრძელება გახლდათ სტალინური მოწოდებისა* ***„არცერთი ნაბიჯი უკან!“, საბჭოთა კავშირი გაცილებით ადრე დაამთავრებდა არსებობას.*** *ასე რომ, მეორე მსოფლიო ომის დროს უკანდახეული მებრძოლებისათვის ცეცხლის გახსნის უფლების მინიჭება, საიდანაც 80 წელი გავიდა, არ შეიძლება ცალსახად განვიხილოთ, მითუმეტეს, სამკვდრო-სასიცოცხლო ომის კონტექსტიდან ხელოვნური ამოგდებით!* ***უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, სტალინის პოპულარობა რუსეთში ზრდას განაგრძობს და ბოლო ათწლეულის მანძილზე ის ყველაზე უფრო გავლენიან ისტორიულ პიროვნებად რჩება.***



## ისტორიკოსის თვალით

# სვიმონ მასხარაშვილი:

# 1964 წელს ნიკიტა ხრუშჩოვი რომ არ გადააყენებინათ,

# ხუთ-ექვს წელიწადში საბჭოთა კავშირი არსებობას შეწყვეტდა!



***დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ №10-12***

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ე.წ. დიდი სტალინური რეპრესიების მიზეზებზე საუბრობს და აცხადებს, რომ 1956 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა კომპარტიის მე-20 ყრილობის დახურვის დღეს, დილის სხდომაზე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ „პიროვნების კულტის შესახებ“ ვრცელი მოხსენების წაკითხვა და საბჭოეთში დატრიალებული უბედურების მხოლოდ სტალინსა და ბერიაზე აკიდება უსამართლობა იყო, რამაც საბჭოთა კავშირი დაანგრია:***

— 1964 წელს ხრუშჩოვი რომ არ გადაეყენებინათ, ხუთ-ექვს წელიწადში საბჭოთა კავშირი არსებობას შეწყვეტდა! როგორც წინა ინტერვიუში მოგახსენეთ, ნიკიტამ ძალოვანი სტრუქტურები, ფაქტობრივად, გაანადგურა. ამიტომ იყო, რომ **ბრეჟნევის** დროინდელ „კაგებეს“ არავითარი კავშირი **სტალინისა და ბერიას** უშიშროების სამსახურთან არ ჰქონია, რადგან ხრუშჩოვმა მთელი აგენტურული ქსელი მოსპო. აი, მაგალითად, ვინ იყო „კაგებეს“ მინისტრი **იური ანდროპოვი?** იგი გახლდათ ძალიან საეჭვო წარმომავლობის პარტიული მოღვაწე, რომელმაც 1956 წელს დიპლომატიურ სამსახურში ყოფნისას უნგრეთი სისხლისღვრამდე მიიყვანა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ **ნიკოლაი შჩოლოკოვს,** რომელმაც სიცოცხლე 1984 წელს თვითმკვლელობით დაასრულა, **ბრეჟნევის** პარტიული ძმაკაცი გახლდათ და მეტი არავინ. ამიტომ ნუღარ გვიკვირს, როცა **იური ანდროპოვის პროტეჟე მიხეილ გორბაჩოვი** საბჭოთა კავშირის ლიდერი გახდა. **ანდროპოვის „კაგებეს“ სტალინისა და ბერიას უშიშროების აკადემიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა...** მოკლედ, ხრუშჩოვმა საბჭოთა უშიშროების სისტემა მართლაც დაანგრია.

**— ბატონო სვიმონ, როგორ დაანგრია ხრუშჩოვმა საბჭოთა მენეჯერების სამჭედლო — პარტიის ცეკა?**

— ტროცკისა და ლენინისგან განსხვავებით, **სტალინი** მიიჩნევდა, რომ პარტიის ცეკა უნდა ყოფილიყო საბჭოთა მენეჯერებისა და პარტიული ხელმძღვანელების სამჭედლო და არა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე მქადაგებელთა სექტა. მთავარი მიზეზი, რის გამოც სტალინი სხვადასხვა დროს **ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, რიკოვსა და ბუხარინს** დაუპირისპირდა, გახლდათ ის, რომ ყველა ესენი ჩამოყალიბდნენ ოლიგარქებად, რომლებსაც, სტალინისაგან განსხვავებით, პირადი კომფორტი ყველაფერს ერჩივნათ. 1932 წელს, პირველი ხუთწლიანი გეგმის ჩავარდნის შემდეგ, სტალინი დაეყრდნო ძველ ბოლშევიკებს — **ტომსკის, აბელ ენუქიძეს, სერგო ორჯონიკიძესა და სხვებს,** მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესენი იყვნენ აბსოლუტურად არაკომპეტენტურები და ამავდროულად ვერაფრით ელეოდნენ პრივილეგიებსა და ამქვეყნიურ სიკეთეებს, რაც სტალინისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. 1934 წელს მან **აბელ ენუქიძეს** დაავალა ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შემუშავება, სადაც ხაზგასმით იქნებოდა მითითებული, რომ საყოველთაო არჩევნები ქვეყანაში ჩატარდებოდა პირდაპირი და კონკურენტული კენჭისყრის საფუძველზე.

**— ეს როგორ, ქვეყანაში ხომ ერთადერთი პარტია იყო?**

— სტალინი ერთგან ამბობს — საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, საბჭოთა კავშირში ერთი პარტიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე არ არსებობს, მაგრამ, **თუ არჩევნებში კომუნისტებს უპარტიო ადამიანი დაამარცხებს, ეს უკვე იმის ნიშანი იქნება, რომ ადგილზე კომპარტია ცუდად მუშაობს, რაც ჩვენს ნაკლოვანებებს უმალ დაგვანახებს!** სწორედ ამან დააფრთხო ძველი პარტიული ელიტა და მომზადდა შეთქმულება სტალინის წინააღმდეგ, რომელიც სრულიად შემთხვევით გამოაშკარავდა 1934 წლის 1 დეკემბრის შემდეგ, როცა აბსოლუტურად ყოფით ნიადაგზე ლენინგრადში მოკლეს **სერგეი კიროვი.**

შექმნილ სიტუაციაში, როცა სტალინმა საფრთხე დაინახა, არ ენდო მხოლოდ **ჰენრიხ იაგოდას,** რომელიც 1934-1936 წლებში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო და შეთქმულების გამოძიებაში ჩართო პარტიული კონტროლის სამსახურის უფროსი **ნიკოლაი ეჟოვიც.** ცხადი გახდა, რომ 1934 წლის არჩევნებში ძველ პარტიულ ელიტას არ სურდა პრივილეგიების დაკარგვა და ამიტომაც სტალინის წინააღმდეგ ნამდვილად დაიგეგმა დიდი შეთქმულება, მასში ჩართული იყვნენ არმიაც, ძველი ბოლშევიკებიც, რომლებმაც 30-იანი წლებიდან ყველაფერი დაკარგეს და ქართველი ნაციონალისტებიც, რომლებიც თავის დროზე სტალინს გადაუდგნენ და ტროცკისა და ლენინის მხარე დაიჭირეს.





გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, რომ ამ შეთქმულების მონაწილეები იყვნენ, როგორც **ჰენრიხ იაგოდა,** ისე მარშალი **მიხეილ ტუხაჩევსკი**. ამიტომ 1936 წლის შემოდგომაზე სტალინმა იაგოდა გადააყენა და მის ნაცვლად საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად სწორედ **ნიკოლაი ეჟოვი** დანიშნა. 1938 წლის 15 მარტს **იაგოდა** დახვრიტეს, ხოლო **ეჟოვმა** 1937 წლის ივლისამდე გადატრიალების საფრთხე გაანეიტრალა...

**— როგორ და რა მეთოდებით მოხდა ამ საფრთხის განეიტრალება, სწორედ ამას ედავებიან სტალინს!**

— დავიწყოთ იმით, რომ 1937 წლის რეპრესიებში **ლავრენტი ბერია** საერთოდ არაფერ შუაშია, რადგან ამ დროს ის ჯერ კიდევ საქართველოში იყო და სტალინს მოსკოვში არ ჰყავდა გადაყვანილი. **1956 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა კომპარტიის მე-20 ყრილობის დახურვის დღეს, დილის სხდომაზე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ „პიროვნების კულტის შესახებ“ ვრცელი მოხსენების წაკითხვა და საბჭოეთში დატრიალებული მთელი უბედურების მხოლოდ ორ ქართველზე — სტალინსა და ბერიაზე აკიდება უსამართლობა იყო, რამაც საბჭოთა კავშირი დაანგრია!** საზოგადოებას მინდა, შევახსენო ე.წ. **ეჟოვშჩინას** შესახებ, როცა 1937 წლის ივნისის პლენუმზე საბჭოთა კავშირის მიწათმოწყობის მომავალმა მინისტრმა **რობერტ ეიხემ** და პარტმუშაკმა **მირზოიანმა** სტალინს წაუყენეს ულტიმატუმი — სანამ არჩევნები ჩატარდება, მანამდე პერიფერიებში უნდა აღმოვფხვრათ შეთქმულთა ბანდები, რადგან არსებობს საშიშროება, რომ არჩევნების გზით გადატრიალება მოგვიწყონო! როგორც ირკვევა, სტალინი ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ პლენუმი **ეიხესა და მირზოიანის** წინადადებას მიესალმა. უფრო მეტიც, მათ მოითხოვეს კვოტები, თუ რამდენი კაცი უნდა დაქვემდებარებოდა რეპრესიებს!

**— აბა, დახვრეტილთა სიებს რომ აჩვენებენ, რომელზეც სტალინის ხელმოწერაა?**

— ეს სინამდვილეში საამნისტიო სიებია, მაგრამ ხალხი უკვე დახვრეტილი და გაუბედურებული იყო... ნიკიტა ხრუშჩოვმა ეს ყველაფერი უკუღმა შემოატრიალა და თქვა, რომ თითქოს სტალინისგან მოდიოდა დასახვრეტი ხალხის სიები. პირიქით, სტალინი დასახვრეტთა კი არა, შესაწყალებელთა სიებს აწერდა ხელს, მაგრამ ეს ხალხი უკვე ადგილობრივი ჯალათების მიერ იყო დახვრეტილი! 1937 წლის 28 ივნისს **ნიკოლაი ეჟოვის** მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ხალხს გაასამართლებდნენ ე.წ. ტროიკები და საერთოდ არ იქნებოდა საჭირო გამოძიების ჩატარება. ასე დაიწყო **ეჟოვშჩინა,** რომელიც გაგრძელდა 1938 წლის ზაფხულამდე, ანუ რეპრესიები სინამდვილეში დაიწყო **ნიკოლაი ეჟოვმა** და ეს საშინელება ისახავდა კონკრეტულ მიზანს!

**— მაინც რა მიზანს?**

— რეპრესიებს ძირითადად ატარებდნენ საოლქო კომიტეტებისა და ადგილობრივი ცეკას მდივნები. სწორედ მათგან იქმნებოდა „ტროიკები“. ეს ადამიანები თავიანთი კარიერით სისხლხორცეულად იყვნენ დაკავშირებული **ნიკოლაი ეჟოვთან,** რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრობამდე პარტიულ კონტროლს ხელმძღვანელობდა და ცეკას, საოლქო კომიტეტისა თუ რაიკომის ყველა მდივანი მის ხელში იყო გამოვლილი. ეჟოვი გახლდათ გარყვნილი ადამიანი და კარიერაც თავისი გარყვნილი ცხოვრებით გაიკეთა.

**— და სტალინი ამ მოვლენების მიმართ ინდიფერენტული იყო?**

— **ნიკოლაი ეჟოვის** კარიერა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა სტალინის ძალაუფლება ნომინალური იყო. თავად **ეჟოვი** კი მეფის ოჯახის მკვლელი **სვერდლოვის** მხედველობის არეში მოხვდა და იგი ყაზახეთში თავის ახლო მეგობართან, ცნობილ პასიურ ჰომოსექსუალთან, ყაზახეთის სამხარეო კომიტეტის მდივან **ფილიპ გოლოსშჩოკინთან** გაგზავნა, რომლის ნამდვილი გვარი და სახელი გახლდათ შაია იციკოვიჩი. ეს იყო გარყვნილი და სადისტი არსება, სვერდლოვთან ერთად ტურუხანსკის გადასახლებაში ნამყოფი, რომელმაც 1918 წლის ივლისში მაშინდელ ეკატერინბურგსა და დღევანდელ ურალში **ნიკოლოზ მეორისა და მთელი მისი ოჯახის** დახვრეტას მოაწერა ხელი. **იციკოვიჩმა** ისეთი საშინელებები ჩაიდინა, რომ მე-20 საუკუნის ოციან წლებში 1 მილიონ 300 ათასი ყაზახი იძულებული გახდა, ჩინეთში გაქცეულიყო.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „სტალინი შესაწყალებელთა სიებს აწერდა ხელს, მაგრამ ეს ხალხი უკვე ადგილობრივი ჯალათების მიერ იყო დახვრეტილი!“



**შარლ დე გოლი**, ***საფრანგეთის პრეზიდენტი 1959-1969 წლებში:*** — პოლიტიკაში პროფანი როდი გახლავართ, ჩვეულებრივ პარტნიორს ვალაპარაკებ, თავად კი სიტყვაძუნწი ვარ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ **სტალინი** ამ ხელოვნებას ჩემზე უკეთ ფლობდა. **ჩვენი მოლაპარაკება საერთო ჯამში 15 საათს გაგრძელდა და მე ჩავწვდი მისი გრანდიოზული ფარული პოლიტიკის არსს. მარშლის მუნდირით შემოსილი კომუნისტი ჩემს დაბნევას ცდილობდა და, უნდა გითხრათ, შეძლო კიდეც.** ამას გარკვეული პირქუში ხიბლით შეპყრობილი ვაღიარებ.

*1944 წლის 2 დეკემბერი*

## ★ ბელადზე უთქვამთ

★★★★★

**„სტალინმა შექმნა უდიდესი იმპერია კოლოსალური რესურსებით, მაგრამ შეძლებენ თუ არა შთამომავლები მისი ავტორიტეტის შენარჩუნებას, ეჭვს იწვევს“.**

*ლონდონის გაზეთი „ობსერვერი“, 1949 წლის 21 დეკემბერი*

★★★★★

**„სტალინთან ერთად დასრულდა მსოფლიო ისტორიის მთელი ეპოქა. მან აიძულა დასავლეთი, პატივი ეცა ახალი რუსეთისათვის, რომელიც ჩააყენა დიდ სახელმწიფოთა რიგში“.**

*„ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1953 წლის 6 მარტი*

# ★ გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს

## რუსულ პრესაში გავრცელებული თვალსაზრისით, სტალინი ანტისემიტი გახლდათ და 30-იან წლებში ლენინის თანამოაზრეებს სწორედ ამიტომ დაერია. რას იტყოდით ებრაელებთან სტალინის დამოკიდებულების შესახებ?




**კაგანოვიჩის** გარდა, სტალინის ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ საბჭოთა პროპაგანდის დედაბოძი **ემელიანე იაროსლავსკი (მინეი გუბელმანი)**, აკადემიკოსი **ისა მინცი,** თვალსაჩინო დიპლომატი **მაქსიმ ლიტვინოვი (მეირ ვოლაჰი)** და იმ დროის ერთ-ერთი უმსხვილესი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე **ლევ მეხლისი,** რომელსაც სტალინი, შეიძლება ითქვას, მამასავით ექცეოდა. თუ არმიის გენერალი **პავლოვი** თავის შტაბთან ერთად იმის გამო დახვრიტეს, რომ გერმანელებმა 1941 წელს დასავლეთის ფრონტი გაარღვიეს, სამხედრო საბჭოს წევრი **მეხლისი,** რომელიც პასუხისმგებელი გახლდათ ქერჩის კატასტროფაზე (მაშინ მილიონი ადამიანი დაიღუპა), მხოლოდ მსუბუქად დაიზაფრა.

გარდა ამისა, სტალინის თითქმის ყველა შვილიშვილი ნახევრად ებრაელი გახლდათ, ვინაიდან მისი ქალიშვილის პირველი ქმარი ებრაელი **გრიგორი მოროზოვი (მოროსი)** იყო, **იაკობიც** ებრაელ ქალზე — **იულია მელცერზე** დაქორწინდა და **ვასილის** ერთ-ერთი ცოლიც ებრაელი იყო.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა უმრავლესობა, რომლებსაც განსაკუთრებით წყალობდა ბელადი, ებრაული წარმოშობისა გახლდათ: კომპოზიტორი **ისააკ დუნაევსკი,** მევიოლინე **ლეონიდ კოგანი,** მოჭადრაკე **მიხეილ ბოტვინიკი,** რეჟისორი **მიხეილ რომი,** მწერალი **ემანუელ კაზაკევიჩი** და სხვანი.

ცნობილია, რომ სტალინი განსაკუთრებულ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა **ილია ერენბურგისადმი.** ერთხელ, „დასავლეთისადმი თაყვანისცემის" წინააღმდეგ გაგანია ბრძოლის დროს, მწერალი **ერენბურგი** მკაცრად გააკიცხეს რომან „ქარიშხლის" გამო, რომელშიც, როგორც აღნიშნეს, „ფრანგები საბჭოთა ადამიანებზე უკეთ და შთამბეჭდავად" იყვნენ წარმოჩენილი. ავტორმა სიტყვა მოითხოვა, ტრიბუნაზე ავიდა, პატიების ნაცვლად, ჯიბიდან ქაღალდის პაწია ფურცელი ამოიღო და ტექსტი აუდიტორიას ღიმილით გააცნო: **„წავიკითხე თქვენი „ქარიშხალი". არაჩვეულებრივი რომანია. ი. სტალინი".**

ალბათ, საჭირო აღარ არის დავსძინოთ, რომ მწერლების ქარცეცხლიანი კრიტიკა მყისვე პანეგირიკებში გადაიზარდა. საგულისხმოა, რომ სტალინის გარდაცვალებამდე სწორედ **ილია ერენბურგი** დაჯილდოვდა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიით.

რაც შეეხება ე.წ. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთ, ეთნიკური წმინდის პრინციპი არაფერ შუაში გახლდათ. **ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი** და მათი ცალკეული მომხრეები, მართალია, ებრაელები იყვნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, „მარჯვენა ოპოზიცია" — **ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი** და სხვანი მთლიანად რუსებისგან შედგებოდა. 40-იანი წლების დასასრულ „ლენინგრადის საქმეს" შეწირული **ვოზნესენსკი, კუზნეცოვი, როდიონოვი და პოპკოვიც** წმინდა სისხლის რუსები იყვნენ.

## მსმენია, რომ ლენინი ათაშანგით გარდაიცვალა, სხვა ვერსიით კი იგი მოწამლეს. რა მოხდა სინამდვილეში?



პროლეტარიატის ძლევამოსილი ბელადის აღსასრული დღემდე საიდუმლოების ბურუსითაა მოცული. ექიმების დასკვნა არ გამოქვეყნებულა და მისი არსებობაც კი საეჭვოა. **სტალინის ხელით დაწერილი პირველი ოფიციალური ცნობა** (შემორჩენილია შავი პირი) **იუწყებოდა, რომ „ვ. ი. ლენინი სასუნთქი გზების გადაკეტვით გარდაიცვალა",** რასაც სამედიცინო დასკვნას ვერ უწოდებ. იმავდროულად, საზღვარგარეთულ წყაროთა მტკიცებით, 53 წლის ლენინი ათაშანგმა შეიწირა, რაზეც, უცხოელი ავტორების აზრით, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ავადმყოფობის მიმდინარეობაც მეტყველებდა. ერთი წლის განმავლობაში დაავადების გამოისობით ლენინმა მეტყველების უნარი დაკარგა და შეშლილობისა და ორგანიზმის ხრწნის აშკარა ნიშნები დაეტყო.

მოწამვლის ლეგენდა კი შემდეგ ეპიზოდს ეფუძნება: სასიკვდილოდ დასნეულებულმა ლენინმა საზარელი ტანჯვისგან გასათავისუფლებლად სტალინს საწამლავი სთხოვა. **„ლაფარგებივით",** — თქვა მაშინ ლენინმა. საუბარია მარქსის ასულსა და მის ქმარზე, რომლებმაც სიცოცხლე ამგვარად მოისწრაფეს. ბუნებრივია, სტალინს ლენინისთვის საწამლავი არ მიუტანია და ამ შემთხვევის შესახებ მის დას **მარია ულიანოვას, ზინოვიევს, კამენევსა** და პოლიტბიუროს სხვა წევრებს მოუთხრო. მრავალი წლის შემდეგ საბჭოეთიდან გაძევებულმა **ტროცკიმ** ეს ეპიზოდი ლენინის აღსასრულში სტალინის დასადანაშაულებლად გამოიყენა. ბუნებრივია, იბადება კითხვა — **თუკი ტროცკი სტალინს ბოროტმოქმედად თვლიდა, რატომ დუმდა 16 წლის მანძილზე — 1924-დან 1940 წლამდე?** სტალინი ნამდვილად მკვლელი რომ ყოფილიყო, ნუთუ ლენინის კონფიდენციალური თხოვნის თაობაზე მის დასა და იმ პარტიულ ამხანაგებს მოუყვებოდა, რომლებიც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მისი მეტოქენი იყვნენ?

## მსმენია, რომ ჰიტლერი სიყმაწვილეში ფერწერით იყო გატაცებული, თუმცა, სამხატვრო აკადემიიდან უნიჭობის გამო გარიცხეს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთო პოლიტიკაში



სიცრუეა, თითქოს ჰიტლერი აკადემიიდან უნიჭობის გამო გაერიცხოთ. იგი აკადემიაში არ მიიღეს იმიტომ, რომ პორტრეტული ნამუშევარი არ წარმოადგინა. ისე კი, მომავალი ფიურერი ადამიანების დახატვას ერიდებოდა (შემორჩენილია მისი ორად-ორი პორტრეტული ტილო — **„ბიჭუნა აქლემზე" და „ავტოპორტრეტი"),** თუმცა, ბევრს ხატავდა პეიზაჟებსა და ქალაქის ხედებს ზეთის საღებავებით, აკვარელითა და ფანქრით. ერთხანს ჰიტლერი სწორედ მხატვრობით ირჩენდა თავს და მის ნამუშევრებს ხალისითაც ყიდულობდნენ. ერთ-ერთ კლიენტს, ებრაელ ექიმ ბლოხს მომავალი ფიურერის ფერწერულ ტილოთა მთელი კოლექცია ჰქონდა. ცნობილია ჰიტლერის ნამუშევრები **„კარლოსის ეკლესია ვენაში"** (1912 წ.), **„შლირზეს ტბა"** (1913 წ.), **„სარდალთა დარბაზი მიუნხენში"** (1913-14 წ.წ.) და ფანქრით გაკეთებული ჩანახატები, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდს ეკუთვნის. მისი ნახატების მიხედვით ძნელია იმის თქმა, რომ იგი უნიჭო ფერმწერი იყო. 1925 წელს ჰიტლერმა ჩვეულებას უღალატა და საკუთარი პორტრეტი ზეთში დახატა. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ კი, სატელეფონო საუბრებისას, იგი ხშირად ხატავდა ადამიანთა თავებს. **ნაციზმის ხანის გერმანიაში მისი ნამუშევრების მიხედვით აშენდა ბევრი დიდებული შენობა.** ფიურერი ე.წ. „ათასწლოვანი რაიხისა", რომელმაც სულ თორმეტიოდე წელიწადს იარსება, სხვა დიქტატორთა მსგავსად, უპირატესობას მონუმენტურ არქიტექტურას ანიჭებდა. იგი საშუალო დონის მხატვარი, მაგრამ არაჩვეულებრივი არქიტექტორი გახლდათ.

## მართალია თუ არა, რომ ლავრენტი ბერია პროფესიით არქიტექტორი იყო და საკმაოდ ნიჭიერიც?





მართალია, თუმცა, დიპლომი არ აუღია. მან **ბაქოს საშენებლო სასწავლებელი** დაამთავრა, რომელიც შემდგომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტად გადაკეთდა. იქ ბერიამ წელიწადზე მეტხანს ისწავლა, მაგრამ, ჩეკისტურ სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით, აღარ დაუმთავრებია. თუმცა, უდიპლომობას მის ნიჭზე არ უმოქმედია. **ცნობილია, რომ თავისუფალ დროს ბერია ამა თუ იმ არქიტექტურულ პროექტს ამუშავებდა.** საქართველოს კპ(ბ) ცეკას პირველი მდივნობისას იგი დიდ ძალისხმევას ახმარდა დედაქალაქის აღმშენებლობასა და მისთვის თანამედროვე იერ-სახის მიცემას. **ზოგიერთი მონაცემით, გმირთა მოედანზე ე.წ. „თერთმეტსართულიანი" სახლი ბერიას ესკიზების მიხედვით აშენდა.**

საყვარელი საქმიანობა მას მოსკოვში გადასვლის შემდგომაც არ შეუწყვეტია. დანამდვილებით არის ცნობილი, რომ მოსკოვში, კალუგის კარიბჭესთან (ამჟამად გაგარინის მოედანზე) მდგარი ორი შენობა 1949 წელს მთლიანად ბერიას პროექტით აშენდა. ცნობილია, აგრეთვე, რომ ბერია არცთუ ურიგოდ ხატავდა და კლასიკური მუსიკის ტრფიალიც გახლდათ — იგი ფირფიტების ერთ-ერთ უმდიდრეს კოლექციას ფლობდა ქვეყანაში.

## მართალია თუ არა, რომ საქართველოშიც და საბჭოთა კავშირშიც პირველი მინისტრი ქალი მარიამ ორახელაშვილი იყო?



მართალია. თუმცა, მაშინ მინისტრები კი არა **სახკომები** ეწოდებოდათ. **მარიამ ორახელაშვილმა,** ქალიშვილობის გვარით — **მიქელაძემ,** განათლების სახკომის პოსტი საქართველოს გასაბჭოებისთანავე დაიკავა. მისი მეუღლე, ძველი ბოლშევიკი **მამია ორახელაშვილი** მაშინ საქართველოს რევკომის თავმჯდომარე გახლდათ.

ორახელაშვილების ოჯახს ტრაგიკული ბედი ეწია. 1932 წელს **მამია,** რომელსაც იმხანად ამიერკავკასიის სკპ(ბ) სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი ეკავა, მოსკოვში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს, ხოლო **მარიამი** საბჭოთა კავშირის განათლების სახკომის მოადგილე გახდა. 1937 წელს ცოლ-ქმარი დააპატიმრეს და ეტაპით გააგზავნეს თბილისში. საქართველოს შინსახკომის საპყრობილეში ბედკრულ მეუღლეებს ჩეკისტმა ჯალათებმა წამებით ამოხადეს სული. რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა მამიასა და მარიამის ერთადერთი ქალიშვილი **ქეთევანიც (ქეთუსია),** დიდი მუსიკოსის **ევგენი მიქელაძის მეუღლე** (მარიამი და ევგენი ერთმანეთს არ ენათესავებოდნენ, მხოლოდ მოგვარენი იყვნენ). სახელგანთქმული დირიჟორიც ციხეში დაიღუპა. 1950-იანი წლების დასაწყისში ქეთევანის შვილების — **თინათინისა და ვახტანგის** ჯერიც დადგა. ისინი ყაზახეთში გადაასახლეს. სწორედ 1955 წელს შორეული ბანაკიდან დაბრუნებული ქეთევანი შეიქნა პროტოტიპი **ქეთევან ბარათელისა** თენგიზ აბულაძის ცნობილ ფილმში „მონანიება".



მამია ორახელაშვილი



ევგენი მიქელაძე და
ქეთევან
ორახელაშვილი

# ამერიკას ენა შეუბრუნეს და პასუხს ველით!

*„ქართული ოცნებიდან“ გასული სამი დეპუტატის (სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძისა და მიხეილ ყაველაშვილის) მიერ ამერიკის ელჩისთვის, ქალბატონი კელი დეგნანისთვის 8 და 25 ივლისს გაგზავნილი ორი ღია მიმართვა მთელ მსოფლიოს თუ არა, საქართველოს ნამდვილად შეძრავს. დიახ, ეს წერილები საქართველოს უთუოდ შეძრავს, მაგრამ კატასტროფამდე — ხელისუფლების დამხობამდე ან სამოქალაქო ომამდე რომ არ მივიდეთ, სასწრაფო ზომებია მისაღები, რადგან ამერიკის მთავრობა არაფრით შეეგუება ურჩობას ან სიტყვის შებრუნებას, მით უფრო მაშინ, როცა სამი დეპუტატის ღია წერილებში დასმული კითხვების გზით ნიღაბი ჩამოეხსნა ამერიკის ე.წ. „პარტნიორულ“ პოლიტიკას როგორც ჩვენთან, ისე — სხვაგანაც.*





განგაშის ზარი

იაკობ ლეჟავა

## ვემზადოთ ბრძოლისათვის ფულზე გაყიდულ და არნახულად მომრავლებულ მავნებლურ ორგანიზაცია-პარტიებთან!

ამერიკის მსოფლიო ბატონობისკენ მიმართული სამხედრო და ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ კარგა ხანია, ცნობილია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ამერიკის ფარგლებს გარეთ განლაგებული მისი **800-ზე(!) მეტი სამხედრო ბაზა, მთელი მსოფლიოსთვის თავს მოხვეული ამერიკული დოლარი** (საკუთარი საბეჭდი მანქანით!) **და ამერიკის ნებას დაქვემდებარებული, ვითომდაც, სახელმწიფოების დასახმარებლად შექმნილი საერთაშორისო ბანკებიც,** რომელთა კაბალური კლანჭებიდან ვერავინ ვერ ახერხებს დასხლტომას (მხოლოდ კადაფის ლიბიამ იხსნა თავი და, რაც დამართეს, ყველასთვის ცნობილია!).

მაგრამ ერთია — ხედავდე შენს შინაურ საქმეებში ამერიკის უხეშ ჩარევას და, მეორეა, ამის დამადასტურებელი უტყუარი ფაქტები გაგაჩნდეს და მათი გამომზეურება გაბედო! **ხომ ვნახეთ ყველამ, რომ დეპუტატების მიერ ამერიკის ელჩისთვის კითხვების დასმაც კი ნაცპარტიებმა, ნაცტელევიზიებმა და ამერიკის დაფინანსებულმა მეხუთე კოლონამ, ანუ ე.წ. არასამთავრობოებმა, უცებ მონათლეს არამხოლოდ ელჩზე, არამედ — ამერიკაზე თავდასხმად!**

2012 წლის არჩევნებში ნაცმოძრაობის დამარცხების შემდეგ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აშშ-დან, სავარაუდოდ, ელჩის მიერ, გადმოეცა **20 კაცის სია, რომლებზედაც უნდა გავრცელებულიყო ხელშეუხებლობის გარანტია.** ინფორმაციამ სახელისუფლებო კულუარებიდან გამოჟონა, მაგრამ ბევრმა გულუბრყვილომ მაინც არ დაიჯერა, — **აქაოდა, ამერიკა დაგვეხმარა გამარჯვებაში, მან გადააფიქრებინა სააკაშვილს ძალის გამოყენება და ახლა ხელს რატომ დააფარებს დამნაშავეებსო.**

ეს მოთხოვნა, ფაქტობრივად, დადასტურდა კიდეც, როცა **„ქართულმა ოცნებამ“ მართლაც არ ახლო ხელი უამრავ დამნაშავე ნაცს და, სააკაშვილის მსგავსად, დაუბრკოლებლად დაატოვებინა საქართველო.** დარჩენილებმა კი, პირველ რიგში, ნაცრეჟიმთან მჭიდროდ მოთანამშრომლე პროკურორ-მოსამართლეებმა უპრობლემოდ განაგრძეს მუშაობა სახელმწიფო სტრუქტურებში!

ეს იყო 2012-ში, ხოლო ამერიკის როლი მოგვიანებით, 2019-ში დადასტურდა უკრაინის გახმაურებულ მაგალითზე, როდესაც კიევის ტელევიზიით გამოვიდა აღშფოთებული უკრაინის გენპროკურორი **იური ლუცენკო** და განაცხადა: **ამერიკის ელჩმა მერი იოვანოვიჩმა ჩემგან „ხელშეუხებლობის გარანტიები“ მოითხოვა კონკრეტული პირებისთვის იმის მიუხედავად, თუ რა დანაშაული აქვთ მათ ჩადენილი და რომელი პარტია გაიმარჯვებს არჩევნებშიო!**

შეკითხვა გულუბრყვილო ამერიკანოფილებს: **თუკი 44-მილიონიან უკრაინას ამდენს უბედავს ამერიკა, ჩვენ მოგვერიდებოდა?!**

მეორე მაგალითი, — 2015 წლის აპრილის მიწურულს, პრემიერმა, ბატონმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ორი მინისტრის შეცვლა დააანონსა, ხოლო 1 მაისს მესამეც შეცვალა და, ყველასთვის მოულოდნელად , თავდაცვის მინისტრად ქალბატონი **თინა ხიდაშელი** დანიშნა. თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, რომ არა ორი მნიშვნელოვანი დეტალი: **წინა დღით ბატონ ბიძინა ივანიშვილს სტუმრად სწვევია ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი** (ყავა ნაყვარება და გზად შეუვლია, თურმე!) **და, კიდევ ის, რომ ამ დანიშვნამდე ღარიბაშვილს ისე ჰყოლია ნაგინები ხიდაშელის ქალი კახურად, რომ აუდიოჩანაწერის მომსმენი ბატონი ბიძინა ფრიად გაკვირვებულა, ოღონდ ზუსტად არ ვიცი, — თავად პრემიერისგან თუ კახური „მრავალსართულიანისგან“!**

სარწმუნო სამხილის არქონის გამო ამ შემთხვევაშიც ძნელია, ელჩს დააბრალო კადრების შერჩევა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — **ისეთ კანდიდატს, რომელსაც არავითარი შეხება არ ჰქონია თავდაცვასთან, ივანიშვილი ნამდვილად არ ურჩევდა პრემიერს, მით უფრო — შეუთანხმებლად და სიურპრიზად!** და, არც ღარიბაშვილი დანიშნავდა თავისი ინიციატივით ნაგინებ და ავტორიტეტშელახულ ქალს თავდაცვის მინისტრად!

**ამ მოვლენის ახსნაშიც კიევის მაგალითი გვეხმარება, როდესაც 2014 წლის თებერვალში** (მაიდნის დასრულებამდე!) **სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ქალბატონი ვიქტორია ნულანდი ამერიკის ელჩთან ჯეფრი პაიეტთან ერთად უკრაინის მთავრობას აყალიბებდა.** ამ სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი ფართოდ გავრცელდა და მისი ავთენტურობა არცერთ მოსაუბრეს არ უარუყვია. საუბრიდან ნათლად ჩანს, რომ ყველაფერს ამერიკა წყვეტს „თავის ხოშზე“ და ევროკავშირს ძაღლადაც არ აგდებს. აი, ამის დასტური: **როდესაც სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კიევის მერად ვიტალი კლიჩკოს ასახელებს და ელჩი ატყობინებს, რომ ევროკავშირი კლიჩკოს კანდიდატურის წინააღმდეგია, ქალბატონი ნულანდი მოკლედ და გასაგებად პასუხობს ეკა ხერხეულიძის სტილში: FUCK EU! ანუ შე... ცი ევროკავშირსო!**

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს — როგორც უკრაინაში, ასევე ჩვენთანაც ელჩები — კელი დეგნანი იქნება თუ სხვა, თუნდაც, ევროკავშირის ელჩები, მხოლოდ სახელმწიფო დეპარტამენტის ნება-სურვილის გამტარებლები არიან და მეტი არაფერი!

მაგრამ მიხვედრა ერთია და, როცა იგი ოფიციალური განცხადებითაც დასტურდება სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის **ნედ პრაისის** მიერ — ეს სულ სხვაა! **ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში ნამუშევარი ეს ახალგაზრდა კაცი კატეგორიული ტონით საუბრობს „ზოგიერთი ქართველი ოფიციალური პირის რიტორიკაზე“, გავრცელებულ „დეზინფორმაციაზე და პერსონალურ თავდასხმებზე ელჩ დეგნანზე“ — ჩანს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ყველაფრის საქმის კურსშია; ქართული მედიის წარმომადგენლის შეკითხვაზე — მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძესთან დაკავშირებით კი აშკარად თვალთმაქცობს:** „არ ვარ ამ კონკრეტულ საკითხში გარკვეული“! და როცა დასკვნის სახით ამბობს: „ელჩს აქვს ჩვენი (ანუ სახელმწიფო დეპარტამენტის!) სრული მხარდაჭერა“, ყველაფერი თავის ადგილზე დგება, — **უკვე თავად სახელმწიფო დეპარტამენტის უცერემონიო აღიარებით!**

წერტილი, უფრო კი, ძახილის ნიშანი ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** დაუსვა 27 ივლისს, როდესაც განცხადება გაავრცელა, რომლითაც **ამერიკის ელჩი, ფაქტობრივად, ტყუილში იქნა მხილებული, თითქოს იგი არ შეხვედრია ივანიშვილს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების, ანუ 24 თებერვლის შემდეგ.** არ შეხვედრია კი არა, თურმე, თავად ელჩს მოუთხოვია შეხვედრა, რომელიც სამ (!) საათს გაგრძელებულა! განცხადებაში ბატონი ბიძინა ხაზგასმით ამბობს: **„გარკვეული ძალები(!) საქართველოს ომში ჩათრევას აქტიურად(!) ცდილობდნენ და მათი ეს სურვილი და მიზანი, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია“! „გარკვეულ ძალებში“** ივანიშვილი არც შინაურ ნაცებს და მათთან ასოცირებულებს და, არც უკრაინის ლიდერებს **(ზელენსკი-დანილოვ-არესტოვიჩ-არახამიების სახით)** რომ არ გულისხმობს, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რადგანაც ერთნიც და მეორენიც ღიად მოგვიწოდებდნენ **მეორე ფრონტის** გახსნისკენ! ფარულად კი, ფაქტობრივად, მხოლოდ „სტრატეგიული პარტნიორი“ ამერიკა მოქმედებდა. თუმცა, რაღა ფარულად — ის ხომ დუმილს ამჯობინებდა, როდესაც მის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები (სახალხო დამცველის წინამძღოლობით!) საქართველოს ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ და ერთ ხმაში მოუწოდებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომისკენ. დუმილი კი ყველას მოეხსენება, თანხმობის ნიშანია!

საქართველოს ომში ჩაბმა რუსეთის ინტერესებში რომ არ შეიძლება იყოს, ამას მტკიცება არ სჭირდება, ხოლო, თუკი იგი არც ამერიკის ინტერესებში შედის, მაშინ ასეთ აშკარა და უჭკუო მილიტარისტულ მოწოდებებს მყისიერი რეაქცია უნდა მოჰყოლოდა ამერიკის ელჩის მხრიდან! **ისიც ცხადია, რომ ეს ე.წ. არასამთავრობო, ამერიკის კმაყოფაზე მყოფი ორგანიზაციები იმდენად კარგად არიან გაწვრთნილები** („დატრენინგებულნი“!), **რომ მათ შესანიშნავად იციან ელჩთან შეუთანხმებლად ხმის ამოღება დასჯადია** (მინიმუმ, ფინანსურად!). ეს ორჯერ ორივითაა. საქართველო? საქართველო ვის ახსოვს, როცა მსუყე-მსუყე დაფინანსებას ეხება საქმე, მისი მასშტაბები ხომ პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია იმასთან, თუ რამდენად კარგად შეასრულებენ გაღმიდან მიღებულ ინსტრუქციებს. ტყუილად ხომ არ უწოდებენ მათ მეხუთე კოლონას!

ელჩის სიცრუეზე კი ის უნდა ითქვას, რომ ქალბატონ კელი დეგნანს კარგად მოეხსენება — **ტყუილში მხილებულ ადამიანს ძალიან უჭირს ამერიკაში ნორმალური სამუშაოს მოძებნა და არავის პატივს ასეთი ადამიანი არ იმსახურებს, არავინ მას არ ენდობა და, მოკლედ, დიდი სირცხვილია!** მაგრამ ისიც უტყუარი ფაქტია, რომ ტყუილი და სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფაც მხოლოდ მაშინაა დაშვებული, თუკი ამერიკის ინტერესებს ემსახურება!

ამერიკას დიდად არ ანაღვლებს არც ჩვენი და არც არავის, არცერთი სახელმწიფოს ან ხალხის მიხვედრილობა, ის მაინც რქებით აწვება ყველას და ყველაფერს და ძალით გააქვს თავისი — **არც ომის წამოსაწყებად და არც სამხედრო ბაზის მოსაწყობად უცხო მიწაზე მას არ სჭირდება თუნდაც გაეროს ნებართვა.** მას იმდენად აქვს თავში ავარდნილი საკუთარი სიმდიდრე და სიძლიერე, რომ უკან არაფერზე იხევს. **არადა, სულ პატარა სატყუარა სვლა რომ გაეკეთებინა, სულ მცირედით უკან რომ დაეხია და ეთქვა** (პრაისის პირით): **ელჩმა, სამწუხაროდ, გადაამეტა თავის უფლებამოსილებასო და ამის შემდეგ ქალბატონი დეგნანიც ვადის ამოწურვამდე გაეწვია საქართველოდან, ჩვენ და მსოფლიოსაც იგი უეჭველად „დაგვაბამდა“ — და ატყდებოდა ერთი ალიაქოთი ნაცების მხრიდან: აი, ხომ ხედავთ, როგორი სამართლიანია ამერიკა, თქვენ რომ უსაფუძვლოდ აკრიტიკებთო. მაგრამ მან ეს არ ჩათვალა საჭიროდ უმარტივესი მიზეზით: ამერიკა და მისი ელჩი ყველგან და ყოველთვის მართალია! გაბედე და შეუბრუნე ენა!**

ასეა თუ ისე, ბევრის გასახარად, ამერიკას ენა შეუბრუნეს და პასუხს ველით!

როდესაც საქმე ასეთ სიტყვიერ დაპირისპირებამდე მივა შეერთებულ შტატებთან, მერე უკან დახევა ჩვენი მიწასთან გასწორების ტოლფასი იქნება. **ამიტომ უნდა ვეცადოთ, არ წამოვეგოთ რაიმე პროვოკაციაზე და მაქსიმალურად დავიცვათ კორექტულობა** (ისევე, როგორც უკვე გაგზავნილ ღია წერილებში) **და არ მივცეთ საბაბი.**

ამასთან ერთად, უნდა ვემზადოთ თავის დასაცავად. **დიდი**

# კოდექსში უნდა აღდგეს სამშობლოს ღალატის მუხლი!

# არა მგონია, სოსო გოგაშვილი ერთადერთი კაცი იყოს უშიშროებაში, თავდაცვაში ან შინაგან ჯარში მაღალ თანამდებობაზე აპარული!



**ოპერატიულად მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი კანონები, რომლებითაც მკაცრად დაისჯებიან დეზინფორმაციის გამავრცელებელნი, სახელმწიფო გადატრიალებისკენ ან რუსეთთან ომში ჩაბმისკენ მომწოდებლები, ხელისუფლების ძირგამომთხრელ საქმიანობაში ბრალდებულნი, საპატრიარქოსა და ეკლესიის შეურაცხმყოფლები!**

**ალბათობით, ეს არ იქნება ამერიკის მხრიდან უშუალო შემოტევა, არამედ, როგორც მას სჩვევია, იგი მთავრობასთან დაპირისპირებულ შიდა ძალებს** (არამარტო ზემოთ ნახსენებ ნაცპარტიებს, მათ ტელევიზიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ — ძალოვან სტრუქტურებში თანამდებობებზე დატოვებულ ნაცების მხარდამჭერებსაც) **გამოიყენებს საპროტესტო ტალღის ასაგორებლად და ხელისუფლების დასამხობად ან, მინიმუმ, გადასაყენებლად, შემდგომი ანგარიშსწორებით მასთან და მის მხარდამჭერებთან. ამაში ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს!**

არ შეიძლება იმის იმედად ყოფნა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცედ დგას მის მიერ არჩეული ხელისუფლების მხარეს და ამიტომ თითქოსდა უმცირესობა ვერ გაბედავს ძალადობას, რომ მას ხალხი გადაუვლის! არ არის ასე, სამწუხაროდ!

**შეიარაღებულ გადატრიალებას სრულებითაც არ სჭირდება მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა, კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული უმცირესობაც ახერხებს გადატრიალებებს, მითუმეტეს, როდესაც გარედან აქვს მხარდაჭერა და დაფინანსებაც! ამის უამრავი მაგალითი არსებობს.**

**აუცილებელია კადრების გადამოწმება-გადახალისება ყველა ძალოვან სტრუქტურაში** (უპირველესად, უშიშროების სამსახურში), **ვისაც კი იარაღი შეიძლება გააჩნდეს. საკადრო წმენდის გარეშე სიმშვიდე არ დაისადგურებს, ვინაიდან ყოველთვის დარჩება პროვოკაციების ან საბოტაჟის რისკი.** არა მგონია, **სოსო გოგაშვილი** ერთადერთი კაცი იყოს უშიშროებაში, თავდაცვაში ან შინაგან ჯარში მაღალ თანამდებობაზე აპარული. ადვილი შესაძლებელია, თავის დროზე დათხოვნის ნაცვლად ადგილებზე დატოვებული და ახლა ხელსაყრელი მომენტის მომლოდინე მაღალი ნაცებიც იყვნენ შორიახლო ჩასაფრებულნი! მათი პირადი საქმეებისა და წარსული საქმიანობის შესწავლით აუცილებელია არასანდო პირების გამოვლენა და მოსალოდნელი სამოქალაქო სისხლიანი დაპირისპირების თავიდან აცილება.

**ეს სამუშაო უნდა შესრულდეს ოპერატიულად და მის პარალელურად უნდა მოხდეს სანდო, ნაცებთან გამიჯნული სამხედრო კადრების მოზიდვა** (ასეთები ბევრია, სააკაშვილის მიერ ვადაზე ადრე დათხოვნილთა რიგებში), **ასაკოვანი და გამოცდილი ხალხის კი კონსულტანტებად დასაქმება და ა.შ.**

თუ გვსურს სტაბილურობა ქვეყანაში და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარებაც, უნდა **ვემზადოთ ბრძოლისთვის** — არა რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან ომისთვის, არამედ შინაურ, **ფულზე გაყიდულ და არნახულად მომრავლებულ მავნებლურ ორგანიზაცია-პარტიებთან** ბრძოლისთვის, რისთვისაც ასევე **ოპერატიულად მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი კანონები, რომლებითაც მკაცრად დაისჯებიან დეზინფორმაციის გამავრცელებელნი, სახელმწიფო გადატრიალებისკენ ან რუსეთთან ომში ჩაბმისკენ მომწოდებლები, ხელისუფლების ძირგამომთხრელ საქმიანობაში ბრალდებულნი, საპატრიარქოსა და ეკლესიის შეურაცხმყოფლები.** კოდექსში უნდა აღდგეს სამშობლოს ღალატის მუხლი და ა. შ.

**სიფხიზლის მოდუნება დაუშვებელია, ეშმაკს არ სძინავს, ფხიზლად და ჭკუით, ხელისუფლებავ!**

ვიცი, ძნელია, ძალიან ძნელი, მოზღვავებულ გარე „პარტნიორებთან" თუ შიდა მანქურთებთან გამკლავება, მაგრამ პირველ ნაბიჯს **(სიტყვას)** მეორე ნაბიჯი **(საქმე)** თუ არ მოჰყვა, საკუთარ თავსაც დაიღუპავ და ერსაც გაწირავ მრავალწლიანი მონობისათვის! **საზოგადოებისთვის მარტო სიმართლის თქმა საკმარისი არ არის! უკან დახევა, მიუღებელ პუნქტებზე დათანხმება და ქართველი ერის ღირსების შემლახავი ქმედებების და სიტყვების ძველებურად თმენა მართლმადიდებელი ქვეყნისთვის სიკვდილის ტოლფასია!** ახლა, როცა წელში გამართვა იწყე და სანამ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ მხარს გიჭერს, არ უნდა გატყდე, აღარ უნდა დაიჩოქო, **ქართველი ხალხის მიერ ზურგგამაგრებულმა უნდა გააგრძელო წინსვლა ფრთხილი, დიპლომატიური და იურიდიულად გამართული ნაბიჯებით!** რას იზამ, არ გაგიმართლა, მძიმე პერიოდში მოგიწია ქვეყნის მართვა, თუმცა, როდის იყო, რომ გვილხინდა?!

**და თუკი თავს გადადებ და ზეწოლას გაუძლებ, თუკი ხალხისთვის სასურველ პოლიტიკურ კურსს აირჩევ, ხალხი ყველა წყენას დაივიწყებს, ლეგენდად გაქცევს და სიყვარულით ცაში აგიყვანს!**

## სიფხიზლის მოდუნება დაუშვებელია, ეშმაკს არ სძინავს, ფხიზლად და ჭკუით, ხელისუფლებავ!

---

ჟურნალისტის სიტყვა

# ჯეფრი სილვერმანი:



## მთავრობამ კელი დეგნანს უნდა უთხრას –

# გეყოფა, დროა, სახლში წახვიდე!

*„ბიძინა ივანიშვილმა საქართველო არამხოლოდ ომისაგან, არამედ ტოტალური განადგურებისაგან იხსნა!" —* ***ამბობს ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი და ხმამაღლა აცხადებს:***



— ქართველი კაცი ყოველთვის გამოირჩეოდა გონიერებითა და სიბრძნით, ამიტომ ძალიან მიკვირს, როდესაც ზოგიერთები სხვადასხვა ტელევიზიაში სხედან და საქართველოდან **ბიძინა ივანიშვილის** გაძევებას ან მის სანქცირებას ითხოვენ! ხმამაღლა ვამბობ: **ივანიშვილმა არამხოლოდ ომისაგან იხსნა საქართველო, არამედ — ტოტალური განადგურებისგანაც, არავის მისცა მოსახლეობის აწიოკებისა და მოსპობის უფლება, ქვეყანას შეუნარჩუნა სახე!** ბიძინა ივანიშვილი შეიძლება არ გიყვარდეს და არ მოგწონდეს, მაგრამ ის პატივსაცემი პიროვნებაა, რომელმაც საკუთარი თავი და ოჯახი სამშობლოს გამო რისკის ქვეშ დააყენა.

**— საქართველოს ომში ჩართვის რეალური საფრთხე საბოლოოდ აიცილა?**

— გასულ კვირებში აქ ჩამოსულ ევროპარლამენტარებს ძალიანაც მოეწონებოდათ, რომ საქართველო სამხედრო ბაზად ქცეულიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა.

არის კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი: **სალომე ზურაბიშვილი, იმის ნაცვლად, რომ პრემიერ-მინისტრთან ერთად მუშაობდეს პრობლემების გადასაჭრელად, ცეცხლზე ნავთს ასხამს და ნაცების იმ სურვილებს ახმოვანებს, რაც სპეცსამსახურების კონტროლქვეშაა!**

**— ბიძინა ივანიშვილისა და კელი დეგნანის შეხვედრას როგორ აფასებთ?**

— **კელი დეგნანის** შეხვედრას ივანიშვილთან დადებითად ვერ ვაფასებ, გაკვირვებულიც კი ვარ, რომ ჯო ბაიდენმა დეგნანი სხვა ელჩით არ შეცვალა. **მთავრობამ ინიციატივა უნდა აიღოს და დეგნანს უთხრას — გეყოფა, დროა, სახლში წახვიდე!** ამჟამად კელი დეგნანი უფრო კონცენტრირებულია გეი-ჯგუფების უფლებებისა და ცხოველების დაცვაზე, ვიდრე ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობების წარმართვაზე.

**— გასულ კვირას კიდევ ერთმა ამერიკელმა მეთიუ ბრაიზამ განაცხადა, რომ ამერიკაში არავის აინტერესებს, რას იტყვის „ქართული ოცნება" ელჩ დეგნანზე...**

— **ბრაიზა** არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობას და არც ის შეესაბამება სიმართლეს, თითქოს ამერიკაში არ აინტერესებთ, რას იტყვის „ქართული ოცნება" ამერიკის ელჩზე... პირიქით, ძალიანაც აინტერესებთ და უნდათ, რომ საქართველოში გეოპოლიტიკური სტაბილურობა იყოს, ელჩი სწორად მუშაობდეს და პროცესებს ზუსტად აღიქვამდეს. **მეთიუ ბრაიზა** იცავს აზერბაიჯანისა და თურქეთის ინტერესებს საქართველოს მიმართულებით, იგი არის ამ რეგიონისთვის დაქირავებული ბანდიტი და იგივე შემიძლია ვთქვა **სემ პატენზე,** რომელიც ორი ქართული მთავრობის — ნაცმოძრაობისა და „ქართული ოცნების" დაურეგისტრირებელი ლობისტი იყო. ეს ორი ფიქრობს, რომ საქართველო მათი საკუთრებაა და როგორც უნდათ, ისე მოექცევიან. ორივე ციხეში უნდა იჯდეს კორუფციისა და სხვა იმ დანაშაულებისათვის, რაც ამერიკაშიც ჩაიდინეს.

**— მეთიუ ბრაიზა დღესაც სააკაშვილის აქტიური დამცველია...**

— **სააკაშვილს ციხე მისჯილი აქვს არა იმ რეალური დანაშაულებისათვის, რაც ჩაიდინა, არამედ, მსუბუქად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელ დანაშაულებზე. ის საავადმყოფოში კი არ უნდა იყოს, არამედ იმ ჯალათ უბირიასთან ერთად უნდა იხდიდეს სასჯელს, მამაკაცებს რომ აუპატიურებდა!**

**— სააკაშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა ვალერი გელბახიანმა განაცხადა, რომ სააკაშვილს აღარ სურს ქართულ პოლიტიკაში ყოფნა და წყვეტს მუშაობას ნაციონალურ მოძრაობასთან. მისი შვილი ედუარდ სააკაშვილიც ველარ ხედავს მამის ადგილს ქართულ პოლიტიკაში!**

— პოლიტიკური მომავალი სააკაშვილს უკრაინაში უფრო აქვს, ვიდრე საქართველოში. ის არ არის საქართველოს მოქალაქე და ვერ მიხვდა, რომ მოქალაქეობას, როგორც საცვალს, ისე არ უნდა მოქცეოდა. **რომც გაათავისუფლონ, საქართველოში ცხოვრებას ვერ შეძლებს, ყოველ ნაბიჯზე დაცვით უნდა გადაადგილდეს, რადგან მისი რეჟიმის მსხვერპლთაგან თავის დაღწევა გაუჭირდება.** ამჟამად სააკაშვილი ავად კი არ არის, არამედ იზოლირებისაგან გონება აქვს დაბინდული, ვერ ეგუება, რომ ხალხის წინაშე გამოსვლა და გიჟობა შეუზღუდეს. სხვათაშორის, სააკაშვილის ერთ-ერთი უფლებადამცველი „ასავალ-დასავალის" ყოფილი ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძეა,** რაც ძალიან გამიკვირდა.

**— როგორც ხაჭაპურიძემ განაცხადა, ის თვითონ სააკაშვილმა დაიქირავა...**

— სააკაშვილი ამით რეპუტაციის აღდგენას ცდილობს! ვინაიდან ხაჭაპურიძე „ასავალ-დასავალს" სასამართლოში თაღლითი **მამუკა ხაზარაძისაგან** იცავდა, შესაძლოა, სააკაშვილი ფიქრობს, რომ ხაჭაპურიძის ადვოკატად აყვანით „ასავალ-დასავალის" უამრავი მკითხველის სიმპათიას მოიპოვებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას ვერ ეღირსება!

ჩვენი საუბრის დასასრულ კიდევ ერთხელ მინდა, აღვნიშნო:

## ამერიკის ელჩისადმი წაყენებული პრეტენზიები სამართლიანია! საქართველო გაიმარჯვებს!

*ესაუბრა* **ქეთევან ხამიცაშვილი**

***შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ 1937 წლის რეპრესიების უდანაშაულო მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესი სსრ კავშირში პირველმა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ, რომელმაც ზუსტად 68 წლის წინათ, 1954 წლის ზაფხულში, გამართულ ქართველ მწერალთა მე-4 ყრილობაზე საგანგებოდ აღნიშნა, რომ ინტრიგებისა და ტერორის მსხვერპლთა საქმეები გამოძიებული იქნებოდა და მათ პატიოსანი ადამიანის სახელს დაუბრუნებდნენ.***

**ეს იყო!**

# 1954 წელს სსრ კავშირში რეპრესიის მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესი ვასილ მჟავანაძემ დაიწყო!

## ნინა მჟავანაძე:





**„მთელ სსრ კავშირში ეს იყო პირველი რეაბილიტაცია!“**

**ნინა მჟავანაძე**, *ვასილ მჟავანაძის ქალიშვილი:* — **ქართველ საბჭოთა მწერალთა მეოთხე ყრილობა** საგანგებოდ გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში **1954 წლის 30 ივნისს.** მწერლების გარდა, ყრილობას ესწრებოდნენ მოწინავე მუშები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები. სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსულები იყვნენ მწერლები და პოეტები, ყრილობას ესწრებოდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერალთა კავშირის მდივანი, პოეტი **ნიკოლოზ ტიხონოვი,** ხოლო ყრილობა გახსნა პოეტმა **ირაკლი აბაშიძემ.** ეს ყრილობა წინ უსწრებდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების მე-2 ყრილობას, რომელიც შემოდგომაზე მოსკოვში უნდა გამართულიყო. ამასთან, სწორედ ამ ყრილობაზე გადაწყდა 1937 წელს დახვრეტილ უდანაშაულო მწერალთა და ხელოვანთა რეაბილიტაციის საკითხი...

**— კერძოდ?**

— ამის შესახებ არსებობს მწერალ **სერგი ჭილაიას** მოგონება, რომელმაც, **ირაკლი აბაშიძესთან** ერთად, წერილით მიმართა მამას — დაინტერესებულიყო უდანაშაულოდ დახვრეტილ მწერალთა და სხვა პირთა საქმეებით. სერგი ჭილაიამ, წერილთან ერთად, წარადგინა **მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის** უდანაშაულობის დამასაბუთებელი მასალა.

სერგი ჭილაია ვასილ მჟავანაძესთან შეხვედრას ასე იხსენებდა:

*„ჩვენი წინადადება მოეწონა მაშინდელ პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს, გვითხრა — აგაშენათ ღმერთმა, ეს რა კარგი საქმეა. ამასწინათ ჩემთან ერთი პასუხისმგებელი პირი მოვიდა, სია მომიტანა, ამ ხალხს თუ არ დაიჭერ, მუშაობა გაგიჭირდებაო. სამხედრო კაცი ვარ, ერთბაშად შევცბუნდი და აღშფოთებულმა მივახალე — ეს როგორ-მეთქი?! ახლა თქვენ უკანონოდ მოკვეთილი მწერლების სახელის აღდგენას მთხოვთ — მე თანახმა ვარ“.*



მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი



დროშა № 8 (37) აგვისტო 1954 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობაზე

მამამ საგანგებო დავალება მისცა ცენტრალურ კომიტეტს, საქმეებს დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ, ყველაფერი გამოეკვლიათ, რეპრესიის წლებში ვის, როგორ და რა ვითარებაში დასწამეს ცილი, დაეწერათ დასკვნები მათი სახელების რეაბილიტაციაზე.

3 ივლისს, მწერალთა ყრილობის დახურვის დღეს, მამა სიტყვით გამოვიდა ქართველი მწერლებისა და სტუმრების წინაშე და ყველას აცნობა, რომ გამოძიება დაწყებული იყო და უდანაშაულო ადამიანები რეაბილიტირებული იქნებოდნენ. **მთელ სსრ კავშირში ეს იყო პირველი რეაბილიტაცია, რაც იმას გულისხმობდა, რომ უნდა დაწყებულიყო უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, პატიოსანი სახელისა და ჩამორთმეულ უფლებათა აღდგენა.**

**— ვინ იყვნენ პირველი რეაბილიტირებული მწერლები?**

— პირველად რეაბილიტირებული იყვნენ — **მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი.** სამწუხაროდ, არ არსებობდა ჯავახიშვილისა და ტიციანის საფლავები, რათა სათანადო პატივი მიეგოთ, რაც შეეხება **პაოლო იაშვილს,** რეაბილიტაციის შემდეგ ის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. ეს მოხდა 1957 წელს.

**— მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის რეაბილიტაციის თარიღი?**

— დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ **მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაცია** მოახდინა 1954 წლის 26 ივნისის განჩინების საფუძველზე — საქმე №4H-06914/54 შეწყდეს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ასევე **ტიციან ტაბიძის რეაბილიტაცია** მოხდა სსრკ უზენაესი სასამართლოს 1954 წლის 26 ივნისის განჩინებით, საქმის — №4H-06914/54 წარმოება, რსფსრ სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შეწყვეტილად გამოცხადდა. ესე იგი, მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციანის რეაბილიტაცია მოხდა ქართველ საბჭოთა მწერალთა მე-4 ყრილობის გახსნამდე 4 დღით ადრე. არსებობს ამ ყრილობაზე მამას გამოსვლის სრული ტექსტიც, რომელიც **1954 წელს ჟურნალ „მნათობის“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა.**

**— როგორ გამოაცხადა ვასილ მჟავანაძემ მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის რეაბილიტაციის შესახებ?**

— მამას სიტყვებია:

*„ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხს კაცისმკვლელთა და ჯაშუშთა ბანდამ, რომლებიც ამხილა და უვნებელყო ჩვენმა პარტიამ. ბევრი მოწინავე, პროგრესული მეცნიერი დაღუპა ამ ბანდამ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით, არკვევს, თუ როგორ დასწამეს ცილი, დასდეს მსჯავრი, შეურაცხყვეს პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები. არკვევს, რათა, თუნდაც, სიკვდილის მერე დაუბრუნოს მათ პატიოსანი სახელი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ კაცისმკვლელთა ამ საზიზღარი ბანდის ინტრიგებისა და ტერორის მსხვერპლი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები — **მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი.** მე მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით, ეს პირები რეაბილიტირებული არიან“.*

**— ამ ყრილობაზე საგანგებოდ შეარჩიეს სსრ კავშირის მწერალთა მეორე ყრილობის დელეგატებიც...**

— დიახ, მწერლებმა ჩამოწერეს დელეგატთა ვრცელი სია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს წარუდგინეს. სსრ კავშირის მწერალთა მეორე ყრილობის მუშაობაში ქართველი მწერლების ნაწილს გადამწყვეტი ხმის უფლებით უნდა ემუშავა, ნაწილს — სათათბირო ხმის უფლებით. მჟავანაძემ ყურადღებით წაიკითხა სია და როცა **გალაკტიონ ტაბიძის** გვარი ვერ ამოიკითხა, **ირაკლი აბაშიძესა და სერგი ჭილაიას** მიმართა: **გალაკტიონი სად არის, დელეგატად არ აირჩიეთო?!** უხერხული სიტუაცია შეიქმნა. ბოლოს **ალეკო შენგელიამ** თქვა: **გალაკტიონის ჩაწერა დაავიწყდათო...** სხვა მწერლები თავდახრილები ისხდნენ. ეს რა ხდებაო? — გაუკვირდა მამას და გალაკტიონის სახელი და გვარი თავისი ხელით ჩაწერა მწერალთა სიაში. გალაკტიონი მოსკოვში გაემგზავრა და, როგორც იხსენებდნენ, ძალიან ბედნიერი იყო ყრილობაში მონაწილეობითა და შეხვედრებით.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

### საქართველოს მწერლების მორიგი ამოცანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის სიტყვიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობაზე

**ჟურნალი „მნათობი“. 1954 წლის №7**

ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხს კაცისმკვლელთა და ჯაშუშთა ბანდამ, რომლებიც ამხილა და უვნებელყო ჩვენმა პარტიამ. ბევრი მოწინავე, პროგრესული მეცნიერი დაღუპა ამ ბანდამ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით არკვევს, თუ როგორ დასწამეს ცილი. დასდეს მსჯავრი, შეურაცხყვეს პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები. არკვევს, რათა თუნდაც სიკვდილის შემდეგ დაუბრუნოს მათ პატიოსანი სახელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია. რომ კაცისმკვლელთა ამ საზიზღარი ბანდის ინტრიგებისა და ტერორის მსხვერპლნი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ეს პირნი რეაბილიტირებული არიან. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა. რომ საქართველოს საბჭოთა მწერლები ენერგიულად შეუდგებიან მუშაობას, შექმნიან მაღალიდეურ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც ასახული იქნება ჩვენი შესანიშნავი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა და ცხოვრება. **(ხანგრძლივი ტაში).**




**სარედაქციო კოლეგია**

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**

ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**



## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# ამერიკელები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილი გაგიჟდა!



**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს ჩათრევის ამაო მცდელობის შემდეგ ბნელი ძალები კიდევ ერთი გეგმის ამოქმედებას ცდილობენ:**



## „ამერიკელებმა გადაწყვიტეს, საქართველოში აფერისტი არახამიას პორტირება მოახდინონ!“

## „ამერიკის სპეცსამსახურები საქართველოში დავით არახამიასა და ნაცების მეშვეობით გადატრიალებას გეგმავენ!“

— ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილის სახით, საქმე გვაქვს სამოქალაქო გმირობის მაგალითთან, როცა ქვეყნის ყველაზე უფრო გავლენიანმა ადამიანმა და მეცენატმა გამოავლინა მორიგი სიმამაცე და ზვიად გამსახურდიას შემდეგ დაუპირისპირდა იმ ბნელ ძალებს, რომლებსაც რუსეთ-უკრაინის საბედისწერო ომში ჩვენი ქვეყნის ჩაბმა სურთ. **ძალაუნებურად მახსენდება საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელიც არ შეეპუა ამერიკულ იმპერიალიზმს, რომელიც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა და პრეზიდენტ ბუშის ცნობილ გამონათქვამს — „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“ — დაუპირისპირა პოზიცია, რომელიც ასე ჩამოაყალიბა — „მდინარის დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“**

**— დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ვერასოდეს ხედავდნენ ქუჩაში გამოსულ იმ ასეულათასობით ადამიანს, რომელიც შევარდნაძის ხუნტას და საქართველოში ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლების დამხობას აპროტესტებდა.**

— სამაგიეროდ, დასავლეთი ხედავდა **ედუარდ შევარდნაძესა** და ჩოხაში გამოწყობილ **ჯაბა იოსელიანს,** რომელმაც 1992 წლის 26 მაისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, ამერიკის სახელმწიფო მდივანი **ჯეიმს ბეიკერი** „მხედრიონის“ ორდენით დააჯილდოვა და საპატიო მხედრიონელად აკურთხა. ამერიკამ და დასავლეთმა ფეხქვეშ გათელეს საქართველოს მოსახლეობის 87 პროცენტის ნება, რამაც ზვიად გამსახურდია პირველ პრეზიდენტად აირჩია და მხარი დაუჭირეს სისხლიან ხუნტას. შემდეგ, როგორც კი შევარდნაძემ ერგნეთის ბაზრობა გახსნა და თბილისში **არძინბა და გალაზოვი** ჩამოვიდნენ, ამერიკელები შეშფოთდნენ — ვაითუ, საქართველო მართლაც გაერთიანდესო! — და შევარდნაძე აიძულეს, ხელისუფლება სააკაშვილისთვის დაეთმო. შევარდნაძე თავიდანვე „ცეერუს“ აგენტი იყო და რაც ამერიკელებმა უთხრეს, ის გააკეთა. თავის მხრივ, სააკაშვილიც ირჯებოდა **ამერიკელი ინსტრუქტორების** რჩევითა და მითითებით, რომლებმაც აიძულეს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება, დასთანხმებოდნენ ე.წ. კოჰაბიტაციას.

**— ინსტრუქტორების რჩევებსა და მითითებებში რას გულისხმობთ?**

— რასაც ამერიკელები გუანტანამოს ციხეში სჩადიოდნენ, სწორედ იმას აკეთებდა სააკაშვილი გლდანის ციხეში! ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო ამერიკელ პატრონებთან და სწორედ მათი ლოცვა-კურთხევით ხდებოდა ქუჩაში ახალგაზრდების ჩახოცვა და პატიმრების გაუპატიურება თუ წამება. გინახავთ მაშინ, რომელიმე ევროპარლამენტარს ხმა ამოეღოს ან რომელიმე ამერიკელ ელჩს, სენატორსა და კონგრესმენს სააკაშვილის გარყვნილი და სადისტური რეჟიმი საქვეყნოდ გაეკრიტიკებინოს?

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ხარკი გადაიხადა იმისათვის, რათა ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოს გასულიყო, ამერიკელებმა მაინც მოსთხოვეს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

## ბარაქალა ბიძინას ქართველკაცობას, რომ შანტაჟის, მუქარისა და, ფაქტობრივად, სანქციების დაწესების მიუხედავად, ქვეყანა ამ საშინელი ომისთვის არ გაწირა!

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ „სვისს კაპიტალში“ დავანებულ 600 მილიონ დოლართან დაკავშირებულ სკანდალსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებულ სამარცხვინო რეზოლუციას ერთადერთი მიზეზი აქვს — ბიძინა ივანიშვილის გატეხა, რათა ის რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს ჩათრევაზე დაეთანხმებინეთ?**

— ბანკი კაცს არ აძლევს თავის ფულს და რაზეა ლაპარაკი? ეს ხომ შემთხვევით არ ხდება? მართალია, იმ შვეიცარიული ბანკის მმართველი გადადგა და ბანკი უდიდესი პრობლემების წინაშეა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეს უმძლავრესი საკრედიტო ორგანიზაცია სწორედ ამერიკელებმა აიძულეს, ასე სამარცხვინოდ მოქცეულიყო, მაგრამ აქ ჩაერთო ის მექანიზმი, რასაც ჰქვია მამულიშვილობა, ერისკაცობა, სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი. **ბატონმა ბიძინამ საფრთხის ქვეშ დააყენა თავისი მილიარდები, აბსოლუტურად ყველაფერი, შესაძლოა, თვით სიცოცხლეც კი და ქვეყანას ეს საშინელი განსაცდელი თავიდან აარიდა.**

## რაზე ელაპარაკებოდა 3 საათის განმავლობაში კელი დეგნანი ბიძინას – ფერწერაზე, საქართველოს ისტორიაზე თუ ყავაზე მკითხაობდნენ? ცხადია, ლაპარაკი შეეხებოდა საქართველოს ომში ჩართვას და კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას!

ამაზე მეტი ზეწოლა და უბედურება რაღა უნდა იყოს? **ივანიშვილი ჭკვიანი კაცია და ამ ყველაფერს ჯერჯერობით არ ამბობს, მაგრამ განა მთელმა საქართველომ არ იცის, რომ ეს ასეა?**

**— რა მექანიზმები დარჩა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს, რათა საქართველოს ომში ჩათრევა მოახერხონ?**

— ამერიკელები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილი გაგიჟდა! მართალია, არც მანამდე იყო დალაგებული, მაგრამ მისი შემცვლელი ამერიკელებს არ ჰყავთ. ამიტომ ახლა გადაწყვიტეს, მოახდინონ საქართველოში აფერისტი **დავით არახამიას** პორტირება, რომელიც, დარწმუნებული ვარ, პირდაპირ რუსეთის ხელისუფლებასთან არის მიერთებული!

დავით არახამიას არაერთი განცხადება აქვს გაკეთებული, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა დაემხოს! ეს მოწოდება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ, როგორც კი საქართველოს ტერიტორიაზე ფეხს შემოდგამს, მაშინვე უნდა დააპატიმრონ და თავის გარყვნილ ბელადს მიუსვან გვერდით! **კიდევ ერთხელ ვიმეორებ: დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის სპეცსამსახურები საქართველოში დავით არახამიასა და ნაცების მეშვეობით გადატრიალებას გეგმავენ!** ზელენსკის მაშინ არ გაუტანია ქვეყნიდან ოქრო, როცა პუტინი კიევთან იყო მისული, მაგრამ ახლა უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მთელი უკრაინის ოქრო პოლონეთში გადააქვთ. უკრაინა ძაძებით არის მოსილი და ამ დროს ზელენსკის ცოლი ჟურნალ „ვოგის“ გარეკანზე უძვირფასეს კაბებს უკეთებს რეკლამას! **გამწარებული უკრაინელი ხალხი ზელენსკისა და მის ცოლს ისე ჩამოჰკიდებენ, როგორც მუსოლინსა და მის საყვარელს მოექცნენ...** პუტინიც ეშმაკურად იქცევა და დატყვევებულ „აზოვსტალის“ მებრძოლებს უპატიებლად არ ეპყრობა, რათა მერე ესენი ისევ ზელენსკის მიუქსიოს. გაიხსენეთ მფრინავი **ნადია სავჩენკო,** რომელიც რუსებმა ჩამოაგდეს და მერე გაათავისუფლეს. კაციშვილი ამ ქალს არ ახსენებს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ნადია სავჩენკო დღეს ზელენსკის პოლიტიკას გმობს!

**— თქვენ ბრძანეთ, ოპოზიციას ლიდერი არ ჰყავსო! აბა, „ჭიჭე“ ვაშაძე ვინ არის, რომელიც გაიძახის, ამ შემოდგომაზე ხელისუფლება უნდა წავლეკოთო?**

— „ჭიჭე“ ვაშაძე ძალიან მაგონებს ნიკოლოზს კინოფილმიდან „უდიპლომო სასიძო“, რომელიც ძროხებისა და ღორების ფერმაში სასულე ორკესტრს დაატარებს და მეცხოველეობა უნდა გადაატრიალოს! მაგან ვინ უნდა გადაატრიალოს, მაგ საცოდავმა და მასხარამ, როცა გეი-მანიფესტს ხელი მოაწერა და „დავით აღმაშენებელი“ დაირქვა?! დავით აღმაშენებელმა სოდომისტებს რუის-ურბნისის კრებაზე განკითხვის დღე მოუწყო და ქუსლები დააჭრა, ხოლო **ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებელმა“** გეი-მანიფესტს მოაწერა ხელი!



**„ჭიჭე“ ვაშაძე ძალიან მაგონებს ნიკოლოზს კინოფილმიდან „უდიპლომო სასიძო“, რომელიც ძროხებისა და ღორების ფერმაში სასულე ორკესტრს დაატარებს და მეცხოველეობა უნდა გადაატრიალოს!“**



*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# არა ხამია? არა, ხამია!

***ქართული წარმომავლობის რუსულად მოლაპარაკე უკრაინელი პოლიტიკოსის დავით არახამიას გვარის გაგონებაზე ქართველების უმრავლესობას იმწამსვე თავში მოსდის და ენის წვერზე ადგება ქართული ზედსართავი სახელი ხამი.***

ზედსართავი სახელი **ხამი** ქართულ სინონიმთა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც **გამოუცდელი, გაუწვრთნელი, უნახავი, უჩვევი...** ყოველდღიურ მეტყველებაში ზედსართავ სახელ **ხამს** ხარბის სინონიმადაც ვიყენებთ და ვამბობთ — **ფულის ხამი, ტანსაცმლის ხამი, საჭმლის ხამი ან ფულს დახამებული, ტანსაცმელს დახამებული, საჭმელს დახამებული და ა.შ.**

მოკლედ, **ხამი კაცი** — ეს არის **ხარბი და უნახავი კაცი!**

**დავით არახამიაც** არის **ხარბი და უნახავი კაცი** ან, უფრო ზუსტად, **ხარბი** და **უნახავი** ნაცი!

მართალია, მისი გვარი გვეუბნება — **არახამიაო,** ანუ **ხამი არ არისო,** მაგრამ, სინამდვილეში, დიახაც, რომ **ხამია, ხამი!**

თუ ვინმე იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ **არახამია არახამია,** ჩვენი და ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის პასუხი ყოველთვის იქნება — **არა, ხამია!**

ან თუ ვინმე კითხვას დასვამს — **არახამია არახამია?** — ჩვენი და ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის პასუხი კვლავ იქნება — **არა, ხამია!**

მოკლედ, **არახამია,** რომელიც, სინამდვილეში, **ხამია,** უკანასკნელ ხანს სულ მთლად დაუკრეფავში გადავიდა და საქართველოს არამხოლოდ რევოლუციით ემუქრება, არამედ დასცინის კიდეც — თუ გინდათ, მანდ ჩამოვალ და ევროპასთან დაგაახლოებთო!

კონკრეტულად, აი, რას ამბობს ნაცტელეკანალიზაცია „მთავარ არხთან“ ინტერვიუში



**არახამია,** რომელიც, სინამდვილეში, ხამია: **„მზად ვარ, პირადად ჩამოვიდე, თქვენი პოლიტიკოსები ევროპის ლიდერებთან დავაკავშირო, ოღონდ ერთი პირობით — სულერთია პოლიტიკოსის გვარი, ოღონდ პრორუსი არ იყოს“.**

ხედავთ თქვენ, რაშია საქმე? **არახამიამ,** რომელიც, სინამდვილეში, **ხამია,** უკრაინაში ომი უკვე მოიგო, რუსები განდევნა, **და მუხლებზე დავუდგებით, არახამია, რომელიც, სინამდვილეში ხამია, პატივს დაგვდებს და თბილისში ჩამოვა, მოჰკიდებს ხელს ჩვენი ხელისუფლების ლიდერებს, წაიყვანს ევროპაში, დააძმაკაცებს იქაურ ლიდერებთან და გადაარჩენს საქართველოს!**

აი, კიდევ ერთი საბუთი, თუ რატომ არის **არახამია ხამი!**

სულ რამდენიმე წლის წინათ

## ხამი არახამიასა და სხვა უკრაინელი პროვოკატორების ბინძური ცილისწამება იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება, გაცამტვერებულია აშშ-ის სახდეპის მიერ!

არამხოლოდ ოკუპირებული დონბასის რეგიონი, ანექსირებული ყირიმიც შეიერთა, მილიონობით უკრაინელი დევნილი სამშობლოში დააბრუნა, საკუთარი ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირში შეიყვანა და ახლა უკვე მზად არის, საქართველო გადაარჩინოს! გესმით? **თუ ქართველები ძალიან შევეხვეწებით**

იგი ერთი უნიჭო დიჯეი იყო, რომელიც საქართველოდან გაქცეულ და უკრაინაში ჩაქცეულ სააკაშვილს მიეკედლა. სააკაშვილმა, როგორც დიდმა ავანტიურისტმა, **არახამიაში** პატარა, მაგრამ პერსპექტიული ავანტიურისტი დაინახა, თავის უკრაინულ პარტიაში მიიღო და პოლიტიკური გოთვერნობები ას-



წავლა. მერე, სააკაშვილმა უკრაინაშიც რომ ჩაისვარა, უკვე საკმაოდ დაფრთიანებული **ავანტიურისტი არახამია** ზელენსკის აეტორღიალა, ბოლოს ტუზიც დაეცა და ხელისუფლებაში მოვიდა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ კი მისთვის მთლად „ავრორამ გაისროლა“ — პოპულარული გახდა ბიჭი, ევროპული და ამერიკული ტელეარხების ეთერში გამოჩნდა, უცხოური პრესის ფურცლებზეც მოხვდა და მეტი რა უნდოდა — უნახავმა რა ნახაო! ჭკუიდან გადავიდა **ხამი არახამია** — მე ვყოფილვარ, ვინც ვყოფილვარო და აიწყვიტა!

აბა, ნახეთ, როგორ უქნევს თითს საქართველოს ხელისუფლებას **არახამია,** რომელიც, სინამდვილეში, **ხამია: „ბიჭებო, პირდაპირ გეუბნებით, ცოტა აკურატულები იყავით გამონათქვამებში, რადგან მარტო ივანიშვილი არ იქნება სანქციების სამიზნე, ეს შეეხება როგორც მის ბიზნესგარემოცვას, ისე პოლიტიკოსებსაც“.**

ეს მართლა **ხამი,** ესა!

**ჰეი, ბიჭუნავ, აბა, ერთი აქეთ მოგვხედე,** ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სულ ახლახან გაკეთებული განცხადება უნდა გაგაცნოთ: **„საქართველოს ეროვნული ბანკი და ქართული ფინანსური ინსტიტუცია სრულად მოქმედებენ აშშ-ისა და სხვათა მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული ფინანსური სანქციების შესაბამისად. საერთაშორისო ფინანსურ სანქციებთან შესაბამისობა სისტემატურად მოწმდება ფინანსური ინსტიტუტების ადგილზე ინსპექტირების დროს“.**

გესმით, **ხამო არახამიავ** და სხვა უკრაინელო პროვოკატორებო? თქვენი უსაგნო ლაყაფი და ბინძური ცილისწამება იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დაწესებული სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება, აშშ-ის სახდეპმა გააცამტვერა!

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **ბერმუდის უზენაესმა სასამართლომ შვეიცა-**

## მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივმა ლიდერებმა ბოლომდე ჩაისვარეს, უკანასკნელ იმედად ხამი არახამიალა დარჩათ!

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



როგორც **დეოლიგარქიზაციაზე** ავალაპარაკეთ საჯაროდ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, დღეს იმდენი მტკიცებულებაა, **რომ „ოცნება“ პრორუსული ძალაა,** ევროპარლამენტარების დარწმუნება არც ამაში გაგვიჭირდება. თქვენ ნახავთ, **სექტემბერში ევროპარლამენტის რეზოლუციაში** ამ საკითხზეც იქნება საუბარი.

თუ „ოცნება“ არ წავიდა, დავკარგავთ უვიზო მიმოსვლას და ასოცირების სტატუსს.

„კვირის პალიტრა“

**დავით ჭიჭინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი*



სუს-ში და სხვა ძალოვან სტრუქტურებში **არიან დარჩენილნი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები,** რომელთა დაწყებულიც არის ეს მოსმენები და ბევრი სხვა უკანონობა. **ისინი დაიტოვეს და დააწინაურეს კიდეც!**

„ალია“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ივანიშვილის** პოლიტიკაში **პირველად შემოსვლა** იყო ტრიუმფი, **მეორედ შემოსვლა** იყო ძალიან ეფექტური, **მესამე** კი იქნება — ტრაგიკომიკური.

**სოსო გოგაშვილი** არის ცოცხალი მაგალითი იმის, რაც ხდებოდა „ქართულ ოცნებაში“. **გოგაშვილზე** უკეთესად ვერავინ ვერ ამხელს ამ ხელისუფლებას.

„ალია“

**მერაბ შათირიშვილი**
*მწერალი*



არ გადამრიოთ, კაცო, საქართველოში პოლიტპატიმრები გვყავს: **მიხეილ სააკაშვილი, ნიკოლოზ გვარამია, მეგის ქარდავა** და „ჩვენი“ **იოსებ გოგაშვილი?!** რა უკუღმართი „პოლიტპატიმრების“ ქვეყანა ვართ!

„ალია“



# ზელენსკი და მისი რაზმი – პოდოლიაკი, შმიგალი, ერმაკი და არახამია

## საქმე ისე მიდის, შესაძლოა, არახამია და უკრაინის ხელისუფლების სხვა ბიჭბუჭები, რომლებიც საქართველოს მტრულად უღრენენ, საერთაშორისო პარტნიორების მიერ მიწოდებული იარაღით ვაჭრობაში აღმოჩნდნენ მხილებული!

**რიულ ბანკ „კრედიტ სუისს“** ბიძინა ივანიშვილისათვის 600 მილიონი დოლარის გადასახდელად 42 დღის ვადა მისცა, ხოლო ბანკის დირექტორი თანამდებობიდან გადადგა, უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებულ საქართველოს მტრებს, წესით, გული უნდა შეუწუხდეთ, რადგან მათი მცდელობანი, საქართველო ომში ჩაითრიონ, სულ უფრო და უფრო უბადრუკი ხდება!

**საერთოდ, მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივმა ლიდერებმა ბოლომდე ჩაისვარეს, უკანასკნელ იმედად ხამი არახამიაღა დარჩათ და მთელ რევოლუციურ იმედებს მასზე ამყარებენ.** ჰოდა, **არახამიაც,** როგორც ნამდვილი **ხამი,** მიწასთან გასწორებული უკრაინიდან გვემუქრება რევოლუციითა და ძალადობით: **„ბიძინა ივანიშვილი კეთილად თუ არ წავა, აივსება მოთმინების ფიალა, ხალხი მას მაინც გააგდებს, ეს უკვე შეიძლება, მოხდეს რევოლუციით, ძალადობის გზით“.**

არადა, რა იცის **ხამმა არახამიამ** ქართველი ხალხისა და მისი მოთმინების ფიალის შესახებ?

ცხადია, არაფერი!

რამენაირი კავშირი აქვს **არახამიას** საქართველოსთან და ქართველ ხალხთან?

ცხადია, არანაირი!

საიდან უნდა გრძნობდეს იგი ქართველი ხალხის განწყობასა და მაჯისცემას?

ცხადია, არსაიდან!

აბა, რა ატლიკინებს?

არც არაფერი, საკუთარი **ხამობისა** და ავადმყოფური სურვილის გარდა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში ნაცსექტის დაბრუნებასა და, შესაბამისად, რუსეთთან ომში საქართველოს გარანტირებულ ჩართვას უკავშირდება,

**ეს კი უკრაინასა და საქართველოში არახამიას მსგავსი ხამებისათვის ფულის შოვნის დამატებითი შესაძლებლობა იქნება, კიდევ ახალი შანსი საერთაშორისო პარტნიორების მიერ გამოყოფილი ფინანსური ტრანშების ჩასაჯიბად და მათ მიერვე მიწოდებული იარაღის შავ ბაზარზე გასაყიდად!**

აკი, ევროპოლის, ანუ ევროპის პოლიციის სამსახურის წარმომადგენელმა **იან ოპ ჰენ ოორტმა** ავტორიტეტიან გერმანულ გამოცემა **„შპიგელს“** განუცხადა, რომ შავ ბაზარზე დაფიქსირდა უკრაინიდან ცეცხლსასროლი იარაღითა და სამხედრო დანიშნულების პროდუქციით ვაჭრობის შემთხვევები. ევროპოლის წარმომადგენლის თქმით, არსებობს შეშფოთების საფუძველი იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინაში იარაღი და საბრძოლო მასალები ფრონტის ხაზზე კი არ ხვდება, არამედ საზღვრის გასწვრივ ინახება, რათა ევროკავშირის ქვეყნებში მათი კონტრაბანდა განხორციელდეს.

ცოტა ხნით ადრე, სანამ ევროპის პოლიციის სამსახურის ოფიციალური წარმომადგენელი ამ სკანდალურ განცხადებას გააკეთებდა, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა, უკრაინული წარმოშობის ამერიკელმა პოლიტიკოსმა **ვიქტორია სპარცმა** განაცხადა, რომ ამერიკულმა მხარემ არ იცის, ხვდება თუ არა ფრონტზე უკრაინისათვის მიწოდებული შეიარაღება!

მოკლედ, საქმე ისე მიდის, შესაძლოა, **არახამია** და უკრაინის ხელისუფლების სხვა ბიჭბუჭები, რომლებიც საქართველოს მტრულად უღრენენ, საერთაშორისო პარტნიორების მიერ უკრაინისათვის მიწოდებული იარაღით ვაჭრობაში აღმოჩნდნენ მხილებული, რის შემდეგაც მათ კაბინეტებიდან არა რუსი ოკუპანტები, არამედ თავად უკრაინელი პატრიოტები გამოათრევენ!

იქნებ **ხამი არახამია** სწორედ ამ განკითხვის დღის მოახლოებას გრძნობს და ამიტომაც აქტიურობს საქართველოსთან მიმართებაში? იქნებ აქ იმზადებს პოლიტიკურ პლაცდარმს, რათა უკრაინიდან გამოქცეული თბილისში ჩამოვიდეს და ნაციონალური მოძრაობის ოფიციალური ლიდერი გახდეს?

ამ კითხვებს პასუხი მალე გაეცემა, მანამდე კი ჩვენ ვიცით ზუსტი და უტყუარი პასუხი კითხვაზე — **არახამია?**

**არა, ხამია!**

**ჯაბა ხუბუა**



# სააკაშვილი ნაცპარტიას განუდგა!

***„ასავალ-დასავალს“ არაერთხელ დაუწერია, რომ ტუსაღი სააკაშვილი საკუთარ პარტიაზე ძალიან გაბრაზებულია და საკუთარ მომხრეებსაც აღარ სწყალობს, რადგან მის გასათავისუფლებლად ქუჩის აქციებზეც კი აღარ გამოდიან! გასულ კვირას ეს ყველაფერი უკვე პირადად სააკაშვილის მნახველებმა — მისმა შვილმა და ადვოკატმაც დაადასტურეს!***





## ედუარდ სააკაშვილი: მიშას მომავალი ქართულ პოლიტიკაში გაურკვეველია!

ეს სკანდალი მაშინ გასკდა, როდესაც კლინიკაში მამის მოსანახულებლად შესულმა უფროსმა ვაჟმა **ედუარდ სააკაშვილმა** ძალიან გულახდილად განაცხადა „ტვ პირველთან“ პირდაპირ ეთერში, **მიშა ქართულ პოლიტიკაში დამთავრდაო!**

დიახ, კლინიკაში მამის მონახულების შემდეგ **ედუარდ სააკაშვილმა,** ალბათ, ყველაზე აზრიანი შეფასება გააკეთა ნაცთა ფიურერზე:

> ***„მამაჩემის საქართველოში ჩამოსვლით მივიღეთ ძალიან დიდი კატასტროფა! ეს იყო დიდი შეცდომა... მამაჩემი არ არის მომავლის ლიდერი! მისი ადგილი ქართულ პოლიტიკაში გაურკვეველია!“***

ედუარდ სააკაშვილმა ისიც კი თქვა — მამაჩემი ქართულ ტელეარხებს აღარც უყურებს, ძირითადად, უკრაინულ ტელევიზიას ადევნებს თვალსო! ანუ ის ნაცები, ვინც ქართულ ტელეარხებში სტუმრობისას შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, სააკაშვილი პირდაპირი ეთერიდან მოიკითხონ და თავი მოაწონონ, სულ ამაოდ ირჯებიან — **სააკაშვილი იმდენად გულაცრუებულია ქართულ პოლიტიკაზე, რომ ქართულ არხებში გამართულ ნაცურ ჯამბაზობებს აღარც უყურებს!** თუმცა, დავუბრუნდეთ ედუარდ სააკაშვილის განცხადებებს, რომელმაც პირდაპირ თქვა, რომ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა შეცდომა იყო და, მეტიც, მან ეს კატასტროფად შეაფასა:

**„ჩამოვიდა, ეგონა, აქ რაღაცას შეცვლიდა, მაგრამ დიდი კატასტროფა მიიღო!“**

**გაიგეთ, ნაცებო?! ბავშვმაც კი იცის, რომ სააკაშვილი დასრულდა! არც მეორე აღმაშენებელია, არც – მეორე ჩე გევარა ან –ჯორჯ ვაშინგტონი... უბრალოდ, არ არის ეს კაცი მომავლის ლიდერიო და მორჩა!**

ედუარდ სააკაშვილის განცხადებების შემდეგ იგივე თქვა ნაცთა ფიურერის ადვოკატმა **ვალერი გელბახიანმაც,** რომელიც ამ ბოლო ხანს რამდენჯერმე შეხვდა სააკაშვილს კლინიკაში! გელბახიანის თქმით, სააკაშვილს საერთოდ არ აინტერესებს ქართული პოლიტიკა და თავისი პარტიის წევრებიდან ერთადერთს — **ეკა ხერხეულიძეს** თუ ხვდება და იმასაც არა როგორც პარტიის წევრს, არამედ მეგობარსო! **მოკლედ, გელბახიანიც ამბობს, რომ, სააკაშვილის თქმით, თუკი ოდესმე პოლიტიკაში დაბრუნდება, ეს უკრაინული პოლიტიკა იქნება და არა ქართულიო!**

**და კიდევ:** ნაცმოძრაობის ლიდერად კი არა, **პოლიტპატიმრად** მომიხსენიეთ სატელევიზიო გამოსვლებისასო! პარტიას გაემიჯნა! **რა თქმა უნდა, არსებობს სერიოზული ეჭვები, ნაცთა ბელადი თავს ხომ არ იკატუნებს, რათა როგორმე საქართველოდან უცხოეთში გაქუსლოსო! ამის გამორიცხვა ნამდვილად არ შეიძლება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სააკაშვილი ბოლო დროს მართლაც აღარანაირად არ რეაგირებს ქართულ პოლიტიკაზე, როდესაც აქ მართლა დუღს ყველაფერი!**

ისიც ფაქტია, რომ სააკაშვილი თავის თანაპარტიელებსაც აღარ ეკონტაქტება! პარტიის თავმჯდომარე **ნიკანორ მელია** ბოლოს სააკაშვილის სანახავად თვეების წინ იყო და ახლა, როდესაც საჯაროდ გამოიტანა ნაცპარტიაში არსებული დაპირისპირება — **პარტიის ერთი ნაწილი მიზანმიმართულად მებრძვის და სააკაშვილის პატიმრობის ფეხებზე დაკიდებას მაბრალებსო** — სააკაშვილმა დაშლის პირას მისული თავისი პარტიის შესახებაც კი არ ამოიღო ხმა!

მოკლედ, სააკაშვილი მიხვდა, რომ სულ ტყუილად შემოიპარა საქართველოში არაჟნის კონტეინერით: **ხალხი არც მის დასახვედრად და სარევოლუციოდ გამოვიდა ქუჩაში და არც მისი ციხიდან დასახსნელად მივიდა საპროტესტო აქციებზე!** ამიტომაც სააკაშვილს სულ აღარ აინტერესებს, პარტია ეშლება თუ არა! ის ყველაზე გაბრაზებულია!

**როდესაც ხალხს „ქვეყნის გადამრჩენი“ ჰგონიხარ, შენ კი საკუთარი ტყავის გადარჩენის იქით არაფერი გაინტერესებს, პოლიტიკური გვამი ხდები!** და, თუ დავაკვირდებით, სწორედ ეს თქვა **ედუარდ სააკაშვილმა** მამაზე: **მიშა, როგორც პოლიტიკოსი, მორჩაო!**

**გიორგი გიგაური**

## კვირგვინოსნები

**გია გაჩეჩილაძე**
*მომღერალი*



ევროპა არის ის, რომელსაც დღეს ძალიან უჭირს, **კონდიციონერსა და ცხელ წყალს თიშავენ,** რომ ნახევარი საათით ნაკლები იბანონ.

„ალია“

**ზურა ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერი*



რა პოლარიზაციას აკეთებს ოპოზიცია, **სად არის ოპოზიცია,** ხედავთ სადმე?

„რეზონანსი“

**ემანუელ მაკრონი**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*



რუსეთი ერთ-ერთი **უკანასკნელი კოლონიალური იმპერიული** ძალაა.

„რეზონანსი“

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში ქართული დიასპორიდან მთავრობაში კადრების მიყვანის მაგალითებსაც მიმოიხილავს — აქაოდა, ყველგან ვეძებდით პროფესიონალებსო! მას შემდეგ, რაც ამ საკადრო პოლიტიკის „ყველაზე დიდი შეცდომის“ — საგარეო საქმეთა მინისტრად მიყვანილი საფრანგეთის მოქალაქის — **სალომე ზურაბიშვილის** მაგალითი გაიხსენა, შემდეგ წარმატებული არჩევანის მაგალითებიც გაიხსენა:

***„ჩვენ ბევრი სხვა ახალი ემიგრანტი ჩამოვიყვანეთ, ხშირად ძალიან ახალგაზრდა. აი, სანიმუშო მაგალითი. 2010 წლის ზამთარში ვანკუვერის ოლიმპიადაზე ჩავფრინდი. აეროპორტში, ნახა რა ჩემი პასპორტი, მესაზღვრემ მითხრა, რომ ყოველთვის ქართულ პურს ყიდულობს. ქალაქში თან დაგვყვებოდა ადგილობრივი ვოლონტიორი. აღმოჩნდა, რომ ისიც ქართულ პურს ყიდულობდა. შემდეგ დიასპორასთან მქონდა დაგეგმილი შეხვედრა. დაახლოებით ასი ადამიანი მოვიდა. ერთმა ქალბატონმა ძალიან ეფექტური პრეზენტაცია ჩაატარა, რომლის დროსაც მოგვიყვა, თუ როგორ დაიწყო მამასთან ერთად პურის წარმოება.*** *ორი წლის განმავლობაში ორი მილიონი ქართული შოთი გაყიდეს... ეს* ***28 წლის ვერა ქობალია*** *იყო. სწორედ ამან გამოიცა.* ***შვიდი წუთის განმავლობაში ისეთი პრეზენტაცია გააკეთა, როგორიც მინდოდა, რომ ყველა ინვესტორისთვის წარმომედგინა. მე მას ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა შევთავაზე“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 155).*

აი, ასე აღმოჩნდა ვანკუვერში ფურნეს მეპატრონე **ვერონიკა ქობალია** საქართველოს მთავრობის მინისტრი, რომელსაც აღტაცებული სააკაშვილი ძალიან ლამაზი და ძალიან მოკლე კაბითაც გამოარჩევს:

***„ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. შთამბეჭდავი გარეგნობა ეხმარებოდა ინვესტორებთან ურთიერთობებში, მისთვის ყველა კარი ღია იყო და ბევრი ინვესტორიც მოიზიდა“*** *(იქვე, გვ. 155).*

აი, ასეთი „რეფორმატორი“ გახლდათ მიხეილ სააკაშვილი! მას შეეძლო, ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობაზე აბსოლუტურად მოუმზადებელი არსებები მოეყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლე კაბა ეცვათ. არადა, არანაირი წარმატებული ეკონომიკის მინისტრი **ვერონიკა ქობალია** არ ყოფილა! მისი პრივილეგია მხოლოდ ის გახლდათ, რომ სააკაშვილს ყველა ოფიციალურ დელეგაციაში შეეძლო ჩაეწერა და ლეგალურად აღმა-დაღმა ეტარებინა.

სამწუხაროდ, მემუარისტი ვერც კი ხვდება, რომ ამ „წარმატებული საკადრო პოლიტიკის“ მაგალითის ფრიალით საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და მთელ ქართველ ერსაც შეურაცხყოფს: წარმოიდგინეთ, როგორი წარმოდგენა შეექმნებოდა საქართველოზე უცხოელს, თუ ქვეყანაში ვანკუვერში ფურნეს მეპატრონეზე მაღალი რანგის ეკონომიკის მინისტრი ვერ მოიძიეს...

სააკაშვილის თქმით, ქართული დიასპორის ერთადერთი ფენა, რომელიც ღიად გამოდიოდა ნაცრეჟიმის წინააღმდეგ, „კანონიერი ქურდები“ იყვნენ, ანუ სააკაშვილი ამით ხაზს უსვამს — ნახეთ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთაგან ყველა ტაშს გვიკრავდა, მხოლოდ ჩვენგან შერისხულ კრიმინალურ დაჯგუფებებს არ მოვწონდითო!

სააკაშვილი იმასაც იხსენებს, როგორ მგზნებარედ უჭერდნენ მას მხარს უცხოეთში წარმატებული ქართველი ხელოვნების მოღვაწეები:

***„ძალიან გვეხმარებოდნენ ხელოვნების ქართველი წარმომადგენლები. ჩემს პირველ ინაუგურაციაზე მთელი მსოფლიოდან ქართველი ვარსკვლავები ჩამოვიდნენ. მსოფლიოში იმ დროს ყველაზე ძვირადღირებულმა ცნობილმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა, რომელიც იმ პერიოდში ნიუ-იორკში მოღვაწეობდა, ყველაფერი მიატოვა და ქართული საბალეტო სკოლის აღდგენის მიზნით თბილისში დაბრუნდა“*** *(იქვე, გვ. 155).*

იმედია, სააკაშვილი წლების შემდეგ, მითუმეტეს, პატიმრობაში მყოფი, მიხვდა, რომ **ნინო ანანიაშვილი** საქართველოში პატრიოტული გრძნობების შემოტევამ კი არა, სარგებლის მწველმა სურვილმა დააბრუნა! თბილისიდან ნოვოსიბირსკის თეატრში რომ გარბოდა უკეთესი სარგებლისათვის, ეს, ალბათ, სააკაშვილსაც კი აფიქრებინებს, რომ ეს ქალბატონი მარტო წმინდა წყლის პატრიოტიც არ უნდა იყოს.

იქვე მემუარისტი უცხოეთში მოღვაწე სხვა ქართველი ვარსკვლავების მხარდაჭერითაც ტრაბახობს:

***„მრავალი ადამიანის აზრით, მსოფლიოში პირველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი და ერთ-ერთი საუკეთესო პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი ჩვენს საარჩევნო კამპანიებში ღებულობდნენ მონაწილეობას. ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე ხატია მგზნებარე სიტყვით გამოვიდა. იგი ძალიან რადიკალური ქართველი პატრიოტია. ლიზამ კი, გაიგო რა, რომ ჩვენ შეიძლება არჩევნებში დავმარცხდეთ, ცხოვრებაში პირველად ღიად გამოთქვა თავისი პოლიტიკური სიმპათიები. მან, ჩვენს მიტინგზე რომ დაეკრა, შეწყვიტა თავისი საკონცერტო პროგრამა. ამ საქციელმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა“*** *(იქვე, გვ. 156).*

ეს 2012 წლის 1 ოქტომბრის ის არჩევნებია, რომლის „ქართულ ოცნებასთან“ პირწმინდად წაგების შედეგად სააკაშვილმა მათი გაყალბება გადაწყვიტა და საარჩევნო უბნებზე სპეცრაზმები და ზონდერ-ბრიგადები მიავლინა!

და ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ამბებიდან ათი წლის შემდეგ არც ლიზა ბათიაშვილსა და არც ხატია ბუნიათიშვილს თავი არ გამოუდვიათ უკრაინიდან საქართველოში არაჟნის კონტეინერით შემოპარული და დატუსაღებული სააკაშვილის გამოსაქომაგებლად. როგორც ჩანს, ძალიან რცხვენიათ, რომ ოდესღაც ამ არსებას უჭერდნენ მხარს და საარჩევნო აგიტაციასაც ეწეოდნენ!

ამის შემდეგ სააკაშვილი იწყებს თავისი მემუარების, ალბათ, ყველაზე საინტერესო ნაწილს, სახელწოდებით, **„ომი!“** რა თქმა უნდა, ეს 2008 წლის აგვისტოს ომს ეხება! მემუარისტი შორიდან იწყებს, თან როგორ:

***„საქართველოს არ გაუმართლა, სტალინს აფხაზეთში დასვენება რომ მოსწონდა. აფხაზეთი სწორედ მისი წყალობით გახდა საბჭოთა ნომენკლატურის მთავარი კურორტი. რუსეთის ელიტას აფხაზეთისადმი ღრმა ემოციური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა“*** *(იქვე, გვ. 159).*


სტალინის ერთ-ერთი აგარაკი აფხაზეთში, რიწის ტბასთან

23

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველოს არ გაუმართლა, სტალინს აფხაზეთში დასვენება რომ მოსწონდა!

ანუ სააკაშვილს, რომელსაც რაღაც ორიგინალური უნდოდა, ეთქვა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე, სტალინს მიახტა და მას დააბრალა, აფხაზეთში დასვენება რომ მოსწონდა, ამან დაგვღუპაო. არადა, სტალინი სად იყო, როდესაც მეფის რუსეთმა თავზე გადაგვახია ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი.

შემდეგ სააკაშვილი უკვე რუსეთის ექსპრეზიდენტთან, ასე ვთქვათ, პენსიონერ **ბორის ელცინთან** საუბარს იხსენებს:

***„2006 წლის დასაწყისში, ნაზარბაევის ინაუგურაციაზე ელცინმა მკითხა: „მიხაილ ნიკოლაევიჩ, რა ხდება ახლა აფხაზეთში?“ — „ბორის ნიკოლაევიჩ, აფხაზეთი ხომ თქვენ დროს დაიპყრეს“ — „ჰო, საწყენია, ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო მოგონებებია — როგორ ვზივარ ბიჭვინთის სანატორიუმის აივანზე, ვსვამ ქინძმარაულს და ვუსმენ „თბილისოს“ ნანი ბრეგვაძის შესრულებით“ — მიპასუხა მან“*** *(იქვე, გვ. 159).*

დიდი ალბათობით, სააკაშვილი ჩვეულებისამებრ, ფანტაზიორობს და მას **ელცინი** ასე არ დაუნამუსებია, აფხაზეთი შენ არ დაიპყარიო?! თუმცა, ელცინის აფხაზური სენტიმენტები იმისთვის ჩართო მემუარებში, რათა ეჩვენებინა — აი, როგორ გიჟდებოდა კრემლის ელიტა აფხაზეთზე და იმიტომაც წაგვართვესო!

სააკაშვილი აბსოლუტურად მართებულად აღწერს, რომ **გამსახურდიას** ხელისუფლების დამხობით დაიწყო აფხაზეთის დაკარგვა, თუმცა, იმას არ იხსენებს, რომ თავადაც მხურვალედ უჭერდა მხარს პუტჩს, ხოლო ზვიადს „კავკასიის ჰუსეინადაც“ კი მოიხსენიებდა უცხოური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში:

***„გამსახურდიას დამხობის შემდეგ საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო. აფხაზებმა ამით ისარგებლეს, რომ რუსების მხარდაჭერით რკინიგზა დაებლოკათ, რომელიც მათ ტერიტორიაზე გადიოდა და მთავრობიდან ყველა ქართველი გაეყარათ“*** *(იქვე, გვ. 159).*

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს 1992 წელს, როცა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში აფხაზეთის პირველი ომი დაიწყო:

***„რუსეთი რესპუბლიკებისთვის იარაღის გადაცემას აჭიანურებდა, რომელიც მას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნდა დარჩენოდა. და, აი, უცებ, 1992 წლის ივლისში, რუსმა სამხედროებმა ახალციხის ბაზის ყველა საწყობი გააღეს და საქართველოს ასობით ტანკი T-55, ბრონტრანსპორტიორების დიდი რაოდენობა და არტილერია გადასცეს. კითხვა არ სჭირდება, თუ სად წავიდოდა ეს ტექნიკა. ჯარი რკინიგზის დასაბრუნებლად აფხაზეთისკენ დაიძრა და ადვილად დაიკავა სოხუმი“*** *(იქვე, გვ. 160).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი ისე განყენებულად ყვება აფხაზეთის პირველი ომის დაწყების ამბებს და თან ედუარდ შევარდნაძის დანაშაულებრივ შეცდომაზე მიანიშნებს — გეგონება, თვითონ 2008 წლის აგვისტოში ზუსტად ასეთივე რუსულ ხაფანგში არ გაყო თავი!





ვერა ქობალია, ნინო ანანიაშვილი, ლიზა ბათიაშვილი, ხატია ბუნიათიშვილი

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**

# კახა საბახტარიშვილი: ადამიანს სრულ სიბნელეში უნდა ეძინოს!

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ სიკეთის შესახებ გვესაუბრება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძილის ნორმალურ რეჟიმს მოაქვს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უძილობა პირდაპირ კავშირშია ჭარბწონიანობასთან, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან და კიბოსთან:***



**„ნუში შეიცავს განსაკუთრებულ ცილას ძილის დროს სისხლში შაქრის მუდმივი დონის შესანარჩუნებლად!“**



— უძილობა და მასთან დაკავშირებული პროცესები კაცობრიობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. **უძილობის, ანუ ინსომნიის სხვადასხვა ფორმით დედამიწაზე ყოველი მესამე ადამიანი იტანჯება. აქედან 50 პროცენტზე მეტი შემთხვევის გამომწვევი მიზეზი სტრესია...** მიჩნეულია, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გახშირების, სიმსივნური პროცესების ზრდისა და ჭარბწონიანთა რაოდენობის მატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ უძილობაა!

**— მაინც რაში მდგომარეობს ძილის არსი?**

— ბევრი არასწორად ფიქრობს, რომ ძილის დროს ტვინი ისვენებს, არადა, სინამდვილეში განუწყვეტლივ მუშაობს, რათა გამოიმუშაოს ის ნივთიერებები, რომლებიც ჩვენი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს. ერთ-ერთი ასეთი ნივთიერება გახლავთ ზრდის ჰორმონი სომატოტროპინი, რომელიც ჩვენს ნორმალურ წონას განაპირობებს. რაკი სომატოტროპინი მხოლოდ და მხოლოდ ძილში გამომუშავდება და ისიც განსაზღვრულ პერიოდში — 23 საათიდან 01 საათამდე, ცხადია, **იმ ადამიანებს, რომლებიც გვიან იძინებენ და ღამეს სისტემატურად ტეხენ, ეს ჰორმონი ნაკლები აქვთ და სიმსუქნისკენ არიან მიდრეკილი.** მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანის გახდომა და ცხიმების დაწვა ხდება ძილში, უძილობა კი მნიშვნელოვნად ზრდის დიაბეტის განვითარების რისკს.

ადრე ადამიანები 21-22 წლამდე იზრდებოდნენ, ახლა კი ლამის 15-16 წლის ასაკში წყვეტენ ზრდას. ვფიქრობ, ამის მთავარი მიზეზია, რომ ციფრული ტექნოლოგიებისა და ღამის ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ, მოზარდები გვიან იძინებენ, რაც მათ ორგანიზმში სომატოტროპინის დონეს დაბლა სწევს და, შესაბამისად, ზრდაც ფერხდება.

**— კიდევ რა ნივთიერებები გამომუშავდება ძილის დროს?**

— ძილში გამომუშავდება ნეირომედიატორები — **სეროტონინი, დოფამინი და ნორადრენალინი.** სეროტონინს მეორენაირად **„ბედნიერების ჰორმონსაც“** უწოდებენ, რადგან მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ჩვენს კარგ განწყობას, ბედნიერებას, ხალისს და დადებით ემოციებს. **როცა კარგად გამოვიძინებთ, დილით ყოველთვის ხალისიანად და მხნედ ვდგებით, რადგან სეროტონინი, დოფამინი და ნორადრენალინი ორგანიზმში საკმარისად არის წარმოდგენილი.** აქედან გამომდინარე, უძინარი ადამიანი ყოველთვის უხასიათოდაა, ხოლო სისტემატურმა ღამისთევამ შესაძლოა ადამიანი სრულ დეპრესიაში ჩააგდოს.

სეროტონინი დღის შუქზეც გამომუშავდება და შესაძლოა, მისი საკვების სახით მიღებაც. კონკრეტულად, სეროტონინის წარმოქმნაში დიდ როლს თამაშობს **ამინომჟავა ტრიპტოფანი,** რომელიც ბანანში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში, სადაც სიღარიბეა, მაგრამ ბანანია ბევრი, ხალხი მაინც ბედნიერია! ბევრმა არ იცის, რომ სხვადასხვა ინფექციასთან საბრძოლველად სისხლის თეთრი ბურთულაკების, ანუ ლეიკოციტების მაქსიმალური გააქტიურება სწორედ დილის 4-6 საათებს შორის ხდება. ამიტომ, ვინც უძილობით იტანჯება, სუსტი იმუნიტეტი აქვს და კოვიდი ან სხვა ინფექციები ადვილად შეიძლება დაემართოს.

**— მაინც რა განაპირობებს ჩვენს ძილს?**

— ძილს განსაზღვრავს თავის ტვინის ნაწილის — ეპიფიზის მიერ გამომუშავებული ჰორმონი **მელატონინი,** რომელსაც სხვაგვარად „ძილის ჰორმონსაც“ უწოდებენ. **მისი გამომუშავება ხდება მხოლოდ და მხოლოდ სიბნელეში, როცა თვალები დახუჭულია და ჩვენზე არანაირი შუქი არ ზემოქმედებს.** მელატონინის გამომუშავება იწყება 21 საათიდან, მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს ღამის 2-3 საათის შუალედში და წყდება დილით რვის ნახევრისთვის. სწორედ მელატონინი გვეხმარება დაძინებაში. გარდა ამისა, ბოლო კვლევებით გაირკვა, რომ მელატონინი არის სიმსივნური უჯრედების წინააღმდეგ ბრძოლაში ორგანიზმის უმთავრესი იარაღი. უფრო მეტიც, საფრანგეთში დაადგინეს, რომ, ვისაც კოვიდი დაემართა, მათგან 90 პროცენტს მელატონინის დონე დაბალი ჰქონდა.



**„სეროტონინის წარმოქმნაში დიდ როლს თამაშობს ამინომჟავა ტრიპტოფანი, რომელიც ბანანში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში, სადაც სიღარიბეა, მაგრამ ბანანია ბევრი, ხალხი მაინც ბედნიერია!“**



მელატონინის ფუნქციების ჩამოთვლას მთელი გაზეთი არ ეყოფა, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი არტერიული წნევის რეგულაციაა. **როცა ჩვენ დროულად არ დავწვებით და ღამეს ვათევთ, თავის ტვინი აღგზნებულია, არავითარი მელატონინი არ გამომუშავდება და თვალებიც არ გვეხუჭება.** ძილიანობისკენ რომ წავიდეთ, მელატონინის დონე უნდა იზრდებოდეს! ჩვილი ბავშვების დედებმა კარგად დაიმახსოვრონ: 6 თვემდე ასაკის ბავშვს მელატონინი არ გამოუმუშავდება და მას მხოლოდ დედის რძისგან იღებს. ამიტომ მეძუძურმა დედამ, სასურველია, ჩვილთან ერთად სრულ სიბნელეში დაიძინოს.



**„ასაკოვანმა ადამიანმა დიდხანს არ უნდა იძინოს, რადგან იმ ადამიანებში, რომლებსაც 9 საათზე მეტხანს სძინავთ, ინფარქტებისა და ინსულტების რიცხვი ძალიან მატულობს!“**



**„ჩვილი ბავშვების დედებმა კარგად დაიმახსოვრონ:**

**6 თვემდე ასაკის ბავშვს მელატონინი არ გამოუმუშავდება და მას მხოლოდ დედის რძისგან იღებს. ამიტომ მეძუძურმა დედამ, სასურველია, ჩვილთან ერთად სრულ სიბნელეში დაიძინოს!“**

**იმ შემთხვევაშიც კი, თუ საძინებელ ოთახში მკრთალზე მკრთალი შუქი ანთია, მელატონინი არ გამომუშავდება, რადგან შუქი დახუჭულ ქუთუთოში მაინც აღწევს.**

ამიტომაა სასურველი, რომ ბავშვები ერთ წლამდე მაინც დედის ძუძუს წოვდნენ, რადგან ბავშვთა ხელოვნური საკვები მელატონინს არ შეიცავს! მელატონინი ხელს უწყობს ზრდას და იმუნიტეტის გაძლიერებას.

**— სასარგებლოა თუ არა დღისით ძილი?**

— ზოგიერთი ამტკიცებს, რომ დღისით ძილი მავნეა, რაც სრული სისულელეა! პირიქით, **ნებისმიერი ადამიანისათვის დღის განმავლობაში ნახევარი საათით წაძინება აუცილებელია!** საქმე ის გახლავთ, რომ დღის განმავლობაში თავის ტვინი გაძლიერებულად მუშაობს და მას აქტიურად მიეწოდება ჟანგბადი და საკვები. საკვებს ტვინი ითვისებს, მაგრამ, ცხადია, გამოყოფს კიდეც მისი დაშლის პროდუქტებს, რომლებიც შესაძლოა, ტოქსიკურიც კი იყოს. როცა ჩვენ დღისით გვძინავს, პირველი ოცი წუთის განმავლობაში თავ-ზურგის ტვინის სითხის, ანუ ლიქვორის ცირკულაცია მრავალგზის იზრდება. თავის ტვინს გარშემო სწორედ ეს ლიქვორი აკრავს. როცა ეს ცირკულაცია ინტენსიური ხდება, ამ დროს ტვინი „ირეცხება“ და ლიქვორს თავის ტვინში დაგროვებული „ნაგავი“ გარეთ გამოაქვს. არადა, ამ „ნაგვის“ სისტემატურმა დალექვამ თავის ტვინის უბნებზე შესაძლოა, ალცჰაიმერის დაავადებაც კი გამოიწვიოს.

დღისით ძილის დროს პირველი ოცი წუთის განმავლობაში გამომუშავდება ბედნიერების ჰორმონი **სეროტონინი** და როცა ჩვენ 25-30 წუთის შემდეგ გავიღვიძებთ, თავის ტვინი ტოქსინებისგან გასუფთავებულია, ხოლო ბედნიერების ცენტრი გააქტიურებული, რაც ჩვენს შრომის ნაყოფიერებაზე დადებითად მოქმედებს. **„ნასას“ კვლევებით, დღის განმავლობაში 26-წუთიანი ძილი 35-40 პროცენტით ზრდის მფრინავების შრომის ნაყოფიერებას.**

**— რატომ მაინცდამაინც 26 წუთი?**

— საქმე ის გახლავთ, რომ დღის ძილის ექსპერიმენტში მონაწილეებს დაძინების წინ ასმევდნენ ერთ ფინჯან ყავას. **ყავაში შემავალი კოფეინი ყავის მიღებიდან ზუსტად 26-ე წუთზე იწყებს მოქმედებას და ადამიანს აფხიზლებს!** ასაკოვანმა ადამიანმა დიდხანს არ უნდა იძინოს, რადგან იმ ადამიანებში, რომლებსაც 9 საათზე მეტხანს სძინავთ, ინფარქტებისა და ინსულტების რიცხვი ძალიან მატულობს!

**დაძინების საუკეთესო დრო 22 საათია. ძილის ხანგრძლივობა 5-8 საათი უნდა იყოს. ძილის წინ ფიზიკური ვარჯიში რეკომენდებული არ არის, რადგან ასეთ დროს თავის ტვინი დიდი ხნის განმავლობაში აღგზნებული რჩება.** დაძინებამდე ერთი საათით ადრე ბუნებაში სეირნობა ძალზე სასარგებლოა. საუკეთესო ძილის ეფექტი აქვს ცხელ აბაზანას. **როცა გვძინავს, ოთახის ტემპერატურა მაღალი არ უნდა იყოს, თავი უნდა გვქონდეს გრილად, ხოლო ფეხები — თბილად!** ადამიანს სრულ სიბნელეში უნდა ეძინოს! ძილის დროს საუკეთესოა ზურგზე ან გვერდზე წოლა. მუცელზე წოლა რეკომენდებული არ არის!

**როცა ადამიანი ვერ იძინებს, ამისათვის კარგია — ერთი სუფრის კოვზი თაფლი, კაკალი, თხილი ანდა გვირილას ჩაი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება:** *ერთ ჩაის კოვზ გვირილას დავასხათ 200 გრამი მდუღარე წყალი, გავაჩეროთ 10 წუთი, გავწუროთ და ნაყენს დავუმატოთ ერთი სუფრის კოვზი თაფლი.* ძალზე კარგია შემდეგი რეცეპტურაც — *ერთი ჩაის კოვზი თაფლი, 100 გრამი ლიმონის წვენი და ერთი ჩაის კოვზი დაქუცმაცებული კაკალი.* ძილის ეფექტის მისაღებად არაჩვეულებრივია ნუში, რომელიც შეიცავს განსაკუთრებულ ცილას ძილის დროს სისხლში შაქრის მუდმივი დონის შესანარჩუნებლად!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

დასაწყისი იხ. „ა-დ“ №20-31

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს იხსენებს და დაბეჯითებით აცხადებს, რომ ლევან კალაძის გატაცება თუ გიორგი სანაიას მკვლელობა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას ემსახურებოდა:***





# მაყვალა ბერიანიძე:

# ვეკითხები სახელმწიფოს – რატომ დევს პროკურატურის თაროზე ჟიული შარტავას მკვლელობის გაუხსნელი საქმე?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ **იაკობ ლეჟავას,** რომელმაც ჩვენი საგაზეთო ინტერვიუები საინტერესოდ მიიჩნია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის **გრიგოლ ქომოშვილისა და ვიქტორ ჩხენკელის** სიცოცხლის ბოლო წუთების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა. უფრო მეტს ველი ბატონი იაკობისგან... სხვათაშორის, აფხაზეთიდან დევნილებმა ამ ბოლო დროს გადმომცეს ძალიან მნიშვნელოვანი მასალები აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ. ეს გახლავთ ზღვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროებს დამუშავებას. ჩემდა უნებურად, მახსენდება **1997 წლის 16 ივლისი,** როცა საქართველოს უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილეს **ავთანდილ იოსელიანს** ინტერვიუს ჩასაწერად შევხვდი. სწორედ მაშინ მქონდა მასთან საუბარი **ჟიული შარტავას** მკვლელობის შესახებ და მან ახსენა გრიგოლ ქომოშვილიც... იოსელიანი მარწმუნებდა, რომ ჟიული შარტავას დახვრეტის ინიციატორი ქართველი არ იყო. პირდაპირ ვკითხე — **ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ თქვენ შეგნებულად არ ასახელებთ ჟიული შარტავას მკვლელობის ინიციატორის ვინაობას და თავზეას უზნევთ გამოძიებას!** ამაზე ავთანდილ იოსელიანმა მიპასუხა — **ეტყობა, თქვენ არ იცით, რომ ჟიული შარტავა მე გადმოვასვენე თბილისში... არ მინდა ბევრი რამის დაკონკრეტება!** — როგორ გადმოასვენეთ, ე.ი. 27 სექტემბერს იქ იყავით? იოსელიანი ამაზე დადუმდა, თუმცა, მერე განაცხადა — **ცნობილია ჟიული შარტავას მკვლელობის ორგანიზატორი. ამის მიღწევა ადვილი არ იყო, მაგრამ ორგანიზატორის დადგენა მრავალი უძილო ღამის გათენებისა და მუშაობის შედეგად მოხერხდა!**

ახლა მე ვეკითხები სახელმწიფოს — რატომ დევს პროკურატურის თაროზე ჟიული შარტავას მკვლელობის გაუხსნელი საქმე? თუ ყველაფერი დადგენილია და მკვლელობის ორგანიზატორი იდენტიფიცირებულია, როგორც ეს ავთანდილ იოსელიანმა მითხრა, მაშინ ჟიულის მკვლელობა რატომ არ იხსნება?

**— სწორედ ასე არ იხსნება არც ზვიად გამსახურდიასა და არც ზურაბ ჟვანიას მკვლელობა!**

— არსებობს **თემურ შაშიაშვილის** ძალიან საინტერესო განცხადება, როცა ის 1997 წელს ამბობს — **„არც ის არის შემთხვევითი, რომ ჟიული შარტავამ სიცოცხლე ქართველის ხელით დაასრულა!“** ამაზე ავთანდილ იოსელიანმა ასეთი კომენტარი გააკეთა — *„მაშინ ბატონ თემურ შაშიაშვილს მოუწევს თავისი ნათქვამის დამტკიცება, მე კი გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო თავს ვიკავებ ყველაფრის საჯაროდ განხილვისაგან, რადგან ეს საქმეს კარგად არ წაადგება ამ ეტაპზე!“*

ავთანდილ იოსელიანმა მაშინ მითხრა, რომ უშიშროება გულხელდაკრეფილი არ იჯდა და იცოდა ჟიული შარტავას მკვლელის ვინაობა! მან პირდაპირ განმიცხადა — **დამეხმარეთ, 4-5 წელიწადში მემუარები რომ დავწერო და იქ ვთქვა ყველაფერი. ახლა ძალიანაც რომ მინდოდეს, ბევრ რამეს ვერ ვიტყვი, რადგან უშიშროების მინისტრის მოადგილე ვარ!**



**— ბოლოს და ბოლოს, ავთანდილ იოსელიანმა ჟიული შარტავას მკვლელობის ორგანიზატორი დაგისახელათ?**

— არა, არ დამისახელა... როცა ჟიული შარტავას დახვრეტის ორგანიზატორის შესახებ ვკითხე, ავთანდილ იოსელიანმა პირდაპირ მითხრა — **თავი დამანებე, შენ თვითონაც კარგად იცი, ორგანიზატორი ვინც არისო!**

იოსელიანი ვერ ბედავდა სიმართლის თქმას და ამიტომაც იყო, რომ დახმარებას ითხოვდა... სწორედ ამ საუბრისას ვუხსენე მას **გრიგოლ ქომოშვილი** და ვკითხე — ამბობენ, რომ თქვენ თქვენი აღმზრდელი, რომელმაც პენსიაში გასვლის შემდეგ აფხაზეთის უშიშროების მინისტრის სკამი დაგითმოთ, მიატოვეთ, გაწირეთ და შვილი „გიორგაძის კაცის“ იარლიყით საქართველოდან გაუქციეთ-მეთქი! ავთანდილ იოსელიანმა მაშინ მიპასუხა, რომ **გრიგოლ ქომოშვილს** მან შესთავაზა აფხაზეთის დატოვება, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. მას არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ქომოშვილი ქალაქ სოჭში ოპერატიულ-სადაზვერვო ინფორმაციის მისაღებად შეხვდა ერთ-ერთ აფხაზს, რაც მტრის სპეცსამსახურებმა შეიტყვეს და ქომოშვილი სწორედ ამის გამო დახვრიტეს!

**— გადავიდეთ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების თემაზე! რა მოხდა სინამდვილეში და როგორ მოკვდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი?**

— **არსებობს კლიშე, თითქოს ედუარდ შევარდნაძეს მიხეილ სააკაშვილი ზურაბ ჟვანიამ გააცნო! ეს ტყუილია...** ჟვანია სად იყო, შევარდნაძე თემურ ალასანიასა და მამამისს — **გივი ალასანიას** რომ იცნობდა. სხვათაშორის, „ქარტია-91“, რომლითაც ზვიად გამსახურდიას „მრგვალი მაგიდა“ გაუხეთქეს, სწორედ **გივი ალასანიამ** შექმნა. შევარდნაძემ სამარეში უამრავი საიდუმლო ჩაიტანა. სხვათაშორის, მან ძალიან კარგად იცოდა, ვინ იყო **ოთარ კობერიძე,** რომლის შესახებაც თქვენ ბევრს წერდით. მეც ბევრი ვიცი ამ თემის შესახებ და მას არასოდეს ვცემდი პატივს. ცნობისათვის, **თემურ ალასანია და ედუარდ შევარდნაძე ერთმანეთს ევგენი პრიმაკოვმა ჩააბარა!** ჩემთვის ცნობილია, თუ რომელი უშიშროების მაღალჩინოსანი ჩავიდა კიევის უნივერსიტეტში სააკაშვილის გადასარჩენად, როცა მას იქიდან ბინძური სკანდალის გამო რიცხავდნენ. ისიც ცნობილია, თუ როგორ და ვისი რეკომენდაციით მოხვდა სააკაშვილი ამ უნივერსიტეტში. ფაქტობრივად, მთელი ცეკა და უშიშროება იყო ჩარეული იმაში, რომ სააკაშვილი კიევის უნივერსიტეტში მოხვედრილიყო.

სააკაშვილი თავიდანვე გახლდათ გაუწონასწორებელი... აი, მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრ **ალექსანდრე ჩიკვაიძეს,** რომელიც რაფინირებული

**„როცა ჟიული შარტავას დახვრეტის ორგანიზატორის შესახებ ვკითხე, ავთანდილ იოსელიანმა პირდაპირ მითხრა – თავი დამანებე, შენ თვითონაც კარგად იცი, ორგანიზატორი ვინც არისო!“**

## კვირგვინოსნები

**თეა გოცირიძე**
*სეისმოლოგი*



მამაზეციერს შევევედროთ, თბილისში არ მოხდეს **5 მაგნიტუდის მიწისძვრა!** თბილისში 2002 წელში იყო **4,5-იანი მაგნიტუდის მიწისძვრა** და კიდევ იქნება, ამიტომ უნდა შევხვდეთ მომზადებულები.

„სარკე“

**ორჰან ბერიძე**
*თურქეთელი ქართველი*



**ვაი მას, ვისაც ქართველობის რცხვენია.** მამაჩემი სუფთა ქართველი იყო, რომელმაც 15 წლის ასაკამდე თურქულიც კი არ იცოდა. **იგი დარდით მიყვებოდა საქართველოზე და მის ტკივილს თითქოს მეც ვგრძნობდი.** გვეუბნებოდა, რომ საქართველოში ნათესავები გვყავდა. ხშირად უსმენდა რადიოს იმ იმედით, იქნებ ქართული სიტყვები დავიჭიროო. არადა, ამ რადიოში, ძირითადად, რუსული ხმები ისმოდა, რადგან სხვას იქ ხმის სპეციალური ჩამხშობებით ახშობდნენ. აი, ეს ყველაფერი ჩემმა ცნობიერებამ შეინახა, ამიტომაც **თურქეთელი ქართველობიდან ერთ-ერთი პირველი ვარ, ვინც თავისი საკუთარი გვარი არქივებში მოძებნა და დაიბრუნა.**

„კვირის პალიტრა“

**ვაჟა აზარაშვილი**
*კომპოზიტორი*



ჩემი ყველაზე დიდი ნატვრაა, **ჩემი საქართველო გაერთიანებული მენახოს.** მართალა სიმღერაა მთელი ჩემი ქონება, მაგრამ მაინც ყველაზე ბედნიერი და მდიდარი კაცი ვარ. **აღიარება და გულწრფელი ტაში ხელოვანისთვის ხომ ყველაზე დიდი ქონებაა!**

„კვირის პალიტრა“

# „ამერიკელები ხელისუფლებაში ჟვანიას მოყვანას გეგმავდნენ, სააკაშვილის საკითხი არც კი განიხილებოდა!“

ინტელიგენტი და შესანიშნავი დიპლომატი იყო, სააკაშვილი კაბინეტში ბოტასებით, პერანგამოჩაჩული შეუვარდა... **როცა ჩიქვაიძემ შენიშვნა მისცა — რას ჰგავხარო? — სააკაშვილის პასუხი არ გაინტერესებთ? — შენ ვის ელაპარაკები, მე მომავალი პრეზიდენტი ვარო!** ეს შემთხვევით არ თქმულა... სააკაშვილი შევარდნაძისგან მხარდაჭერას გრძნობდა.

ედუარდ შევარდნაძე არც უჭკუო კაცი იყო და არც მშიშარა, სააკაშვილის მსგავსი სულელი თავზე დაესვა. სააკაშვილის კარიერულ წინსვლას თავიდან ბოლომდე და მიზანმიმართულად უზრუნველყოფდა შევარდნაძე. ასე, მაგალითად, 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილი ჩაწერეს „მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო სიაში და გახადეს პარლამენტის წევრი; მერე გახადეს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, მერე — „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი, მერე — საქართველოს იუსტიციის მინისტრი, მერე — საკრებულოს თავმჯდომარე... როგორ გგონიათ, ეს ყველაფერი შევარდნაძის გარეშე მოხდებოდა?

**ედუარდმა სხვაზე რატომ არ იზრუნა, სააკაშვილზე უფრო ჭკვიანი და განათლებული სხვა ვერავინ ნახა? მაგრამ აქ იყო რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესი, რომელიც თემურ ალასანიას აკონტროლებდა და აკონტროლებს; ასევე იყო დასავლეთის ინტერესიც...** ნაციონალური მოძრაობა ედუარდ შევარდნაძემ შექმნა, რადგან მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ხალხს „მოქალაქეთა კავშირი“ ყელში ჰქონდა ამოსული. სწორედ ამიტომ იყო, შევარდნაძემ ერთ-ერთ შეხვედრაზე რომ განაცხადა — **ვისაც „მოქალაქეთა კავშირი“ არ გინდათ, ხმა ნაციონალურ მოძრაობას მიეცითო!** 2003 წლის არჩევნების დროს სააკაშვილი ითხოვდა, მეორე ადგილზე გამიყვანეთო! მაგრამ შევარდნაძემ გაიყვანა მესამე ადგილზე, რადგან მეორე დაუწერეს **ასლან აბაშიძეს!** აი, ამას მოჰყვა ყველაფერი...

**— ჟვანია და სააკაშვილი ერთმანეთის მეგობრები იყვნენ?**

— მეგობრები კი არა, ჟვანია და სააკაშვილი სინამდვილეში ერთმანეთის მტრები იყვნენ! სხვათაშორის, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ **ნინო ბურჯანაძემ,** რომელსაც **40-პროცენტიანი** რეიტინგი ჰქონდა, დაუშვა კატასტროფული შეცდომა, როცა **8-პროცენტიან ჟვანიას** გაუერთიანდა...

**— ეს გაერთიანება ვისი სურვილი იყო?**

— ეს გაერთიანება ამერიკელებმა შეაკოწიწეს ხელოვნურად, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ **„ბურჯანაძე-დემოკრატები“** ხმების 51 პროცენტს მოაგროვებდნენ და ხელისუფლებასაც დააკომპლექტებდნენ. ამერიკელები ხელისუფლებაში ჟვანიას მოყვანას გეგმავდნენ, სააკაშვილის საკითხი არც კი განიხილებოდა! შევარდნაძეს ჩემთვის ნათქვამი აქვს — კაცო, მე ვუთხარი ამერიკელებს და არ დამიჯერეს... მაგათ ეგონათ, ჟვანია და ბურჯანაძე თუ გაერთიანდებოდნენ, ბურჯანაძის პროცენტებს ჟვანიას პროცენტები დაემატებოდა და, სულ მცირე, ხმების 51 პროცენტს მაინც აიღებდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით და ბლოკმა ბარიერიც კი ვერ გადალახა, რაზეც მაგათ ვაფრთხილებდიო!

**— მაინც როგორ ვაფრთხილებდიო?**

— როგორც შევარდნაძემ მითხრა, თურმე, ამერიკელებისთვის უთქვამს — თქვენ ქართველების მენტალიტეტს არ იცნობთ და იცოდეთ, მაგ 40-ისა და 8-ის შეერთებით, ხელში 48 პროცენტი კი არა, 8 პროცენტიც არ შეგრჩებათო! მართლაც, ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. უფრო მეტიც, შევარდნაძეს ჩემთვის ესეც აქვს ნათქვამი — **ზურაბ ჟვანიამ ყველაზე კატასტროფული შეცდომა 2001 წელს დაუშვაო!**

**— რას გულისხმობდა შევარდნაძე?**

— მოგეხსენებათ, 2001 წელს სააკაშვილი საპრეზიდენტო ასაკის არ იყო და საერთოდ არ აინტერესებდა ქვეყნის გადატრიალება, რადგან პირველი პირი ვერანაირად გახდებოდა, მაგრამ ქვეყანაში არეულობა მაინც დაიწყო. პირველი ნიშანი გახლდათ **კახა კალაძის ძმის** გატაცება, რაც არ იყო შემთხვევითი. კახა იყო ცნობილი ფეხბურთელი, მეგობრობდა იტალიის პრემიერ-მინისტრთან და თუ მის ძმას გაიტაცებდნენ, ეს ამბავი მოხვდებოდა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. ცხონებული **ლევანიკო,** რომელსაც კარგად ვიცნობდი, ისევე როგორც მის მამიდას **რუსიკოს,** დაიღუპა... ატყდა ერთი ამბავი და საერთაშორისო სკანდალი. არ გასულა ორი-სამი კვირა და 2001 წლის 26 ივლისს მოკლეს **გიორგი სანაია.** დაიწყო გამოსვლები და დადგა შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა. გიორგი სანაიას მკვლელობამდე ორი დღით ადრე, 2001 წლის 24 ივლისს, მე და რამდენიმე ჟურნალისტი **გიორგი სანაიას** პარლამენტის კინოდარბაზის წინ ველაპარაკებოდით. სანაია იყო ძალიან გაბრაზებული, შეურაცხყოფილი და უნდოდა **ზურაბ ჟვანიას** მონახულება...

**— რატომ?**

— როგორც მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, ზურაბ ჟვანიას დაცვის ერთ-ერთმა წევრმა გიორგი სანაიას შეურაცხყოფა მიაყენა და სწორედ ამის გამო სანაია აპირებდა ჟვანიასთან დალაპარაკებას, მაგრამ **ხათუნა გოგორიშვილმა** ის ჟვანიასთან არ შეუშვა.

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— ვერაფერს გეტყვით, აგერაა **ხათუნა გოგორიშვილი** და ჰკითხეთ! მახსოვს, **გიორგი სანაიას** ყელზე რაღაც მძივი ეკეთა და ყავისფერი შარვალი ეცვა... ხელი მოვკიდე, ხუმრობით მოვქაჩე და ვუთხარი — ბიჭო, ეს მძივი ამ შარვალს არ უხდება... ისე, შენთან სალაპარაკო მაქვს, რა ხდება-მეთქი? — ახლა ჟვანიასთან მოვედი სალაპარაკოდ, რაღაც გასარკვევი მაქვს და ამ საქმეს რომ მოვრჩები, პირობას გაძლევ, პირველი შენ იქნები, ვისაც ინტერვიუს მივცემ და ყველაფერს ვიტყვიო! ამ საუბრიდან ორ დღეში გიორგი სანაია მოკლეს!

გიორგი სანაიას მკვლელობას მოჰყვა მიტინგების მორიგი ტალღა, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა. მოითხოვდნენ შევარდნაძის გადადგომას... ის მიტინგები დაფინანსებული იყო, ხალხს ფულს უხდიდნენ... მახსოვს, პარლამენტის წევრი და ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელი **დათო ტყეშელაშვილი** პარლამენტის ეზოდან ფულს არიგებდა და ვიღაცებს ეჩხუბებოდა — რუსთაველზე ადგილები ცარიელი რატომ იყოო! მე მაშინ პარლამენტის შენობაში ვიყავი და დათოს ზემოდან ხუმრობით გადავძახე — მაგ ფულს ქუჩაში რომ არიგებ, ერთი „პაჩკა“ ზემოთაც ამოაგდე-მეთქი! აი, ასეთ ოღომტრიალში 2001 წლის 31 ოქტომბერს გადადგა უშიშროების მინისტრი **ვახტანგ ქუთათელაძე.** ამ დროს სააკაშვილი მოსკოვში იყო და სულ არ აინტერესებდა გადატრიალება, რადგან თანამდებობას არ ელოდა...

როგორც კი უშიშროება „რუსთავი-2“-ში კანონიერად შევიდა, **ვახტანგ ქუთათელაძე** გადადგა და ერთი ამბავი ატყდა, შევარდნაძე მაშინვე დმანისში წავიდა და თბილისიდან გაქრა, თუმცა, სიტყვა „დატოვა“ — შინაგან საქმეთა მინისტრი **კახა თარგამაძე** და გენერალური პროკურორი ვერ და არ გადადგებიან, მაგრამ, თუ მაინც ისე მოხდება, რომ ისინი წავლენ, მაშინ მეც გადავდგებიო! 2001 წლის 1 ნოემბერია, კანცელარიის შენობაში უშიშროების საბჭოს სხდომაა, რომელსაც ესწრებოდა **ზურაბ ჟვანიაც** და ამ დროს ციხიდან რეკავენ **თემურ ხაჩიშვილი და გიგა გელაშვილი...**

**— ვის ურეკავდნენ?**

— შევარდნაძეს ურეკავდნენ! უშიშროების საბჭოს სხდომაზე შევარდნაძეს ტელეფონი შემოუტანეს... **თემურ ხაჩიშვილმა** ედუარდს უთხრა — **რომ მიდიხარ, სად მიდიხარ? ჯერ ჩვენ გამოგვიშვი და მერე სადაც გინდა, იქ წადიო!** მაგ დროს პარლამენტის შენობაში ვიყავი, როცა მთელი საპრეზიდენტო ფლიგელი დაკეტეს — **შევარდნაძე მოდისო!**

**— პარლამენტში შევარდნაძე რატომ მოდიოდა?**

— შევარდნაძე პარლამენტიდან აქციაზე უნდა ჩასულიყო და ხალხის წინაშე განეცხადებინა, რომ გადადგა, მაგრამ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გახმაურდა ერთი დოკუმენტი, რამაც შევარდნაძის წასვლა გადაავადა!

**— მაინც რა მოხდა?**

— **ზურაბ ჟვანიას წინ დაუდეს დოკუმენტი, რომლითაც მისი, სააკაშვილისა და მთელი მათი გუნდის რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირი დასტურდებოდა!** ზურაბ ჟვანიამ ეს დააბრალა კახა თარგამაძეს, არადა, სინამდვილეში თარგამაძე არაფერ შუაში იყო და დოკუმენტები ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე, მდებარე ერთ-ერთი ოფისიდან ამერიკის სპეცსამსახურებმა მოიპარეს! ამერიკელი სპეცები ფანჯრიდან გადაძვრნენ და დოკუმენტები ისე წამოიღეს! მთელ ამ საქმეში ყველაზე სკანდალური და საინტერესო, იცით, რა არის? დოკუმენტების არსებობის შესახებ შევარდნაძეს ინფორმაცია მიაწოდა სააკაშვილმა, ხოლო ამერიკელებს ეს ყველაფერი შეატყობინა შევარდნაძემ! **ამის შემდეგ კიდევ იტყვის ვინმე, რომ შევარდნაძეს სააკაშვილისთვის ხელისუფლება სინით არ მიურთმევია?** ამ ზღაპრებისა მე არ მჯერა და ვისაც უნდა, დაიჯეროს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



## „ზურაბ ჟვანიას წინ დაუდეს დოკუმენტი, რომლითაც მისი, სააკაშვილისა და მთელი მათი გუნდის რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირი დასტურდებოდა!“



## „2001 წლის 24 ივლისს მე და რამდენიმე ჟურნალისტი გიორგი სანაიას პარლამენტის კინოდარბაზის წინ ველაპარაკებოდით. სანაია იყო ძალიან გაბრაზებული, შეურაცხყოფილი და უნდოდა ზურაბ ჟვანიას მონახულება...“

## კვირგვინოსნები

**ლელა ვეფხვაძე**
*9 აპრილის გმირი, უსინათლო მომღერალი*



მეტროში სიმღერის ძალა აღარ მაქვს. როცა ლუკმაპური აღარ გვაქვს, იძულებული ვარ, გავიდე და ვიმუშაო. კი, **ბინა მიყიდა ბიძინა ივანიშვილმა და ამის გამო ათასჯერ გადავუხადე მადლობა.** ახლა მსაყვედურობენ, როგორ ბედავ, „ოცნებაზე“ რამეს რომ ამბობო. ცუდს არაფერს ვამბობ, ვითხოვ, დაგვეხმარონ.

„სარკე“

**სოფო ხუციშვილი**
*უსინათლოთა კავშირის ხელმძღვანელი*



ქალბატონ ლელას ვთავაზობთ, რომ **დაბრუნდეს სამსახურში და გაცდენილს ნაწილობრივ ავუნაზღაურებთ,** მაგრამ ის არ ბრუნდება, დას უცხადებს სოლიდარობას. სხვა ამ ეტაპზე არაფერი შეგვიძლია, თორემ დიდ პატივს ვცემთ, როგორც 9 აპრილის გმირს.

„სარკე“

**ლაშა ხუციშვილი**
*ფინანსთა მინისტრი*



2026 წლამდე **საჯარო სამსახურში ხელფასების ოდენობა ყოველწლიურად, დაახლოებით 10 პროცენტით გაიზრდება.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დათო დარჩია**
*მსახიობი*



**დასუფთავების სამსახურის თანამშრომელს** უფრო მეტი ხელფასი რომ ექნება, **ვიდრე მსახიობს,** ეს კატასტროფაა!

„კვირის პალიტრა“

# გოგი გიორგობიანი: ამაყი ვარ ჩემი ქართველობით და მრცხვენია იმ ქართველების, რომლებიც ამბობენ, რომ ქართველობის რცხვენიათ!





გოგი გიორგობიანი თავისი განუყრელი მოტოციკლით ათენის სიონში. გენრიხ ზაკომორნის ფოტო.

***არსებობენ ადამიანები, რომლებიც პატარა და უმნიშვნელო საქმეებს დიდი ხმაურით აკეთებენ და არსებობენ ადამიანები, რომლებიც დიდსა და მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებენ უხმაუროდ. 79 წლის ფოტოდოკუმენტალისტი გოგი გიორგობიანი, რომელმაც ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოს ისტორიული ძეგლებისა და არქეოლოგიური ექსპონატების უნიკალური ფოტომატიანის შექმნას მიუძღვნა, დიდი და მნიშვნელოვანი საქმის უჩუმრად გამკეთებელი კაცია. მას ძალიან უყვარს საქართველო და არ უყვარს სიტყვა „ექსკლუზიური“, რის გამოც არ ამბობს, რომ მართლაც არაერთი ექსკლუზიური ფოტოს ავტორია. მაგალითად, მან პირველმა გადაიღო დმანისის ნაქალაქარში აღმოჩენილი ქალის ქვედა ყბა, რომელიც მილიონ რვაასი ათასი წლის წინანდელია და ევროპაში ყველაზე ძველი ადამიანის ნაშთს წარმოადგენს. ამასთან გოგი გიორგობიანი ის ერთადერთი ფოტოგრაფია, ვინც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის — მამა გაბრიელის დაკრძალვა გადაიღო და ისტორიას შემოუნახა მართლაც უნიკალური კადრები.***

**— ბატონო გოგი, არსებობენ ფოტოგრაფები, რომლებსაც სწყინთ, რომ ფოტოგრაფებად მოიხსენიებენ და არა — ფოტოხელოვანებად. თქვენ რომელი ხართ?**

— ჩემი შვილი **ნინო გიორგობიანი** ვინმეს ჩემს თავს რომ გააცნობდა ან სუფრასთან ჩემს სადღეგრძელოს იტყოდა, ყოველთვის ფოტოხელოვნად მომიხსენიებდა, რაზეც ვუჯავრდებოდი — **არა ვარ ფოტოხელოვანი, ფოტოგრაფი ვარ-მეთქი!** თუ მაინცდამაინც უნდა დავაკონკრეტოთ, **ფოტოდოკუმენტალისტი** გახლავართ.

**— როგორც ვიცი, თქვენი პირველადი პროფესია არა — ფოტოგრაფიასთან, არამედ ენერგეტიკასთან არის კავშირში, მაგრამ იქცა თუ არა ფოტოგრაფობა თქვენი ცხოვრების მთავარ და უპირველეს საქმედ?**

— მიუხედავად იმისა, რომ 53 წლის განმავლობაში — 1968 წლიდან 2021 წლამდე — საქართველოს ტელევიზიის „პირველ არხში“ ენერგეტიკოსად ვიმუშავე, ეს ჩემთვის საინტერესო და საყვარელი საქმე მაინც ვერ გახდა, ფოტოგრაფია კი ცხოვრების მთავარ გატაცებადაც მექცა და მთავარ პროფესიადაც!

**— ისევე, როგორც მოტოციკლი და მოტოციკლისტობა?**

— ბავშვობის ოცნება, რომ მოტოციკლი მყოლოდა, 20 წლის ასაკში ავიხდინე და 1963 წლის 23 აგვისტოს შევიძინე რუსული წარმოების **„ვიატკა“**, რომელსაც 5 ცხენის ძალა ჰქონდა. მას შემდეგ 59 წელია გასული და ის მოტოციკლი დღესაც ხშირად მესიზმრება, სიზმარში ვამბობ ხოლმე — რა კარგი ვქენი, რომ არ გავყიდე-მეთქი! შემდეგ **„იავას“** ფირმის მოტოციკლი შევიძინე, რომელიც დღემდე მყავს, თუმცა, ჩემი ასაკიდან და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალზე იშვიათად ვატარებ, არადა, მთელი საქართველო შემომატარა. სხვათაშორის, მოტოციკლისტთა ჯგუფშიც გავწევრიანდი და პირველები ვიყავით, ვინც შატილში მოტოციკლებით ავედით.

**— რომელი იყო თქვენი პირველი ფოტოაპარატი?**

— პირველი ფოტოაპარატი **„სმენა“** ბიძაჩემმა მაჩუქა, მერე კი **„ზენიტი“** ვიყიდე და შევიძინე სპეციალური ლიტერატურაც, საიდანაც ვისწავლე, როგორ უნდა გამემჟღავნებინა ფირი, რა ქიმიკატები უნდა გამომეყენებინა... მოკლედ, თვითნასწავლი ფოტოგრაფი გახლავართ.

**— თუმცა, წილად გხვდათ პატივი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის პირად ფოტოგრაფად გემუშავათ!**

— პატრიარქის პირად ფოტოგრაფად მუშაობა 1995 წლის 4 იანვარს — მისი უწმინდესობის დაბადების დღეს დავიწყე და ამ წელიწადნახევრის მანძილზე ვიყავი საპატრიარქოს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ შტატგარეშე ფოტოკორესპონდენტიც. სხვათაშორის, გულნატკენი ვარ, რომ ჩემს მიერ გადაღებული ფოტოები ჟურნალში ჩემი სახელისა და გვარის მითითების გარეშეა დაბეჭდილი.

**— მორწმუნე ხართ?**

— კომუნისტების დროს, ათეისტურ ეპოქაში გავიზარდე და ამან ჩემს ცხოვრებას გარკვეული დაღი დაასვა. თქვენ წარმოიდგინეთ, პატრიარქთან შევდიოდი, როგორც საერო კაცთან. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება მქონდა, მის წინაშე ვერ ვიჩოქებდი და კაბის კალთაზე ვერ ვემთხვეოდი. თუმცა, პატრიარქი იმდენად დიდი ადამიანია, რომ ამას არ იმჩნევდა და უხერხულობას იოტისოდენადაც არ მაგრძნობინებდა.

ჩვენი რელიგიისა და ეკლესიის მიმართ უღრმესი პატივისცემა მაქვს, მაგრამ მოძღვარი არ მყავს და ესეც ჩემი ნაკლია. ტაძარში სანთლის ანთება რომ მომინდება, სვეტიცხოველში მივდივარ და გულით ვლოცულობ, ჩემებური ლოცვები მაქვს, ჩემი სიტყვებით შედგენილი.

**— როცა სამთავროს ეკლესიის ეზოში ბერი გაბრიელის დაკრძალვას იღებდით, გქონდათ განცდა, რომ წმინდანის უკანასკნელ გზაზე გაცილების ფოტომატიანეს ქმნიდით?**

— სიმართლე გითხრათ, მაშინ ასეთი განცდა არ მქონია, ეს ჩემთვის ჩვეულებრივი სამუშაო იყო, რომელსაც საპატრიარქოს დავალებით ვასრულებდი. მინდა, ვთქვა, რომ

**ბერი გაბრიელის საფლავიდან ამოსვენება ჩემთვის მიუღებელია! მიმაჩნია, რომ წმინდა ბერის განსასვენებელი, სადაც მთელი საქართველოდან ჩამოსული მომლოცველები მუხლს იყრიდნენ და გულმხურვალედ ლოცულობდნენ, ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო!**

**— ბედმა კიდევ ერთი უნიკალური მოვლენის ფოტოფირზე აღბეჭდვის პატივი გარგუნათ — პირველმა გადაიღეთ 1991 წელს დმანისში აღმოჩენილი ადამიანის ქვედა ყბა, რომელიც მილიონ რვაასი ათასი წლის წინანდელია. გაიხსენეთ, როგორ მოხდა ეს ამბავი?**

— დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციას **ვახტანგ ჯაფარიძე** ხელმძღვანელობდა და ჯგუფში ჰყავდა ქვის ხანის მკვლევარი, თავისი საქმის დიდი პროფესიონალი **ნუგზარ**



გოგი გიორგობიანი ოჯახთან – მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილთან ერთად



გოგი გიორგობიანი შვილთან – ნინო გიორგობიანთან ერთად

**„163 ისტორიული ძეგლი მაქვს გადაღებული და ჩემი ოცნებაა, კიდევ ერთხელ მოვინახულო თითოეული მათგანი, თითო სანთელი დავანთო ყველა იმ ეკლესია-მონასტერსა და ციხე-სიმაგრეში, რომელიც ფოტოფირზე აღმიბეჭდავს!“**



1995 წლის 4 იანვარი – ქართული ქორეოგრაფიის ლეგენდა ნინო რამიშვილი პატრიარქს დაბადების დღის მისალოცად ესტუმრა



პატრიარქი სვეტიცხოვლის ეზოში



დმანისში აღმოჩენილი ქალის ქვედა ყბა, რომელიც 1 800 000 წლის არის

„პირველი ევროპელების წინაპართა ნაშთი საქართველოში იქნა აღმოჩენილი, იგი ფოტოფირზე პირველად მე – ქართველმა ფოტოგრაფმა – აღვბეჭდე და ამ ისტორიული დოკუმენტის დედანიც საქართველოში უნდა ინახებოდეს!“



გრემი



ბეთანია



ხერთვისი



წუნდა





ბერი გაბრიელის დაკრძალვა სამთავროს დედათა მონასტერში

**მგელაძე,** რომელმაც გათხრების დროს აღმოჩენილი ქვის ნატეხების შესახებ თქვა — ესენი პირველყოფილი ადამიანის იარაღებიაო! მგელაძე არქეოლოგიურ ცენტრში დადიოდა და ქვის ხანის სპეციალისტებს ეხვეწებოდა — წამოდით დმანისში, იქ სერიოზული სამუშაო არისო, მაგრამ რატომღაც არ იჯერებდნენ მის ნათქვამს. შემდეგ არქეოლოგიური ცენტრის მაშინდელი დირექტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დღევანდელი დირექტორის **დავით ლორთქიფანიძის მამა ოთარ ლორთქიფანიძე** გერმანიაში თავის ნაცნობ არქეოლოგებს დაუკავშირდა, რომლებიც მალევე ჩამოვიდნენ და დმანისში მუშაობას შეუდგნენ. გერმანელთა ექსპედიციას ცნობილი არქეოლოგი — გვარად **ბოზინსკი** ხელმძღვანელობდა. ქართულ პრესაში მისი გვარის დაწერა ეუხერხულებოდათ და **ბოზინსკის** ნაცვლად **ბოსინსკის** წერდნენ, არადა, მართლა **ბოზინსკი** იყო, ისეთი ცუდი რამ გამიკეთა.

მოკლედ, კვირაში ერთხელ, ზოგჯერ სამ დღეში ერთხელაც, დამირეკავდნენ ექსპედიციის წევრები დმანისიდან — ჩამოდი, არქეოლოგიური ობიექტი გადასაღებად მზად არისო, მეც მივდიოდი და ვიღებდი... ერთ-ერთი ასეთი ჩასვლისას გადავიღე ადამიანის ქვედა ყბა, რომელზეც სპეციალისტებმა თავიდან თქვეს, რომ 500 ათასი წლის იქნებოდა, მაგრამ, როცა მასალა გამოსაკვლევად ამერიკაში გაგზავნეს, აღმოჩნდა, რომ 1 800 000 წლისა იყო. ეს არის აფრიკიდან ევრაზიის ტერიტორიაზე გადმოსული პირველი ადამიანების, პირველი ევროპელების წინაპართა ნაშთი.

**— ახლა ისიც გვითხარით, გერმანული ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბოზინსკიმ რა ცუდი საქმე გაგიკეთათ?**

— **ბოზინსკი** ჩემს ლაბორატორიაში მოვიდა და მითხრა — ნეგატივებს, რომლებზეც დმანისში აღმოჩენილი ქვედა ყბა არის აღბეჭდილი, გერმანიაში წავიღებ და იქ უკეთესად დავბეჭდავო! რადგან ბატონი **ვახტანგ ჯაფარიძისაგან** გაფრთხილებული ვიყავი — ბოზინსკი რასაც გთხოვს, ყველაფერი შეუსრულეო, მეც ავიღე და ეს ნეგატივები მივეცი, იმან კი წაიღო და წაიღო, უკან აღარ დაუბრუნებია! **მას მერე ბოზინსკი საქართველოში არაერთხელ იმყოფებოდა და ვახტანგ ჯაფარიძე საკმაოდ მკაცრად სთხოვდა ნეგატივების დაბრუნებას, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი — ბატონი ვახტანგი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ ნეგატივების დაბრუნებას ვერ მოესწრო და, ალბათ, ვერც მე მოვესწრები!** არადა, ამ ნეგატივების დაკარგვა დანაშაულია! იმ ხალხმა, ვისაც ეს ევალება და ხელეწიფება, ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ უნიკალური ნეგატივების გერმანიიდან საქართველოში დასაბრუნებლად! იმიტომ კი არა, რომ ჩემია, უბრალოდ, პირველი ევროპელების წინაპართა ნაშთი საქართველოში იქნა აღმოჩენილი, იგი ფოტოფირზე პირველად მე — ქართველმა ფოტოგრაფმა — აღვბეჭდე და ამ ისტორიული დოკუმენტის დედანიც საქართველოში უნდა ინახებოდეს!

**— სულ ცოტა ხნის წინათ, 21 ივლისს, 79 წელი შეგისრულდათ! დაგრჩათ თუ არა აუხდენელი ოცნება, რომელიც თქვენს პროფესიას უკავშირდება?**

— საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის თითოეულ ძეგლთან მიახლება და მათი ფოტოდოკუმენტირება ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იყო! მთელი საქართველოს მასშტაბით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით, 163 ისტორიული ძეგლი მაქვს გადაღებული და **ჩემი ოცნებაა, კიდევ ერთხელ მოვინახულო თითოეული მათგანი, თითო სანთელი დავანთო ყველა იმ ეკლესია-მონასტერსა და ციხე-სიმაგრეში, რომელიც ფოტოფირზე აღმიბეჭდავს!** სამწუხაროდ, ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ამ ოცნებას ვერ ავისრულებ!

**— პოლიტიკა გაინტერესებთ?**

— პოლიტიკაზე ჩემი შეხედულება მაქვს, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც კი არ მინდა!

**— თქვენი ასაკიდან და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, რას ეტყოდით ქართველ საზოგადოებას, რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდობას?**

— იამაყონ იმით, რომ ქართველები არიან! მე ყველაზე ამაყი სწორედ ჩემი ქართველობით ვარ და მრცხვენია იმ ქართველების, რომლებიც ამბობენ, რომ ქართველობის რცხვენიათ!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**

# მიხეილ ცაგარელი:

# მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩასატარებლად და სირთულეებისგან თავის დასაცავად უმჯობესია, აგვისტოს ყველაზე მშვიდი პირველი ათი დღე იქნას გამოყენებული



***— აგვისტოში რომელი რიცხვების შუალედშია მოსალოდნელი ყველაზე მეტი სირთულეები და რა შეიძლება გახდეს გამოუსწორებელი შეცდომების მიზეზი ანდა როდის იქნება ყველაზე მშვიდი პერიოდი და რა უნდა გავითვალისწინოთ ამ დროს? რა ზეგავლენას მოახდენს ადამიანებსა და მოვლენებზე ცის კაბადონზე მზისა და პლანეტა სატურნის ოპოზიციურობა, პლანეტა ვენერას ტრანზიტი მთვარესთან; 20 აგვისტოდან ტყუპის ზოდიაქოში გადანაცვლებული არასტაბილური პლანეტა მარსი და მისი დესტრუქციული ენერგიები? რა და რა თვისებებს გაამახვილებს 23 აგვისტოს მზის გადანაცვლება ლომის ზოდიაქოდან ქალწულის ზოდიაქოში? რატომ უნდა გავატაროთ აგვისტო მაქსიმალურად მშვიდად, დანაკარგის გარეშე და რა იქნება დამაიმედებელი ფაქტორი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— მარიამობისთვე რას გვპირდება. როგორია ასტროლოგიური პროგნოზი?**

— **აგვისტოს დასაწყისი საკმაოდ მშვიდი და ნაყოფიერი იქნება, რადგან 4 რიცხვიდან ზონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური ქალწულის ზოდიაქოში გადაინაცვლებს (26 აგვისტომდე). თუმცა, სილამაზისა და სიყვარულის მმართველი პლანეტა ვენერა, 11 აგვისტოდან დატოვებს ცეცხლოვანი ლომის ზოდიაქოს და სასიკეთო წამოწყებათა უმეტესობაც დროებით** რთული შესაძლოა, იყოს **10-15 რიცხვების შუალედი,** როდესაც გავლენიანი ადამიანები, მაღალჩინოსნები, პოლიტიკური თუ ბიზნესის ხელმძღვანელები უფრო მეტად უკომპრომისონი, პრინციპულები, უხეში, ხისტი, ძალისმიერი გახდებიან. წარმოქმნილი ვითარება მნიშვნელოვნად გაართულებს მათ საქმიანობას. **საქმეების მართვისას გაზრდილმა ავტორიტარულობამ, ქმედებასა და გამონათქვამებში გადამეტებულმა ამბიციურობამ შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაძაბოს სიტუაცია და გახდეს გამოუსწორებელი შეცდომების მიზეზი.** ზედმეტი ემოციურობა და კონფლიქტურობა ასევე მოსალოდნელი იქნება



**დამუხრუჭდება.** ამის გამო, მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების უმეტეს ნაწილს სასწრაფოდ გადახედვა და კორექტირება დასჭირდებათ, მაგრამ შესაძლებელი იქნება ახალ პირობებზე მოლაპარაკება და ახალი შეთანხმებების მიღწევა, რაც სასიკეთო შედეგებს მოიტანს. უნდა აღინიშნოს, რომ წელს **აგვისტოს უმეტესი ნაწილი დაძაბული, ორაზროვანი და მშფოთვარე შესაძლოა, იყოს. განსაკუთრებით, პირველ და მეორე დეკადაში, როდესაც დედამიწის ბიოსფერო უკიდურეს დისჰარმონიული კოსმოსური ენერგიების ზონაში აღმოჩნდება. ამ დროს ნეგატიური მოვლენები იმდენად მოულოდნელად წარმოიქმნება, რომ, პრაქტიკულად, უკონტროლოდ განვითარდება.** ეს კი გამოიწვევს აქტიურობის დაცემას, სოციალური კავშირების არამდგრადობასა და არასანდოობას. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ **აგვისტოს გამწვავებული სიტუაციების უმეტესობა უფრო ადრე იქნება დაწყებული. დამაიმედებელი კი გახლავთ ის ფაქტი, რომ თვის ბოლო დღეებში დაიწყება სხვადასხვა დონეზე და სფეროებში მასშტაბური პოზიტიური გარდაქმნები. ამიტომ სასურველია, აგვისტოს თვე მაქსიმალურად მშვიდად და მინიმალური დანაკარგით გავიაროთ.** ამ თვეში ყველაზე პირად, საოჯახო თუ სასიყვარულო ურთიერთობისას, რაც კამათის, ჩხუბის, სერიოზული კონფლიქტების რიცხვს გაზრდის. **გლობალური დაპირისპირება და კონფლიქტები მოსალოდნელია აგრეთვე საერთაშორისო არენაზეც.**

**— როგორი ვითარება იქნება ცის კაბადონზე და როგორ აისახება ციურ სხეულთა ადგილმდებარეობა და ტრანზიტები მოვლენებსა და ადამიანებზე?**

— ნიშანდობლივია, რომ **ლომის ზოდიაქოში** მყოფი პლანეტა ვენერას ტრანზიტი **მთვარესთან** კიდევ უფრო გააძლიერებს **12 აგვისტოს სავსემთვარეობის** ენერგიებს. აგვისტოს მეორე ნახევარში კი **მზისა** და პლანეტა **სატურნის** ოპოზიციურობას უფრო მეტად დაამძიმებს **20 აგვისტოდან ტყუპის** ზოდიაქოს ნიშანში გადანაცვლებული არასტაბილური პლანეტა **მარსი,** რის გამოც დიდი ცვლილებების პერიოდი დაიწყება. ამ დროს ქაოტური დამანგრეველი ენერგიები პარტნიორული ურთიერთობისას ემოციურობას გაზრდის, ხოლო პოლიტიკურ არენასა და ეკონომიკურ სფეროში არასტაბილურობას გააძლიერებს. ამგვარად ხელი შეეწყობა არაერთ კრიზისულ მოვლენას, რომელიც წლის მეორე ნახევარში გაძლიერდება. **ზარდა ამისა, პლანეტა მარსის დესტრუქციული ენერგიების გამო, აგვისტოში სერიოზულ ეკონომიკურ პროგრესს არ უნდა ველოდოთ. ამიტომ სასურველი იქნება მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩასატარებლად, თადარიგის დასაჭერად და სირთულეების თავიდან ასაცილებლად გამოყენებული იქნეს აგვისტოს თვის ყველაზე მშვიდი პირველი ათი დღე.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში აგვისტოს მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ლომის ზოდიაქოდან ქალწულის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 23 აგვისტოს (07.17) გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში და უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გაამახვილებს ორგანიზებულობას, დისციპლინას, შრომისუნარიანობას, პრაგმატულობას, ნებისყოფას, წვრილმანთა დანახვის უნარს, პასუხისმგებლობას, დამოუკიდებლობისკენ, ტრადიციულობისკენ, სისუფთავისა და წესრიგისკენ მიდრეკილებას და ასევე პირდაპირობას, სიჯიუტესა და კრიტიკულობასაც.** აგვისტოს ბოლო დღეებში კი დაძაბულობა იკლებს და სიტუაციაც თანდათან დაიწყებს განმუხტვასა და დამშვიდებას.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 1-7 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**კარგი პერიოდია საშუამავლო და სარეკლამო საქმიანობისთვის, ძველი კონტაქტის აღსადგენად, მიმოწერისთვის, უცხოელებთან კავშირის დამყარებისათვის. საქმიანი პარტნიორების მიერ ნდობის გამოცხადება გაგახალისებთ, შეყვარებულთან დარღვეული ჰარმონიულობის აღდგენა კი იოლი არ იქნება. სამაგიეროდ, ნათესავებთან და ბავშვებთან გულახდილი ურთიერთობის დამყარება გაგიადვილდებათ. მოგზაურობაც დადებითად ჩაივლის. დასვენება კი პერიოდულად აუცილებელია.**

**კურო** (21.04-20.05)
**გახშირებული კონტაქტები და წვრილმანი საქმეები გართობისთვის დროს არ დაგიტოვებთ, კომერცია და პირადი ბიზნესი მოგებას გიქადით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ საიდუმლო საქმიანობისგან და ინტრიგებისგან. შეყვარებულთან კი დროულად მოაგვარეთ გაუგებრობა, რათა ამან ხელი არ შეგიშალოთ წარმატებულად მოქმედებაში. შორეული მოგზაურობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**ნებისმიერ საკითხს ალღოს აუღებთ და ადრე დაწყებული საქმის დასრულებას შეძლებთ. სახლში მხიარულ განწყობას დაამკვიდრებთ და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას მუდმივ დღესასწაულად გადააქცევთ. მრავალფეროვნებითა და ბედნიერი განწყობის წყალობით, თქვენი ხიბლი და სასიცოცხლო ძალები გაიზრდება. კონტაქტები და გადაადგილებების რაოდენობაც მოიმატებს, რაც სიამოვნებას მოგანიჭებთ. კარგი პერიოდია ქორწინებისა და ბავშვის ჩასახვისთვის.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**სასიკეთო პერიოდია ხელმძღვანელობასთან კონტაქტისთვის და ფართო საზოგადოებისთვის ახალი იდეების გასაცნობად. მომავლის რეალისტური ხედვა სწორი არჩევანის გაკეთებას გაგიადვილებთ. ახლობლები დაგეხმარებიან ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მეგობრების წრეში დასვენება სიამოვნებას მოგანიჭებთ, თუ ალკოჰოლურ სასმელებსა და მძიმე საკვებზე უარს იტყვით. მოგზაურობისას შესაძლოა, თქვენი დიდი ხნის ოცნება ახდეს.**

**ლომი** (23.07-23.08)
**გაზრდილი ენერგია ახლებურად ქმედებასა და განვითარებაში დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია სამსახურის შესაცვლელად და ახალი საქმის დასაწყებად. ასევე კარიერული აღმავლისათვის. შესაძლოა, ფინანსური და სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. ახლობლებთან და შეყვარებულთან ტაქტიანი და დიპლომატიური იყავით. უცხოელებთან ან სხვა ქალაქში მცხოვრებლებთან კავშირი მომავალში სასიკეთო შედეგს მოიტანს. კარგი პერიოდია გარეგნობისა და იმიჯის შესაცვლელად.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ფულს გაუფრთხილდით და დაგროვილს უყაირათოდ ნუ დახარჯავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ეცადეთ, არ გადაიღალოთ გონებრივად თუ ემოციურად. კარგი პერიოდია სასიყვარულო ურთიერთობის გაღრმავებისთვის ანდა რჩეულთან გულახდილობისთვის. ახალ ინფორმაციას კი შემოქმედების გარეშე ნუ გამოიყენებთ, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.**

## 1-7 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**შესაძლოა, პირად საკითხში სერიოზული ნაბიჯის გადადგმაზე დაფიქრდეთ. შემოსავლის მიღება იოლი იქნება, ამიტომ დროს უქმად ნუ დაკარგავთ და იაქტიურეთ. ორაზროვან სიტუაციაში ემოციურობას ერიდეთ და დახმარებისთვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ. კარგი პერიოდია იურიდიული და ქონებრივი საკითხების გასარკვევად, ნებართვისა და სერტიფიკატის მისაღებად. ახლობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობით დაღლას იოლად მოიხსნით.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ახალი კავშირების, საინტერესო ურთიერთობების, გადაადგილებებისა და შეხვედრების რიცხვი მოიმატებს. ხარჯის შესამცირებლად ჯობს, კონსულტაციისთვის პროფესიონალებს მიმართოთ და ნუ დაივიწყებთ უახლესი ტექნიკური მიღწევების გამოყენებასაც. კარგი პერიოდია ქვეყნის ფარგლებში დასვენებისა და მოგზაურობისთვის, გართობისთვის და ასევე შემოქმედებითი დარგების შესწავლისა და კარიერული აღმასვლისთვის.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**იმდენად მომხიბვლელი იქნებით, რომ არაერთ თაყვანისმცემელს შეიძენთ და, შესაძლოა, ახალი სასიყვარულო ურთიერთობაც დაიწყოთ. ეს პერიოდი ასევე კარგია ქორწინებისთვისაც. ორგანიზატორული თვისებების გამოყენებით მოსალოდნელია საქმეში წინსვლა და შემოსავლის ზრდა. მდგრადი ჯანმრთელობისა და კარგი განწყობის შედეგად ინფორმაციის მიღებას ან რაიმეს შესწავლას ადვილად მოახერხებთ. შორეული მოგზაურობა თქვენს ჯანმრთელობაზე პოზიტიურად აისახება.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**შესაძლოა, ახალი იდეებისა და ძველი გეგმების განხორციელებამ დიდი მნიშვნელობა შეიძინოს. ეს პერიოდი ასევე მნიშვნელოვანი იქნება მოლაპარაკებებისთვის და ახალი კავშირების დამყარებისთვის. პირად და საოჯახო სფეროში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი. ბრმად ნურავის მიენდობით და წერილობითი სახით მიღებული ინფორმაცია შეამოწმეთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა და დასვენება კი თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**უცხოელებთან ან სხვა ქალაქში მცხოვრებლებთან მუშაობისას შესაძლებელი იქნება კარიერული აღმასვლა. ახალი კავშირები სოციალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. ახალ სამსახურში გადასვლა ან ახალი საქმის დაწყება არ ღირს. ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებისთვის მშვიდად იზრუნეთ. დაღლის შეგრძნებისას აუცილებლად დაისვენეთ. გზებზე გადაადგილებისას კი სიფრთხილე გამოიჩინეთ. საყვარელი ადამიანის მიმართ გულახდილი და გულთბილი იყავით.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ახალი კონტაქტები დაამყარეთ და მოგზაურობასა და დასვენებაზე უარს ნუ იტყვით. კარგი პერიოდია კარიერული აღმასვლისთვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისთვის, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად და გარეგნობის შესაცვლელად. სიტუაციას ოჯახში პირდაპირ განსაზღვრავს თქვენი შინაგანი მდგომარეობა, ამიტომ დადებითზე იფიქრეთ. რაც უფრო მეტად გარისკავთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, მით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევთ საქმეში.**


**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 2, 5 და 6 აგვისტო**

**12 აგვისტო – სავსემთვარეობა;**
**27 აგვისტო – ახალმთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 1 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.55 საათზე, ჩადის 19.19 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 08.14 საათზე, ჩადის 21.48 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 09.29 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** ბედნიერი შემთხვევის დღეა — სურვილის მიხედვით გამოიყენეთ. წარმატებას მოგიტანთ სპონტანური მოქმედება. შესაძლებელია ახალი პარტნიორის მოძიება, ინფორმაციის შეგროვება, მოგზაურობა. კარგი დღეა საფინანსო და საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, მედიკამენტებისა და ჰიგიენისთვის საჭირო ნივთების შესაძენად, სწავლისთვის, არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება. სექსუალური ენერგია იმატებს. ეცადეთ, არ გადაიზარდოს აგრესიულობაში და არ გახდეს კონფლიქტის მიზეზი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ოპალი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 2 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.56 საათზე, ჩადის 19.18 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.07) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 09.18 საათზე, ჩადის 21.49 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 10.47 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.29 საათიდან 08.07 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა.** დღეს ნუ შეგაშინებთ ის ცვლილება, რომელიც შესაძლოა, თქვენმა კაპიტალდაბანდებამ გამოიწვიოს. დღეს დაწყებული საქმე წარმატებულ იერ-სახეს მიიღებს. ეჭვიანობას ნუ გამოავლენთ და პარტნიორს მეტი თავისუფლება მიანიჭეთ. კარგი დღეა წელზე, თირკმლებზე, ტერფებზე წერტილოვანი მასაჟისთვის, სტომატოლოგიური პროცედურებისთვის, ზედმეტი წონისაგან გათავისუფლებისთვის, ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, მუსიკალური აპარატურის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. ექიმთან კონსულტაციისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 3 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.57 საათზე, ჩადის 19.17 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 10.24 საათზე, ჩადის 22.10 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 12.08 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს გაუაზრებელ დაპირებას ნუ გასცემთ. იმატებს მგრძნობელობა, განაწყენება, ეჭვიანობა. ამავდროულად იმატებს წინასწარგანჭვრეტის უნარიც. ეფექტურია წერტილოვანი მასაჟი წელზე, თირკმელზე, ტერფებზე და კბილების მკურნალობა. არ არის სასურველი ზედმეტი სითხისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, თანამშრომლობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული, სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, აკვამარინი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 4 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.58 საათზე, ჩადის 19.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.48) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 11.31 საათზე, ჩადის 22.34 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 13.31 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.20 საათიდან 15.48 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს განსაკუთრებით აკონტროლეთ სიტყვები. ეცადეთ, სასარგებლო ინფორმაცია მოიძიოთ. დღეიდან ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში (26 აგვისტომდე), რაც ადამიანებში გააძლიერებს პრაგმატულ აზროვნებას, ტრადიციებისა და წესრიგისკენ მიდრეკილებას, უცხო ენის ათვისებას, ორგანიზებულობას, შეუპოვრობას, წვრილმანთა დანახვის უნარს. და ასევე კრიტიკულობას, პირდაპირობას, პედანტურობას. დღეს მაღალია ილუზიების, ცდუნების, მოტყუების, ინტრიგების ალბათობა, ამიტომ უმჯობესია განმარტოება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ექიმთან კონსულტაციისა და მკურნალობისთვის, მუსიკალური აპარატურის, ავეჯის, ხელოვნების ნიმუშების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ტანისამოსის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ოპალი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 5 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.59 საათზე, ჩადის 19.14 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 12.41 საათზე, ჩადის 23.02 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 14.59 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 15.08 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** აქტიურობის დღეა, თავგადასავლების წარმოქმნის ალბათობა იმატებს. ჯიუტ ადამიანებს უფრთხილდით, ურთიერთობისას აკონტროლეთ ემოციურობა, იმპულსურობა, გამონათქვამები. არ არის სასურველი სხივური თერაპია, რენტგენი, ინტიმური კონტაქტები, მგზავრობა, ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება. კარგი დღეა ბავშვებისთვის საჩუქრების, მოდური აქსესუარის, ტანსაცმლის შესაძენად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ონიქსი, ზურმუხტი. **პოზიტიურია დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 6 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.00 საათზე, ჩადის 19.13 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მშვილდოსნის (20.40) ზოდიაქოში. ამოდის 13.55 საათზე, ჩადის 23.35 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 16.32 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.24 საათიდან 20.40 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ტრავმული დღეა, მკვეთრ მოძრაობებს ერიდეთ. მეტი ყურადღება გმართებთ საჭის მართვისას. კარგი დღეა სახლის კეთილმოწყობისთვის და საჭირო ნივთების შესაძენად, კულინარიული საქმიანობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისა და კომესტიკური პროცედურებისთვის, თვითშემეცნებისთვის. არ არის სასურველი ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, სხივური თერაპია, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებისადმი მიმართვა, ინტიმური კონტაქტები, სიჯიუტისა და აგრესიის გამოვლენა, მეტი მოთმინება გამოავლინეთ, ინტუიციას დაეყრდენით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, მარგალიტი, მარჯანი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 7 აგვისტო, კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.01 საათზე, ჩადის 19.12 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 15.11 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 18.07 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** ტრავმულ-ავარიული დღეა, ყურადღება გმართებთ! მშვიდ გარემოში დაისვენეთ. შესაძლებელია პარტნიორთან საკითხთა სწრაფად გადაწყვეტა. კარგი დღეა სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, სწავლისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის და ვარჯიშისთვის, სამგზავრო ბილეთების შესაძენად, ხორბლის აღებისა და ბალახის გათიბვისთვის. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა და ფეხზე დიდხანს დგომა, მშენებლობა, სისხლის გადასხმა, ტატუირება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლალი, ლაზურიტი, საფირონი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



1 აგვისტო – ხსენება ღირსისა მაკრინესი, დისა მღვდელმთავრისა ბასილი დიდისა



4 აგვისტო – ხსენება მენელსაცხებლისა მოციქულთა სწორისა მარიამ მაგდალელისა

✝ 1 აგვისტო. ორშაბათი. **ღირსისა მაკრინესი, დისა მღვდელმთავრისა ბასილი დიდისა;** ღირსისა დიოსისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსისა სერაფიმესი, საროველი სასწაულმოქმედისა.

✝ 2 აგვისტო. სამშაბათი. წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა ელია თეზბიტელისა; მოწამისა სალომე ქართველისა, სპარსთაგან წამებულისა; მართლისა ილიასი; **ანგელოზის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ილია მეორესი.**

✝ 3 აგვისტო. ოთხშაბათი. წინასწარმეტყველისა ეზეკიელისა; ღირსთა სვიმეონისა, ქრისტესთვის სალოსისა და იოანესი, თანამმარხველისა მისისა.

✝ 4 აგვისტო. ხუთშაბათი. **მენელსაცხებლისა მოციქულთა სწორისა მარიამ მაგდალელისა;** აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მღვდელმოწამისა ფოკასი.

✝ 5 აგვისტო. პარასკევი. მოწამეთა: ტროფიმესი, თეოფილესი და მათთანა 13-თა მოწამეთა; მღვდელმოწამისა აპოლინარისა, რავენიელი ეპისკოპოსისა.

✝ 6 აგვისტო. შაბათი. ღირსისა ილარიონ თვალელისა, ღირსი გიორგი მთაწმიდელის მოძღვრისა; მოწამისა ქრისტინა ქალწულისა; მოწამეთა კეთილმსახურთა მთავართა: ბორისისა და გლებისა, წმიდა ნათლისღებით რომანოზისა და დავითისა.

✝ 7 აგვისტო. კვირა. **დაძინება მართლისა ანასი, დედისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა;** წმიდათა დედათა, ოლიმპიადა დედათდიაკონისა და ღირსისა ევპარქსია ქალწულისა, ტაველისა; ხსენება მეხუთე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.


ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!



ქალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს. ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე, გადაყრილ ფულზე. აჩერებს ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა და ოსტეოპოროზის (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქრის დროს და უბრუნებს სახსარს ქმედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებს და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.

მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან

599–22–59–09






საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

574–73–46–96, 243–01–17

555–68–82–90




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. სარკე; 8. კორომი; 11. კალატოზი; 12. პრუსი; 13. ნოკია; 14. როსინი; 15. კაკაბაძე; 16. ტაიმი; 17. მურწა; 18. ლეონტი; 19. მარადონა; 23. ჟღალი; 24. კირი; 26. ცხაურა; 27. ლაბირინთი; 28. ბინა; 30. დრო; 31. ბის; 34. სკოლა; 36. ვაი; 37. უნისონი; 41. ჯიგა; 42. ნემსი; 43. ქაფჩა; 44. ტრომბონი; 45. რადიკალი; 48. სპირალი; 50. კაროლინა; 54. გალავანი; 56. პომადა; 58. კაბადოკია; 59. ლატავრა; 60. სინატრა; 61. სერაფიმი; 62. სომელიე.

შვეულად: 1. საჰარა; 2. პალატა; 3. მონაკო; 4. სინემა; 5. რეკორდი; 6. ეპატაჟი; 7. ბურიდანი; 8. კირილიცა; 9. რესტორანი; 10. მონიტორი; 19. მალიბუ; 20. რაბინი; 21. დარიკო; 22. ნუნისი; 24. კინო; 25. რადა; 28. ბოსი; 29. ნავახა; 31. ბინდი; 32. სამბა; 33. სპირიტი; 35. ლიფტი; 38. ნერპა; 39. სამბო; 40. ნაომი; 41. ჯარა; 43. ქისა; 45. რიგა; 46. დელტა; 47. კავსაძე; 49. რომანი; 50. კუკი; 51. რაბლე; 52. ლიდია; 54. ნაკლი; 55. ნორდი; 56. პასი; 57. დატო; 59. ლას.

ლამარიანავარამიტრამალიბუფერიამატისიბარიტი
ანაკონდახილარიქსილოლიტაბაკარადარიალიონილი

| ნაყოფიერების ქართული ქალღმერთი | ქალაქი ესპანეთში | უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქმელი | კურორტი კალიფორნიაში | ზღაპრული ბრძნეული ქალი | ფრანგი ფერმწერი | ბარიუმის მინერალი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ტიბეტი – დალაი... | ბარბადოსელი მომღერალი | გოთუა – „გმირთა...“ | ველი, მინდორი | დარტყმის შესასუსტებელი მოწყობილობა ვაგონებზე | იტალიელი ვიოლინოს ოსტატი | ფუფუნებით განებივრებული ადამიანი |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. ერთ-ერთი ზღაპრული ჯადოსნური ნივთი; 8. ნარგავი ტყე; 11. შენობების მშენებელი ხელოსანი; 12. პოლონელი მწერალი; 13. ფინური მობილური ტელეფონების ფირმა; 14. იტალიელი კომპოზიტორი; 15. ქართველი მხატვარი; 16. ფეხბურთის მატჩის ნახევარი; 17. თევზის სახეობა; 18. მე-12 საუკუნის ქართველი მწერალი ... მროველი; 19. არგენტინელი ფეხბურთელი; 29. შავმოწითალო; 24. ძველი საშენი მასალა; 26. იგივეა, რაც გისოსი; 27. ყურის შიგნითა ნაწილი; 28. ცალკე საცხოვრებელი სახლში; 30. მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა; 31. ნომრის გამეორების მოთხოვნა; 34. საშუალო სასწავლებელი; 36. ალ. გრიბოედოვი — „... ჭკუისაგან“; 37. ერთი და იგივე სიმაღლის ნოტების ერთდროული ჟღერა; 41. ირლანდიური ცეკვა; 42. მკერავის იარაღი; 43. საკალატოზო იარაღი; 44. სპილენძის სასულე საკრავი; 45. ამოფესვის ნიშანი (მათ.); 48. გ. ფანჯიკიძის რომანი; 50. აშშ-ის შტატი; 54. ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი; 56. ტუჩის საცხი; 58. წმინდა ნინოს სამშობლო; 59. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 60. ამერიკელი მსახიობი და მომღერალი მამაკაცი; 61. ექვსფრთიანი ანგელოზი ქრისტიანულ რელიგიაში; 62. ღვინის დეგუსტატორი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. უდაბნო აფრიკაში; 2. საავადმყოფოს ოთახი ავადმყოფებისთვის; 3. იტალიელი საოპერო მომღერალი მარიო დელ ...; 4. კინოს მოძველებული სახელი; 5. ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 6. სკანდალური გამოხდომა; 7. ფრანგი ფილოსოფოსი; 8. ძველი სლავური ანბანი; 8. მდიდრული სასადილო; 10. სამხედრო ჯავშნიანი გემი; 19. ოკეანისპირა კურორტი კალიფორნიაში; 20. ებრაელთა მოძღვარი; 21. სიმონა ძალაძის ცოლი (ე. ნინოშვილი); 22. სოფელი ხარაგაულის რაიონში; 24. ხელოვნების დარგი; 25. უკრაინის პარლამენტი; 28. პატრონი, მესვეური; 29. გრძელი დასაკეცი ესპანური დანა; 31. დღე-ღამის გასაყარი; 32. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; 33. სპირიტიზმის მიმდევარი; 35. „ტრანსპორტი“ მრავალსართულიან შენობებში; 38. სელაპის სახეობა; 39. ჭიდაობის სახეობა; 40. მოდელი ... კემპბელი; 41. მატყლის დასართავი პრიმიტიული მანქანა; 43. პატარა საფულე პარკი; 45. ლატვიის დედაქალაქი; 46. ბერძნული ასო დ-ს სახელი; 47. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 49. სასიყვარულო ურთიერთობა; 50. ინგლისელი ზღვაოსანი; 51. ფრანგი მწერალი; 52. მცირე აზიის ძველი სახელწოდება; 53. წუნი, ზადი; 55. ჩრდილოეთი; 56. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისათვის; 57. დღევანდელი რიცხვით (ბუღალტ.); 59. ქართული ლ-ს სახელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| დიდი მახრჩობელა გველი | თაფლიანი ფიჭა | ორგანული ნაერთი | ბრტყლად შემწვარი ვარია | ლოკატორი | განთიადი | ვი-ვიენ ... |
|---|---|---|---|---|---|---|

| მსახიობი ... მანიანი | თოფის ნაწილი | ფიჭვისებურთა ოჯახის მცენარე | ნაბოკოვის რომანი | უმაღლესი ხარისხის ბროლი | თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში | NBA-ს ექს-კალათბურთელი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- 🙂 სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- 👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- 😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ❓ ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- ⚥ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- ↘ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- 🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- 👨‍💼 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- 👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- 🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ორშ. | 📖 | 🙂 | ⚥ | 🌴 | ❗ | ❓ | 🎁 | 🌴 | ❓ | ❓ | 😐 | 🌴 |
| 2 სამშ. | 🍷 | 👫 | ❗ | ❓ | ⚥ | 👫 | 🙂 | ✈ | 💣 | ⚥ | ❗ | 😐 |
| 3 ოთხშ. | 💣 | 🤝 | 💣 | ↘ | ☝ | 👨‍💼 | ❓ | 💣 | 👫 | ⚥ | ↘ | 😐 |
| 4 ხუთშ. | 📖 | 🌴 | 🙂 | 📖 | 💣 | 👍 | ♠ | 🔔 | ♠ | 👍 | ⚥ | 📖 |
| 5 პარ. | 🙂 | 👨‍💼 | ☝ | 🔔 | 😐 | ✈ | ⚥ | ⚥ | ❓ | ❗ | ♠ | 🙂 |
| 6 შაბათი | ⚥ | 🔔 | ☝ | 🎁 | ✈ | 👍 | ↘ | 🌴 | 👍 | 🔔 | ⚥ | ❓ |
| 7 კვირა | 👍 | ⚥ | ✈ | 😐 | 👫 | 🌴 | 👨‍💼 | ☝ | ☝ | 🎁 | 🎁 | ☯ |

- 🤺 რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- 📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- 👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- 💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- ✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- 🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ♠ ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- ☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- 🍷 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- ❗ გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- 🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვიარბიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 1 — 7 აგვისტო №32 (1444)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

